

## სჭავლანი

ჯმილისა და ენტარისა მამისა ჩუენისა  
იოვანე სინელ მამასახლისისა,  
რომელი მიუძღუანი მამასა იოვანეს,  
რაითელ მამასახლისსა,  
რამეთუ ეთხოა მას მისგან, რადთა აღწერნეს  
სჭავლანი მონაზონთა მიმართ

გამოსლვისათვეს სოფლით

### თავი 1

1. შეწევნითა სახიერისა და კაცომოყუარისა და მოწყალისა ღმრთისა და მეუფისა ჩუენისათა ვიწყოთ სიტყუად, რამეთუ კეთილ არს, რადთა ღმერთი ყყოთ დასაბამად მონათა მიმართ ღმრთისათა სიტყვსა; რამეთუ ყოველნივე, რომელნიცა დაპბადნა სახიერმან მან და დიდებულმან ღმერთმან სიტყვერნი, თვთმფლობელობითა პატივ-სცა; და ამისთვეს, რომელნიმე არიან მისა მეგობარ, და რომელნიმე – ერთგულნი მონანი, და რომელნიმე – უწმარნი, და რომელნიმე – სრულიად უცხო-ქმნილნი, და სხუანი, დაღაცათუ უძლურ არიან, არამედ წინააღმდეგომვე.

2. ხოლო მეგობრად ღმრთისა გულისწმა-ვჰყოფთ ჩუენ, უსწავლელნი ესე, ჭ, წმიდაო მამაო, უწორცოთა მათ და საცნაურთა ბუნებათა, რომელნი გარემო მისსა არიან; ხოლო მონად ერთგულად – ყოველთა, რომელნი იქმან მოსწრაფებით ნებასა მისსა; და მონად უწმარად – ყოველთა, რომელთა მიუღებიეს ნათლისღებად, და აღთქუმანი იგი, ნათლისღებასა შინა მათ მიერ ღმრთისა მიმართ ქმნილნი, არა დაუმარხავნ კეთილად.

3. ხოლო უცხოდ და მტერად ღმრთისა მათ გულისწმა-

ვჰყოფთ, რომელნი ანუ უნათლავნი და ურნმუნონი არიან, ანუ ბოროტად მორწმუნენი; ხოლო მპრძოლ და წინააღმდეგომ იგინი არიან, რომელთა არა-თუ თკთ ოდენ განუგდებიეს თავთაგან მათთა ბრძანებად ღმრთისად, არამედ ყოველთაცა, რომელნი იქმან მას, ფიცხლად ჰპრძვანან და წინააღუდგებიან.

4. და ვინათგან ამათ ყოველთათვეს, რომელნი ვთქუენით, თითოეულისათვეს განყოფილი და განთკსებული სიტყუად არს, ხოლო ჩუენ, გლახაკთა ამათ და უსწავლელთა, ვერ ძალ-გვც მათ ყოველთათვეს თითოეულად თქუმად, ამისთვეს მოვედით და ერთგულთა მათ მონათა მიმართ ღმრთისათა, რომელთა კეთილად გუაძულეს, უღირსი ჭელი ჩუენი განვპმარტოთ მორჩილებითა შეუორგულებელითა, და მათისა გულისჯის-ყოფისაგან მოვიღოთ სიტყვსა ჩუენისა კალამი, და მჭმუნვარესა მას და ბრნყინვალესა სიმდაბლესა შინა, ვითარცა მელანსა, აღმოვაწოთ და სათნოებითა განგლესილთა და სპეტაკთა გულთა მათთა ზედა, ვითარცა ქარტათა, და უფროვასად, ვითარცა ფიცართა ზედა სულიერთა, ვიწყოთ წერად საღმრთოთა მათ სიტყუათა და თესლთა სათნოებისათა, და ვიტყოდეთ ესრეთ:

5. ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების მათ. რამეთუ იგი არს ყოველთა ღმერთი და ყოველთა ცხორებად – ურნმუნოთა და მორწმუნეთად, მართალთად და ცოდვილთად, უვნებელთა და ვნებულთად, ღმრთისმსახურთად და ურჩულოთად, ერისაგანთად და მონაზონთად, ბრძენთად და უსწავლელთად, მრთელთად და უძლურთად, ჭაბუკთა და მოხუცებულთად. ვითარცა სივრცე ნათლისად და ხილვად მზისად და ბუნებად ჰპერისად ყოველთა ზედა არს, ეგრეთვე იგი არს ყოველთა ცხორებად და ამის ყოვლისა მომცემელი, და, რომელნიცა ეძიებდენ, ეპოების მათ, რამეთუ არა არს შეცვალებად მის თანა, არცა თუალღებად წინაშე ღმრთისა.

6. ურნმუნოდ არს ბუნებად სიტყვერი მოკუდავი, რომელი ნებსით ცხორებისაგან ივლტოდის და თვისა დამბადებელსა, რომელი-იგი მარადის არს, არა არსად ჰგონებდეს.

7. ურჩულოდ იგი არს, რომელსა რჩული ღმრთისად თვისითა უკეთურებითა ეპყრას და წვალებითა წინააღმდგომითა, და ჰგონებდეს, თუ ჰრწამს მას ღმერთი.

8. ქრისტეანც არს მსგავსებად ქრისტესი ძალისაებრ კაცობრივისა, და რაღათ საქმით და სიტყვით და გონებით მართლიად და უბინოდ ჰრწმენეს წმიდად სამებად.

9. ღმრთისმოყუარც იგი არს, რომელსა ბუნებითნი იგი და უცოდველნი საქმენი აქუნდენ შეუცვალებელად, და არა-რომელსა კეთილსა ზედა, რომელი მისგან შესაძლებელ იყოს, უდებ იქმნეს.

10. განკრძალული იგი არს, რომელი შორის განსაცდელთა და საფრნეთა და ამბოხებათა ისწრაფდეს აღსრულებად საქმეთა მათთა, რომელნი განშორებულ არიან ყოვლისავე ესევითარისაგან.

11. მონაზონებად არს წესი და საქმც უწორცოთად, აღსრულებული ჭორცთა შინა ნივთიერთა და მოკუდავთა.

12. მონაზონი იგი არს, რომელი ღმრთისასა ოდენ იქმოდის და ხედვიდეს ყოველსა შინა უამსა, და ადგილსა, და საქმესა.

13. მონაზონებად ესე არს, რაღათ ნებად თავისა თვისისად დაუტეოს და შეიკრიბნეს ყოველნი გულისსიტყუანი თვისნი განბნეულნი და ეკრძალებოდეს ყოვლადვე.

14. მონაზონებად არს იძულებად ბუნებისად სამარადისოდ და დაცვად საცნობელთად დაუკლებელი.

15. მონაზონებად არს გუამი შეუგინებელი, პირი წმიდად, გონებად განათლებული და მხედვარი.

16. მონაზონი არს სული მჭმუნვარც, სამარადისოზთა ჭისენებითა სიკუდილისამთა შეურვებული, ეძინის თუ ანუ ეღვძის.

17. განშორებად სოფლისად არს ნებსით მოძულებად და უარყოფად ბუნებისად<sup>1</sup> სურვილისათვს კეთილთა მათ უზეშ-თაეს ბუნებისათა.

18. ყოველთავე, რომელთაცა სოფლისა საქმენი დაუტევნეს, ანუ სიმრავლისათვს ცოდვათა მათთავსა, ანუ სასუფეველისათვს ცათავსა, ანუ სიყუარულისათვს ღმრთისა ქმნეს. უკუეთუ კულა არცა ერთი ამათ სამთა გულისიტყუათაგანი იქმნა მათდა წინამძღვარ, პირუტყული არს გამოსლვად მათი. გარნა ყოველსავე ზედა აღსასრულსა მას საქმისასა, თუ ვითარი ყოფად არს, მოელის კეთილი იგი მეუფც ჩუენი.

19. რომელი გამოსრულ იყოს სოფლით განბნევად ტკრ-თისა ცოდვათა თვესთავსა, მიემსგავსენ მსხდომარეთა საფ-ლავებსა თანა გარეგან ქალაქისა, და ნუმცა დასცხრების მწურვალეთა მათ და ცეცხლებრ მოტყინარეთა ცრემლთა-გან და დაფარულთა მათ გოდებათაგან გულისათა, ვიდრემ-დის იხილოს მანცა იესუ მოსრული მისა, და რაღთა ლოდი

<sup>1</sup> რად არს „უარის-ყოფად და მოძულებად ბუნებისად“? გარნა ამას იტყვს წმიდად ესე მამად, რამეთუ ბუნებად ჩუენი პირველ დაპბადა ღმერთმან უვნებელად და წმიდად. და მოგუცა ძალი მოგონებისად, რაღთა ვიგონებდეთ კეთილსა და სათნოებასა; და ძალი გულისწყრომისად, რაღთა მრისხანე ვიყენეთ ეშმაკთა მიმართ და ვნებათა; და ძალი გულისთქუმისად, რაღთა გულისთქუმად და სურვილი გუაქუნდეს სასუფეველისა მიმართ ცათავსა. ხოლო ჩუ-ენ შევცვალენით ესე ძალი ცოდვისა მიმართ და გულისთქუმად მოვიგეთ ბილებათად, და გულისწყრომად ძმათა მიმართ, და მო-გონებად უკეთურებისად. და შევცვალენით კეთილნი იგი ბუნებისა ჩუენისა საქმენი ბოროტისა მიმართ და ვქმენით ვნებად ბუნებად ჩუენდა. ან უკუე რომელმან ესევითარნი ესე ვნებანი, უდებებითა ჩუენითა ჩუენ შორის დანერგულნი, განდევნეს და მძლე-ექმნას მათ, მას მოუძულებიეს და უარყოფიეს ჭეშმარიტად ვნებული იგი ბუნებად; და ესე არს ჭეშმარიტი გამოსლვად სოფლით – უარის-ყოფად ვნებულისა მის ბუნებისად და გამოსლვად ძიებად პირველისად მის და უვნებელისა ბუნებისად, რომელი მოგუცა ღმერთმან.

იგი გულფიცხელობისად გულისაგან მისისა გარდააგორვოს, და ლაზარესეპტრ შეკრული იგი გონებად მისი საკრველთაგან ცოდვათავსა განწისნას, უბრძანოს რად ანგელოზთა მისთა, ვითარმედ: „განწისენით იგი ვნებათაგან და განუტევეთ სლვად ნეტარისა მის უვნებელობისა გზასა“ (შდრ. იოან. 11,44). ხოლო უკუეთუ არა ესრეთ იქმნას, არარად სადმე სარგებელ-ეყო მას გამოსლვად სოფლით.

20. რაოდენთაცა გუნებავს ეგვეტით<sup>2</sup> გამოსლვად და მწარისა მის ფარაოს მონებისაგან სივლტოლად, უეჭუელად ჩუენდაცა მოსე ვინმე საჯმარ არს შუამდგომელად ღმრთისა მიმართ, რაღთა დადგეს იგი ჩუენთვს შორის საქმისა და ხედვისა და განიპყრნეს ჭელნი ღმრთისა მიმართ, რაღთა რომელნი-იგი შეუდგეთ მას, წიაღ-ვლოთ ზღუად იგი ცოდვათად და ამალეკსა მას ვნებათასა მძლე ვექმნეთ. რამეთუ სცოდეს ყოველნივე, რომელნი მისცემენ თავთა თვისთა ესევითართა მათ ბრძოლათა და ჰელიკონ, თუ არა საჯმარ არს მათდა წინამძღვარი.

21. რომელნი ეგვეტით გამოვიდეს, მოსე იყო წინამძღვარ მათდა, ხოლო რომელნი სოდომით გამოვიდეს – ანგელოზი. და ანცა, რომელნი სულიერთა ვნებათა<sup>3</sup> კურნებასა

<sup>2</sup> „ეგვეტესა“ მოილებს სახედ სოფლისა ამის, რომელი სავსე არს სიბნელითა ვნებათადთა. (ხელნაწერთა ტექსტებში მითითებული არაა, თუ რომელ მუხლს ეკუთვნის ეს განმარტება).

<sup>3</sup> „სულიერნი ვნებანი“ ესე არიან, ვითარ ცუდადმზუაობრობად, ამპარტავანებად, მრისხანებად, მწუხარებად, მოწყინებად, სიძულილი და სხუანი ესევითარნი; ხოლო ჭორციელნი ვნებანი – ნაყროვანებად, ვეცხლისმოყუარებად, სიძვად, სიყუარული სოფლისა საქმეთა. რომელნიცა უკუე სულიერთა მათ ვნებათაგან იძლეოდინ, უკმს მათ წინამძღვარი გულისჯმისმყოფელი, და რაღთა მცირედ ჭორციელადცა ნუგეშინის-სცემდეს – რაღთა არა ვითარცა მმარხველნი და მოსწრაფენი ზუაობდენ – და ესრეთ, ოდესმე მარხვითა და ოდესმე განსუენებითა, გულისჯმის-ყოფით ჰკურნებდეს სენთა მათთა. და ესევითარნი მსგავს არიან ეგვეტით

ეძიებენ, იგინი მსგავს არიან ეგვეტით გამოსრულთა, რომელთაცა მოსესებრი უწმის მკურნალი; ხოლო რომელთა სურის უბადრუკთა ამათ წორცთა არაწმიდებისა აღძარცვად – ანგელოზი, ესე იგი არს, ვითარმედ ანგელოზის სწორი, რაღათა ესრეთ ვთქუა: უწმს მათ შემწმე, რამეთუ სიდიდისაებრ და შეყროლებისა წყლულებათადსა გკვმს წელოვანიცა მკურნალი.

22. ჭეშმარიტად დიდი ჭირი და დაუცადებელი შრომად უწმს, რომელთა წელ-ყვეს წორცითა ზეცად აღსლვად, და უფროხასლა – დაწყებასა მას და დასაბამსა სოფლით გამოსლვისა მათისასა, ვიდრემდის გემოთმოყუარე იგი ჩუეულებად ჩუენი და ულმობელი იგი გული ღმრთისმოყუარებად და სიწმიდედ გლოვისა მიერ მოვიდენ. რამეთუ ჭეშმარიტად დიდი შრომად ჯერ არს და ფრიადი სიმწარტ, და უფროხასლა – რომელნი ვნებათა შინა ჩუეულ ვიყვნეთ, ვიდრემდის გონებად ესე ჩუენი, ძალლებრ წორცთმოყუარტ და მწკრის-მოყუარტ სიწმიდისმოყუარტ და სიბრძნისმოყუარტ ვყოთ სიმშვდისა მიერ და მტკიცისა ურისსველობისა. გარნა ნუმ-ცა უსასო ვართ ვნებულნი ესე და უძლურნი, არამედ სა-რწმუნოებითა შეუორგულებელითა ჩუენი უძლურებად და უსუსურებად სულისად მარჯუენითა წელითა ჩუენითა ქრისტეს მიუპყრათ და აღუარებდეთ. და უეჭუელად მოვილოთ მისმიერი შენევნად უზეშთაეს ღირსებისა ჩუენისა, უკუეთუ ოდენ უფსკრულსა სიმდაბლისასა შთავიყვანებდეთ დაუცადებელად თავთა ჩუენთა.

---

გამოსრულთა, რომელთა უძლოდა მოსე. ხოლო რომელნი წორციელთა ვნებათაგან იძლეოდინ, უწმს მათ კაცი წინამძღურად, რომელსა კნინლა და უწორცოთა და ანგელოზთა მსგავსი ცხორებად აქუნდეს მარხვითა და სიფიცხითა და უწყალოებითა წორცთადთა. და მსგავს არიან იგინი სოდომით გამოსრულთა, რამეთუ ეგვეტტ სულიერთა ვნებათა სახედ მოიღო და სოდომი – წორციელთა მამამან იოვანე.

23. უწყოდეთ ყოველთა, რომელნი კეთილსა ამას ღუანლსა ფიცხელსა და იწროსა და სუბუქსა<sup>4</sup> მოუწდებიან, ვითარმედ ცეცხლსა მოსრულ არიან შესლვად, ვინათგან უნივერსა მას ცეცხლსა მოელიან თავთა შორის თკსთა შეწყნარებად. ხოლო გამოიცადენ თითოეულმან თავი თკი და ესრეთ ნაყოფისაგან მისისა ველისყრდელსა\* თანა შერეულისა ჭამენ და სასუმელისაგან მისისა ცრემლითა განზავებულისა სკნ, რათა არა დასაშველად თავისა თკისა იყოს მჯედრობად მისი.

24. უკუეთუ ყოველი ნათელლებული არა ცხოვნებულ არს, შემდგომი ამისი დავიდუმო.

25. ყოველთა, რომელთა პნებავს მონაზონებად, ყოველივემცა საქმი სოფლისად დაუტეობიეს, ყოველივემცა შეურაცხ-უყოფიეს, ყოველივემცა უვარ-უყოფიეს, მო-რავ-ვიდოდინ მონაზონებად, რათა კეთილი საფუძველი დადვან.

26. კეთილი საფუძველი არს სამთა მათ სათნოებისა სუეტთად – უმანკოებად, მარხვად და სიწმიდჲ. და ყოველნი ქრისტეს მიერ ჩჩკლნი ამათმცა საქმეთა მიერ პყოფენ დასაბამსა მათსა, და სახედ აქუნდინ ხილულნი ჩჩკლნი, რამეთუ არასადა იპოების მათ თანა მზაკუვარებად და გულარძნილებად, არცა სიმაძლრჲ უძლები, არცა მუცელი განუძლომელი, არცა წორცნი განჯურვებულნი, ანუ გამჯეცებულნი, რამეთუ ვითარ ვჰვინებ, აღორძინებასა თანა ზრდილობისა მათისასა მჯურვალებასაცა მიიღებენ.

---

<sup>4</sup> ვითარ არს იგი „ფიცხელი და იწროდ და სუბუქი“? გარნა ეს-რეთ, რამეთუ ფიცხელ არს დაცვისათვს საცნობელთავსა, რომელთა დაცვად ფიცხელ არს მათთვს, რომელნი დაჩუეულ იყვნენ მათსა მიშუებასა; ხოლო იწრო არს მოღუანებათათვს და დამდაბლებისათვს წორცთავსა და ჩუეულებათა მათ მრავალ-ჟამეულთა მოკუეთისათვს. ხოლო სუბუქ არს იგი სასოებისათვს ღმრთისა და საუკუნეთათვს კეთილთა.

\* ველისყრდელი სახე არს სიფიცხისა სათნოებათასა.

27. საძულელ არს ჭეშმარიტად და დასანთქმელ, რაუამს შე-რაღ-ვიდის მწედარი ბრძოლად და მეყსეულად შესლვა-სა თანა დაიგვანას და მისცეს ყოველთავე სახტ სიკუდილისა თკსისად, რამეთუ ხედვიდიან რა ას სხუანი, ვითარმედ შე-რაღ-ვიდა, მოკლა, არღარა სურინ შესლვად ბრძოლასა მას.

28. უეჭუელად კეთილად და ფიცხლად დაწყებისაგან შრომათადსა, შე-რაღ-ვიდით მონაზონებად, ფრიადი სარგე-ბელი გუეყოს, რაუამს შემდგომად უამისა რავდენისამე და-ვიჩსნეთ. რამეთუ სული, რომელი განმწნობილ იყოს და კუა-ლად დაიგვანას, წსენებითა პირველისა მის მოსწრაფებისა-თა, ვითარცა დეზითა იწერტებოდის. ამისთკსცა მრავალ-გზის საქმისა ამისგან მრავალთა თავნი თკსნი ფრთოან-ყვნეს, რამეთუ იყვნეს ვითარცა არწივნი, რომელთა დაპწ-დეს ფრთენი მათნი და კუალად შემდგომად მისა გამოისხნეს ფრთენი და ამაღლდეს სიმაღლესა ცისასა.

29. რაუამს სულმან განსცეს თავი თკსი და წარწყმიდოს სანატრელი იგი და საწადელი მწურვალებად მისი, გამოიძიენ მოსწრაფებით, თუ რომლისა მიზეზისაგან წარწყმიდა იგი და მისა მიმართ ყავნ ყოველივე მოსწრაფებად მისი, რამეთუ არა შესაძლებელ არს სხვთ კარით მოქცევად მისი, გარნა ვი-ნამცა განვიდა.

30. რომელმან შიშისაგან<sup>5</sup> სატანჯველთადსა ყოს სოფ-ლით გამოსლვად მისი, მრავალგზის ცეცხლსა შთაგდებულსა

<sup>5</sup> ორკეცი არს შიში: ერთი ახალთად და ერთი – სრულთად. ხო-ლო ამას ადგილსა ახალთასა მას იტყვს მამად ესე დიდი, რამეთუ რაუამს კაცი ცოდვათა შინა იყოს და შეშინდეს, ნუუკუ ეწიოს მას სიკუდილი, ამისთკს განვიდის სოფლით, რაღთა არა პირველთავე მათ ბოროტთა შთავარდეს, და იღუწინ კეთილითა მოღუანებითა; და რაუამს შიში იგი მცირედ განუქარდის, რამეთუ არამტკიცე არნ, მერმე კუალად უდებ იქმნის და ემსგავსის საკუმეველსა განქარვებულსა, რამეთუ მოღუანებით იწყო და უდებებად მო-ვიდა.

საკუმეველსა მიემსგავსის, რომელმან პირველ იწყის სულნე-ლებად და უკუანაძსკნელ გარდაიქცის კუამლად. ხოლო რო-მელი სასყიდლის მოლებისათვეს გამოვიდის, წისქვლი არს იგი ვირით საფქავი, რომელი მარადის ვალნ, ხედავნ რად სასყი-დელსა, და მარადის ერთსა ზედა იქცევინ. ხოლო რომლისა განშორებად სიყუარულისათვეს ღმრთისა იყოს, მას მეყსეუ-ლად, გამოსლვასავე თვისსა თანა, ცეცხლი იგი სანატრელი მოუგიეს და, შე-რაღ-ვიდეს ცეცხლი იგი ნივთსა შინა, რაღ-ზომცა წარემართებოდის, ალი თვისი უმაღლესად აღატყინოს.

31. არიან ვიეთნიმე, რომელთა ქვათა ზედა ალიზი აღა-შენეს; და არიან სხუანი, რომელნი ქვშასა ზედა სუეტთა აღპმართებენ; და არიან სხუანი, რომელთა მცირედ ფერწი-თა მათითა ირბინეს და ძარღუნი და ნასხმანნი მათნი მოლ-ბეს და მერმე უმაღლესად რბიოდეს.<sup>6</sup> რომელი გულისჯმა-ჰყოფს, გულისჯმა-ყავნ სიტყუად იგავითი!

32. ვითარცა ღმრთისა მიერ და მეუფისა წოდებულნი, გულსმოდგინედ ვრბიოდით, ნუუკუე მცირედ უამ იყოს ცხო-რებად ჩუენი ამას სოფელსა, და დღესა მას სიკუდილისასა უნაყოფო ვიპოვნეთ და სიყმილითა მოვსწყდეთ.

33. სათნო-ვეყვნეთ უფალსა, ვითარცა მწედარნი – მე-ფესა, რამეთუ შემდგომად მწედრობად შესლვისა იძიების ჩუენგან ერთგული მონებად მისი.

<sup>6</sup> რომელნი ქვათა ზედა ალიზსა აგებენ, იგინი არიან, რომელნი გან-რაღ-ვიდეს სოფლით, თვინიერად მორჩილებად შესლვისა იწყეს დიდთა სათნოებათა შენებად, და რამეთუ არა ჰყვა წინამძღვარი, მოუძღუდეს და ვერ სრულ-ყველს საფუძველი მათი, არამედ იწ-ყეს დიდთა საქმეთა და მიინივნეს უდებებად. ხოლო რომელთა ქვშასა ზედა სუეტნი აღპმართნეს, მათ იტყვს, რომელნი გან-რაღ-ვიდეს სოფლით, განშორებული ცხორებად მოიგეს, და ვი-ნაღთგან საფუძველი მორჩილებისად არა აქუნდა, ამისთვის ვერ წა-რემართნეს. ხოლო რომელნი ფერწითა რბიოდეს და განწურდეს, მათ იტყვს, რომელნი კეთილსა მას მორჩილებისა სარბიელსა შე-ვიდეს და კეთილად წარემართნეს.

34. გუეშინოდენ უფლისაგან, ვითარცა გუეშინის მწეც-თაგან, რამეთუ ვიხილენ კაცნი, რომელნი წარვიღეს პარვად და ღმრთისაგან არა შეიშინეს, და წმად ძალლთად რად ესმა ადგილსა მას, შეშინდეს და მეყსეულად შეიქცეს, და რომელი-იგი ვერ ქმნა შიშმან ღმრთისამან მათ თანა, იგი ქმნა შიშმან ძალლთამან.

35. შევიყუაროთ უფალი, ვითარ ჭორციელნი მოყუარენი, რამეთუ ვიხილენ კაცნი, რომელთა ღმერთი შეაწუხეს და არცა ერთი საურავი აქუნდა; და ვიხილენ იგინივე, რომელთა საყუარელნი მათნი მცირესა რასმე ზედა საქმე-სა განამწარნეს და ყოველივე ღონც იძიეს, ყოველი სახც ქმნეს, ყოველი მწუხარებად აჩუნენს, ყოველი აღსარებად თავისა თვისისა მიერ და მეგობართა მიერ და ნათესავთა მიერ და ძღუნითა და ქრთამითა, რაღთამცა პირველსავე საქმესა მოიყვანეს მოყუარც იგი.

36. დასაბამსა გამოსლვისა ჩუენისასა სოფლით უეჭუელად შრომით და ჭირით და სიმწარით ვიქმთ სათნოებათა; და წარ-რაღ-ვემართნეთ მათ შინა, მერმე შეუწუხებელად, ანუ-თუ მცირედ მწუხარებით და შრომით ვიყვნით; ხოლო რაჟამს მოკუდავი გონებად ჩუენი დაინთქას და უფლებულ იქმნას გულსმოდგინებისა მიერ, მერმე ყოვლითა მოსწრაფებითა და სიხარულითა და სურვილითა და ალითა საღმრთოდთა ვიქმოდეთ მათ.

37. რაოდენ საქებელ არიან, რომელნი პირველითგანვე ყოვლითა სიხარულითა და გულსმოდგინებითა მცნებათა აღასრულებენ, ეგოდენ საწყალობელ არიან, რომელთა მრავალი უამი დაეყოს მონაზონებასა შინა და ჯერეთ შრომით იქმოდინ მათ, დაღაცათუ იქმოდინ.

38. ნუცა იძულებით და ჭირისა რაღსათვესმე ქმნილთა სოფლით გამოსლვათა მოვიძაგებთ, რამეთუ ვიხილენ ვიეთნიმე ღტოლვილნი, რომელნი უნებლიერ მოუწდეს მეფესა და შეემთხვნეს მას, და მერმე ნებსით მის თანა წარ-

ჰყვეს და პალატად შევიდეს და მის თანა ტაბლასა დასხ-  
დეს.<sup>7</sup>

39. ვიხილე თესლი უნებლიადთ ქუეყანასა დავრდომილი,  
და აღმოცენა და განიშუა და ფრიადი ნაყოფი გამოილო; და  
სხუად ნებსით დათესული იყო და იქმნა უნაყოფო.

40. ვიხილე ვინმე სამკურნალოდ მისრული სხვსა რაღა-  
მე საწმარისათვს და შეპყრობილ იქმნა სიმკრცხლითა მით  
მკურნალისადთა და განიკურნა, და აღმური, თუალთა ზედა  
მისთა მიფენილი, მოეძარცუა. და იქმნეს უნებლიადთი ესე  
მრავალგზის რომელთამე ნებსითთა უმტკიცეს და უჭეშმა-  
რიტეს.

41. ნუმცა ვინ მიზეზობს სიმძიმესა და სიმრავლესა ცოდ-  
ვათასა და იტყვს თავსა თვესა ულირსად მოქალაქობასა მას  
მონაზონებისასა, და გემოვთმოყუარებისათვს ჰეგონებდეს,  
თუ თავსა დაიმდაბლებს, და მიზეზობდეს მიზეზთა ცოდ-  
ვისათა. რამეთუ, სადა ფრიად არს წყლულებად, მუნ კურ-  
ნებადცა ფრიადი ჯერ არს, რამთა გესლი იგი განიწმიდოს.  
რამეთუ არა მრთელნი, არამედ სნეულნი მივლენ სამკურ-  
ნალოდ.

42. უკუეთუმცა ქუეყანისა მეფემან გვწოდა, რამთა-  
მცა წინაშე პირსა მისსა ვჰმისახურებდით მას, არამცა ვად-  
როებდით მას, არამცა ვმიზეზობდით, არამედ ყოველივემცა

<sup>7</sup> ვჰგონებ, თუ ესევითართა კაცთათვს იტყვს, რომელნი-იგი  
მეფისაგან განდევნულნი ექსორია-ქმნილ იყვნენ მამულთაგან  
თვესთა ცთომისა რაღასათვსმე. და მი-რაღ-ვიდის მეფე ქუეყანასა  
მას, სადა ექსორია-ქმნილ იყვნიან იგინი და შესმენილ იქმნის ვინმე  
მათგანი მეფისა მიმართ, ვითარმცა ბოროტსა რასმე ზრახვიდა  
მისთვს, მაშინ ბრძანის უნებლიერ მიყვანებად მისი წინაშე მისსა.  
ხოლო მი-რაღ-იყვანიან და გამოიძის და ვერარაღ პოის მის თანა  
აუგი, მოაქციის ექსორიობისაგან და პატივ-სცის მას და დასკვს  
თვესა ტაბლასა. ამის უკუე ესევითარისა სახედ მოილო უნებლიერ  
განსლვად სოფლით, და ჭირისა რაღასათვსმე, ვითარ მრავალგზის  
იგიცა კეთილ იქმნის.

დაუტევეთ და მუნიცია მივისწრაფდით. ხოლო ვეკრძალნეთ თავთა ჩუენთა და წილებასა მას მეუფისა მეუფეთადსა და უფლისა უფლებათადსა და ღმრთისა ღმერთთადსა, რომელი ზეცისა წესსა მიგვწოდს, ნუმცა შეურაცხ-ვჰყოფთ, ნუცამცა ვიჯმით მისგან უდებებისა და მცონარებისა ჩუენისათვს, რადთა არა ვიპოვნეთ წინაშე დიდისა მის საყდრისა უსი-ტყუელ და სირცხვლეულ.

43. შესაძლებელ არს შეკრულისადცა სოფლისა საქმე-თაგან და შებორკილებულისა ბორკილითა ზრუნვათადთა სლვად, გარნა ძნიად. რამეთუ, რომელთა ბორკილნი ასხენ ფერწთა, იგინიცა ვლენ, არამედ ზედაესზედა დაეცემიან და წყლულებადცა შეემთხუევის მისგან.

44. რომელი უქორნინებელ იყოს სოფელსა შინა და საქმე-თა მისთაგან ოდენ შეკრულ, მსგავს არს იგი კაცსა, რომლისა წელნი ოდენ შეკრულ იყვნიან, ამისთვიცა, ოდეს ინების სრბად მონაზონებისა გზასა, არა დაყენებულ არნ. ხოლო რომელსა ექორნინის, მსგავს არს იგი წელით და ფერწით შეკრულსა.

45. მესმა ვითონიმე, რომელნი სოფელსა შინა უდე-ბად იყოფებოდეს, რომელთა მრქუეს მე: „ვითარ უძლოთ, რომელნი-ეს მეუღლეთადა შეყოფილ ვართ და სამეუფო-თა საქმეთა შინა ვართ დამონებულ, რადთა მონაზონები-სა ცხორებასა შევიდეთ?“ ხოლო მე მიუგე და ვარქუ მათ, ვითარმედ: „ყოველი, რაოდენი ძალ-გიც კეთილი, ქმენით: ნუვის შეასმენთ, ნურას იპარავთ, ნუვის უტყუით, ნუ-ვის ზედა აღმაღლდებით, ნუვის მოიძულებთ, ეკლესიასა ნუ დააკლდებით, გლახაცათა სწყალობდით, ნუვის დააბრ-კოლებთ, სხესა ნაწილსა ნუ მოიტაცებთ და ნუ შეეხებით გუამსა უცხოსა, და კმა-გეყვნედ მეუღლენი თქუენი. უკუეთუ ამას ყოველსა ჰყოფდეთ, არა შორს ხართ სასუფე-ველისაგან ცათადსა“.

46. მოუწდეთ სიხარულით და შიშით კეთილსა მას ღუა-ნლსა და ნუმცა გუეშინის მტერთა ჩუენთაგან, რამეთუ პირ-

სა სულისა ჩუენისასა<sup>8</sup> განიცდიან, დაღაცათუ ვერ ხედვენ, და უკუეთუ იხილონ პირი იგი სულისა შიშისაგან შეცვალებული, მაშინ უმწარესად აღიჭურვიან ჩუენ ზედა, რამეთუ ცნიან მზაკუართა მათ, ვითარმედ შევშინდით.

47. ახოვნად აღვიჭურნეთ მათდა მიმართ, რამეთუ გულსმოდგინედ მბრძოლსა არავინ ჰბრძავს.

48. განგებულებით უფალმან ახლადმოსრულთა ბრძოლანი აღასუბუქნა, რაღთა არა დასაბამსავე მეყსეულად სოფლად მიიქცენ. ამისთვის გიხაროდენ უფლისა მიერ მარადის ყოველთა მონათა ქრისტესთა და ესე მიიღეთ პირველად სასწაულად სიყუარულისა მის მეუფისადასა, რომელ აქუს თქუენდა მომართ, და გულსავსე იქმნენით, ვითარმედ მან გინოდა თქუენ.

49. და ამასცა იქმს ღმერთი მრავალგზის, რამეთუ იხილნის სულნი ახოანნი და დასაბამსავე მიუშუნის მათ ზედა ბრძოლანი, რაღთამცა მალიად გვრგვნოსან-ყვნა იგინი.

50. დაფარა უფალმან ერისკაცთაგან სარბიელისა ამის სიძნელც და უფროდსლა – სიადვილც, რამეთუ უკუეთუმცა ყოველთა იცოდეს იგი, არამცა მრავალნი მონაზონ იქმნენს.

51. მისცენ შრომანი სიჭაბუკისა შენისანი გულსმოდგინედ ქრისტესა, და გიხაროდის სიბერესა შენსა სიმდიდრესა ზედა უვნებელობისასა.

52. სიჭაბუკესა შინა შეკრებულნი შრომანი სიბერეთა შინა მოუძლურებულთა ზრდიან და ნუგეშინის-სცემენ. შუერით, ჭაბუკონ, მქურვალედ! ვრბიოდით კეთილად, რამეთუ ჟამი სიკუდილისად უცნაურ არს.

<sup>8</sup> „პირად სულისა“ ძალთა და საქმეთა სულისათა იტყვს, რამეთუ სახეთაგან და საქმეთა და ქცევათაგან კაცისათა სცნობენ გულისსიტყუათა მტერნი ჩუენი ეშმაკნი, თუ არა, თავით თკ-სით არარად იციან გონებად ჩუენი, რამეთუ დასთესვენ იგინი სულსა შინა თვესა უკეთურებასა და ელიან, რაღთამცა ცნეს, თუ ვითარითა სახითა შევიწყნარეთ მათი თესლი, და საქმეთაგან და ქცევათა სცნობენ, თუ ვითარ შევიწყნარეთ.

53. ჭეშმარიტად ბოროტნი და უკეთურნი, მზაკუვარნი და მრავალლონენი, უძილნი და მანქანანი, უტორცონი და უჯილავნი მტერნი გვსხენ, რომელთა აქუს ცეცხლი წელთა და ტაძარსა ღმრთისასა ისწრაფიან დაწუვად ალითა მით მათითა.

54. ნუმცა ვინ ჭაბუკი შეიწყნარებს განზრახვასა მტერთასა, ეტყოდინ რად, ვითარმედ: „ნუ შეპმუსრავ და განჰლევ ესრეთ წორცა შენთა, რაღთა არა სენთა და უძლურებათა შთაჲვარდე“. რამეთუ ამას ნათესავსა მცირედ ვინ იპოოს, რომელსა სრულიად მოკუდინებად მათი ენებოს, რაღთამცა მრავალთა და ჰამოთა ჭამადთაგან ოდენ განაყენა თავი თვისი. ხოლო ეშმაკისა მის, რომელი ესევითარსა განაზრახებდეს, გულისსიტყუად ესე არს, რაღთამცა დასაბამი და შემოსლვად ბრძოლად დაწინილ-ყო და მერმე ალსასრულ იქმნამცა შემსგავსებული დასაბამისად.

55. ყოვლისა უპირატეს ესე იძიონ, რომელთა კეთილად ქრისტეს მონებად ჰნებავს, რაღთა ადგილნიცა და საქმენი და წესი სულიერთა მამათა განზრახვითა და ფრიადითა გამონახვითა ესევითარნი მოიგნენ, ვითარნი თითოეულისა ცხორებასა მოეზავებოდინ. რამეთუ არა ყოველთათვს კეთილ არიან კრებულნი ნაყროვანებისათვს, არცა ყოველთათვს უმჯობეს არიან სადაყუდებულონი გულისწყრომისათვს, ხოლო თითოეულმან გულისწმა-ყავნ, თუ რომლისაგან იძლევის.

56. სამთა სახეთა შინა-ჯდომისათა შემოკრებულ არს ყოველივე სამონაზნო ცხორებად: ანუ რაღთა განშორებულად იყოს და მარტოებით იღუნიდეს, ანუ ერთსა თანა, გინა-თუ ორთა თანა დაყუდებით, ანუ რაღთა კრებულსა შორის ჯდეს მოთმინებით.

57. „ნუ მისდრკები მარჯულ, გინა მარცხლ“ (იგავ. 4,27), იტყეს სოლომონ ეკლესიასტესა შინა, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდე, რამეთუ მრავალთათვს საშუალი იგი პირველ თქუმულთად მათ მომზავებელ არს.

58. ერთისათვს თქუმულ არს, ვითარმედ: „ვად მისდა, რამეთუ ოდეს შთავარდეს მოწყინებასა, ანუ ძილსა, ანუ დაწსნილობასა, ანუ სასოწარკუეთილებასა, არავინ ჰყავს კაცი აღმადგინებელი“. ხოლო „სადა იყვნენ ორნი გინა სამნი სახელისა ჩემისათვს შეკრებულ, მუნ ვიყო შორის მათსა“ (მათ. 18,20), იტყვს უფალი.

59. ვინ-მე არს მონაზონი იგი ბრძენი და სარწმუნოდ და სანატრელი, რომელმან მწურვალებად თვისი დაიცვა დაუშრე-ტელად ვიდრე დღედმდე განსლვისა მისისა წორცთაგან, და მარადლე არა დასცხრა დართვად ცეცხლი ცეცხლსა ზედა, და სურვილი სურვილსა ზედა, და მწურვალებად მწურვალე-ბასა ზედა, და მოსწრაფებად მოსწრაფებასა ზედა, ვიდრემდის მივიდეს წინაშე უფლისა წმიდად და უბინოდ, რომლისად არს დიდებად ან და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ!

**პირველი აღსავალი სათნობათა კიბისად. რომელი აღ-სრულ იყოს ამას ზედა, ნუმცა იქცევის უკულმართ.**

## სიძულილისათვეს სოფლისა და მონაგებთა მისთა

### თავი 2

1. რომელმან ჭეშმარიტად შეიყუაროს უფალი, რომელი ჭეშმარიტად ეძიებდეს მიმთხუევად საუკუნესა მას სასუფე-ველსა, რომელმან ჭეშმარიტად ტკივილი მოიგოს თვესთა ცოდვათათვეს, რომელმან ჭეშმარიტად წსენებად მიიღოს სატანჯველისა და საშჯელისა საუკუნოებისა, რომელმან ჭეშ-მარიტად შიში განსლვისა მისისა წორცთაგან დაამტკიცოს გულსა თვესსა – მან არღარა შეიყუაროს, არცა იზრუნოს, არცა იურვოდის საქმართათვეს, ანუ მონაგებთა, ანუ ნათე-სავთა, ანუ დიდებისათვეს სოფლისა, ანუ მეგობართა, ანუ ძმათა, ანუ რაცა რაც საქმეთაგან ქუეყანისათა, არამედ ყოველივე სიყუარული, ყოველივე ზრუნვად ამის ყოვლისად განაგდოს და მოიძულოს და პირველ ამის ყოვლისა – თვესნი წორცნი, და შიშულად და უზრუნველად და სიმჯნით ქრისტე-სა შეუდგეს და მარადის ზეცად ხედვიდეს და მის მიერსა შეწევნასა მოელოდის სიტყვსაებრ წმიდისა მის, რომელი იტყვს, ვითარმედ: „მიგდევდა შენ სული ჩემი და მე შემინყ-ნარა მარჯუენამან შეწმან“ (ფსალმ. 62,9), და სხუად, რომე-ლი-იგი იტყვოდა სანატრელი, ვითარმედ: „მე არა დავშუერ შედგომად შენსა სრბად და განსუენებისათვეს, ანუ დღისათვეს კაცობრივისა არა მსუროდა, უფალო“ (მდრ. იერ. 17,16).

2. სირცხვლება დიდ არს, უკუეთუ ყოველი იგი პირველ თქუმული დაუტეოთ და შემდგომად წოდებისა მის, რომლი-თა გრძნოდა უფალმან და არა კაცმან, ვზრუნვიდეთ რასმე საქმესა, რომელი ვერ შემძლებელ იყოს კეთილის-ყოფად რაღასამე ჩუენდა ჟამსა მას ჭირისა ჩუენისასა, რომელ არს სიკუდილი. რამეთუ ესე არს, რომლისათვეს თქუა უფალმან, ვითარმედ: „რომელი ხედვიდეს მართლუკუნ, ვერ წარემარ-თოს სასუფეველსა ცათასა“ (ლუკ. 9,62).

3. უწყოდა უფალმან მსწრაფლ კეთილისაგან წესისა მიღრეკად ჩუენი, ახლადგამოსრულთად სოფლით, და ვითარმედ, უკუეთუ ვიქცეოდით ერისაგანთა თანა, კუალად ადვილად მივიქცევით სოფლად. ამისთვის ჰრეუა მას, რომელმან ჰკითხა, ვითარმედ: „მიბრძანე, რათა წარვიდე და დავმარხო მამად ჩემი“, ჰრეუა მას უფალმან: „უტევენ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა“ (ლუკ. 9,59-60).

4. ეშმაკნი, შემდგომად გამოსლვისა ჩუენისა სოფლით, დაგუარწმუნებენ მოწყალეთა და ლმობიერთა ერისაგანთა ნატრად და თავთა ჩუენთა ბრალობად, ვითარმედ ყოვლისაგანვე სათნოებისა მათისა თავნი ჩუენნი გამოგვკვან. ხოლო ესე არს გულისისიტყუად მტერთა ჩუენთად, რათა სიმდაბლითა მით ამაოდთა და არაჭეშმარიტითა ანუ სოფლადვე მიგუაქცინენ, ანუ დაღაცათუ მონაზონებასა შინა ვიყვნეთ, სასონარკუეთილებად შთაგუყარნენ.

5. არს შეურაცხებად ერისაგანთად ამპარტავანებისათვის და არს კუალად შეურაცხებად მათი, რაუამს მათ არა ეს-მოდის, სივლტოლისათვის სასონარკუეთილებისაგან და მოგებად სასოებისა.

6. ვისმინოთ, რასა ეტყვს უფალი ჭაბუკსა მას, რომელი იტყოდა ყოველთა მცნებათა დამარხვასა, ვითარმედ: „ერთი გაკლს, რათა განსყიდო ყოველი მონაგები შენი და მისცე გლახავთა (შდრ. ლუკ. 18,22), და იქმნე გლახავ და მიიღებდე სხუათაგან ქველისსაქმესა“.

7. რომელთა გუნებავს სურვილით და მოსწრაფედ სლვად, გულისწმა-ვყოთ გონიერად, ვითარ უფალმან სოფელს მყოფთა ცოცხალთაცა მკუდრად სახელ-სდვა და ჰრეუა ვისმე, ვითარმედ: „უტევენ მკუდარნი ერისაგანნი, რათა მათ დაპმარხნენ ჭორციელად მკუდარნი მათ შორის მყოფნი“ (შდრ. ლუკ. 9,60).<sup>9</sup>

<sup>9</sup> ორკეცი არს სიკუდილი – ხილული და უხილავი. რამეთუ

8. არარას აყენებდა ჭაბუკა მას სიმდიდროჲ იგი ნათლის-ლებად და მისთვის სცოტეს სადმე ვიეთნიმე, რომელნი იტყო-დეს, ვითარმედ: „ნათლისლებად მოსლვისათვის ეტყოდა მას უფალი, ვითარმედ განყიდე მონაგები შენი“. და კმა არს ჩუენდა ესევითარი ესე გულსავსებად დასარწმუნებელად დიდისა მის დიდებისა მოქალაქობისა ამის ჩუენისა.

9. საძიებელ არს, თუ ვითარ სოფელსა შინა მყოფნი, რო-მელნი იყოფებოდიან მღვდარებით და მარხვით და შრომით, მოვიდიან რად მონაზონებად და განეშორნიან სოფლით და შემოვიდიან გამოსაცდელსა მას საქმისა მათისასა, პირველ-სა მას მტყუანსა და მოპოვნებულსა ცუდად მოღუანებასა მათსა ვერ იქმოდიან.<sup>10</sup>

10. ვიხილენ მრავალნი და თითოსახენი ნერგნი სათ-ნოებათანი, სოფელსა შინა მყოფთა მიერ დანერგულნი, და ვითარცა რუისაგან მწკრისა ირწყვებოდეს ცუდადმზუა-ობრობისაგან, და მაჩუენებლობისაგან მოითხრებოდეს და სკორჲ იგი ქებათად დაისხმოდა ძირთა მათთა, და გაირგ-ნეს რად ქუეყანასა უდაბნოსა და უვალსა ერისკაცთაგან, და ურწყულსა წყლისა მისგან ცუდადზუაობისა, მეყსეულად განწმეს, რამეთუ ესევითარსა რწყვასა დაჩუეულნი ნერგნი არა იშუებენ ქუეყანასა შინა ფიცხელსა და ურწყულსა და გამომცდელსა ჭეშმარიტისა მოღუანებისასა.

11. რომელმან სოფელი მოიძულა, იგი მწუხარებათაგან

---

არს მკუდარი, რომელი მოკუდეს წორციელად, და არს მკუდარი, რომელი მომკუდარ იყოს სულითა, რამეთუ არა შედგომილ არს ცხორებისადა.

<sup>10</sup> „მტყუანი მოღუანებად“ ესე არს, რაჟამს კაცი იღუწიდეს ქე-ბისათვის კაცთადსა; ხოლო ჭეშმარიტ არს, რომელი ღმრთისათვის და სიტყვთა მამათადთა იქმნებოდის (მსგავსად მისა, რომელი იტყვს, ვითარმედ: „თავით ჩემით არარას ვიქმ“ (იოან. 8,28)), რომელი-იგი სრულიცა არს და აღუზვავებელადცა დაიცვების, რომელი მამათა განზრახვითა იქმნებოდის.

განერა; ხოლო რომელსა ხილულთაგანისა რადესმე მიმართ სიყუარული აქვს, ჯერეთ არა განრომილ არს მწუხარებისა-გან, რამეთუ ვითარ არა შეწუხნეს დაკლებასა ზედა საყუა-რელისა მის.

12. ყოველსა ზედა ფრიადი სიფრთხილც საწმარ არს ჩუენდა, ხოლო ყოვლისა უპირატეს ამას ვეკრძალნეთ გონე-ბითა ფრთხილითა, რომლისა მეგულების თქუმად.

13. მრავალნი მიხილვან სოფელსა შინა, რომელნი საუ-რავთაგან და ზრუნვათა და შრომათა და მღვდარებათა მიერ წორციელთა წორცთა მათთა წურვებასა და სიბორგილესა განერნეს, ხოლო მო-რაზ-ვიდეს ესევითარნი მონაზონებად და უზრუნველ იქმნეს, საწყალობელად წორცთა აღძრვისა-გან შეიგინებოდეს.<sup>11</sup>

14. ვეკრძალნეთ თავთა თკსთა, ნუუკუე ვჰგონებდეთ, თუ იწროსა მას და საჭიროსა გზასა ვალთ, და ჩუენ ფართოდ და ვრცელი გუეპყრას და ვსცთებოდით.

15. გზად იწროდ ესე არს: მოყმობად მუცლისად, ზედგო-მად ღამე ყოველ გალობითა, სუმად წყლისად სასწორითა, ნაკლულევანებად პურისად, სუმად კდემისა და ყუედრებისად, შეწყნარებად ბასრობისა და კიცხევისად, მოწყუედად ნება-თა თკსთად, შეურაცხებასა ზედა უდრტკნველობად, ჭირთა მოთმინებად, გინებათა თავსდებად, ძრისხილვათა ტკრთვად, შეურაცხებასა ზედა არა განრისხებად. და თუ ვინმე მიგუ-ხუეჭდეს, მიუტეორ უსიტყუელად; უკუეთუ ვინმე გზრა-ხვიდეს ძრისა, არა ვწუხდეთ და მოთმინებით მოვითმენდეთ, მიუტეორ და ნაცვალსა არა ვეძიებდეთ; გან-თუ-ვინმე-გკ-კითხვიდეს, წინაშე მათსა დავმდაბლდეთ უსიტყუელად. ესე არს იწროდ გზად მონაზონებისად.

16. ნეტარ არიან, რომელნი ვიდოდინ გზასა ამას პირველ

<sup>11</sup> ესე იქმნების უდებებისაგან და უკრძალველობისა და სი-მაღლისა და თკთრჩულობისა და მიშუებითა ღმრთისადთა, რათა განვისწავლნეთ და დავმდაბლდეთ.

თქუმულთა საქმეთასა, „რამეთუ მათი არს სასუფეველი ცა-  
თად“ (მათ. 5,3-12).

17. ვერვინ შევიდეს ზეცისა სასძლოსა გვრგვნოსანი,  
უკუეთუ არა მოიგოს პირველი და მეორც და მესამც გან-  
შორებად, ესე იგი არს: პირველი – სოფლისაგან და მონაგებ-  
თა და ნათესავთა, და მეორც – ნებისაგან თვისისა, და მესამც  
– განშორებად ცუდადზუაობისაგან, რომელი შეუთქს მორ-  
ჩილებასა.

18. „გამოვედით შორის მათსა და განეშორენით და არა-  
წმიდებასა სოფლისასა<sup>12</sup> ნუ შეეხებით, იტყვს უფალი“ (შდრ.  
2 კორ. 6.17). რამეთუ ვინ სადა მათგანმან ქმნნა სასწაულ-  
ნი? ვინ აღადგინნა მკუდარნი? ვინ განდევნნა ეშმაკნი? –  
არავინ. ესე ყოველნი მონაზონთა საქმენი არიან, რომელთა  
სოფელი ვერ დაიტევს, ვერცა შეუძლებს, რამეთუ უკუე-  
თუმცა შეეძლო, უჯმარ და ნამეტნავმცა იყო განშორებად და  
მონაზონებად.

19. რაჟამს ეშმაკნი შემდგომად გამოსლვისა ჩუენისა  
ჯსენებითა მშობელთა და ძმათა ჩუენთადთა გულთა ჩუენთა  
განახურვებდენ, მაშინ ჩუენ ლოცვითა აღვიჭურნეთ მათდა  
მიმართ და საუკუნოდასა მის ცეცხლისა ჯსენებითა თავნი  
ჩუენნი განვაძურვნეთ, რათა მისითა ჯსენებითა უჯეროდ  
იგი გულისა ჩუენისა ცეცხლი დავშრიტოთ და საღმრთოდ  
ცეცხლი აღვატყინოთ ჩუენ შორის.

20. რომელი ჰგონებდეს, თუ შეურაცხ-უყოფიეს საქმც  
რადმე და მოკლებასა ზედა მისსა მწეხარე იქმნეს, ესევი-  
თარი სრულიად თავსა თვისსა აცთუნებს.

21. რავდენნიცა ჭაბუკნი ტრფიალებისა მიმართ წორც-  
თადსა და შუებისა მიდრეკილ არიან და მონაზონებად ენე-  
ბოს მისლვად, ყოვლითა მოსწრაფებითა განიფრთხონ და

<sup>12</sup> „არაწმიდებად სოფლისად“ არს გემოთმოყუარებად და სა-  
ჯმართმოყუარებად და დიდებისმოყუარებად.

განაშორნენ თავნი მათნი ყოვლისაგანვე შუებისა და უკე-  
თურებისა, რათა არა იქმნეს უკუანადსკნელი მათი უძკრეს  
პირველისა.

22. ნავთსაყუდელი ცხორებისაცა და დანთქმისაცა იქმ-  
ნების მომატყუებელ,<sup>13</sup> და ესე უწყიან ყოველთა, რომელი  
ვლენ ხილულსა მას ზღუასა შინა და რომელი ვლენ უხი-  
ლავსა.

23. საწყალობელ არს საქმეს ესე, რაუამს რომელი-იგი  
გულისაგან ზღვსა განერნიან და ნავთასაყუდელსა შინა  
დაინთქნიან.

მეორც აღსავალი სათნოებათა კიბისად. რომელსა დაგი-  
დგამს ფერწი ამას ზედა, ნუ მეუღლესა, არამედ ლოთსა მი-  
ემსგავსე სივლტოლითა.

---

<sup>13</sup> ნავთსაყუდელი სულიერი ბუნებით ცხორებისა მომატყუებელ  
არს. ხოლო იქმნების დანთქმისაცა მომატყუებელ, გარნა არა-თუ  
იგი იქმს დანთქმასა, არამედ – უდებებად მას შინა მყოფთად. ხოლო  
რომელი მოსწრაფე იყოს, მან ცხორებად პოოს და არა დანთქმად.

## უცხოებისათვს

### თავი 3

1. უცხოებად დატევებად არს გარეშეუქცეველი მშობელთა და ყოველთავე, რომელნიცა იყვნენ ქუეყანასა ჩუენსა წინააღმდეგომ და დამაბრკოლებელ კეთილისა მის გულისსიტყვისა ჩუენისად.<sup>14</sup>

2. უცხოებად – ესე არს განშორებად კადნიერებისაგან, სიბრძნეც უცნაური, მეცნიერებად გამოუცხადებელი, ცხორებად დაფარული, გულისჯმის-ყოფად უხილავი, გულისსიტყუად უჩინოდ, სურვილი კდემისა და ყუედრებისათვს, გულისთქუმად ჭირისა და იზროებისად, ალორძინებად სურვილისა საღმრთოსად, განმრავლებად სიყუარულისა ღმრთისად, უარის-ყოფად ზუაობისად, უფსკრული დუმილისად.

3. ესეცა გულისსიტყუად, რომელ არს თვსთაგან განშორებად, მრავალგზის დასაბამსა ცეცხლითა მით უფლისამიერითა ტრთიალთა უფლისისათა ძლიერად აიძულებნ სურვილისათვს ჭირთა და მწუხარებათა. გარნა რაოდენ დიდ და საწადელ არს საქმც ესე, ეგოდენ ფრიადიცა განკითხვად და გულისხმის-ყოფად უკმს, რამეთუ არა-თუ ყოველი უცხოებად კეთილ არს.

4. უკუეთუ ყოველი წინაღსნარმეტყუელი თვსსა ქალაქსა და მამულსა შეურაცხ არს სიტყვსაებრ უფლისა, მაშა ვეკრძალნეთ ჩუენცა, ნუუკუე გუექმნას ჩუენ უცხოებად მომატყუებელ ცუდადდიდებისა.<sup>15</sup>

<sup>14</sup> რანი არიან „ჩუენისა გულისსიტყვისა წინააღმდეგომნი“? გარნა საწმარნი, მონაგებნი, ჭამადნი, ნებანი, განცხრომანი და ვნებანი.

<sup>15</sup> უცხოებად მაშინ იქმნების ცუდადდიდებისა მომატყუებელ, რაჟამს კაცი აჩუენებდეს თავსა თვსსა დიდთა შვილად და კადნიერებდეს და ამპარტავან იყოს.

5. უცხოებად არს განშორებად ყოველთაგანვე,<sup>16</sup> რაუამს გონიებად განუშორებელ-ქმნილ არს ომრთისაგან.

6. უცხოებად ჭეშმარიტი არს დაუვიწყებელი გლოვისა ტრფიალებად და საქმე.

7. უცხოდ იგი არს, რომელი ყოველთა თკსთა და უცხოთა სიყუარულისაგან ლტოლვილ იყოს.<sup>17</sup>

8. ნუ ელი, გან-რად-ხკდოდი მონაზონებად გინა უცხოებად, სოფლისმოყუარეთა სულთა, რამეთუ მპარავი იგი, რომელ არს სიკუდილი, სულმოკლე არს და არა ადროებს.

9. მრავალთა ენება ცხოვნებად უდებთად, და იგინიცა მათ თანა წარწყმდეს, რაუამს სიგრძესა ჟამისასა ცეცხლი იგი სულისაგან მათისა დაშრტა და მწურვალებად განგრილდა.

10. მიიღო რად ალი საღმრთოდ, რბიოდე, რამეთუ არა უწყი, თუ ოდეს დაშრტეს და ბნელსა შინა დაგიტეოს.

11. სხუათათკს არა ყოველნი განვიკითხვით, თუ რად არა ვაცხოვნენით, ხოლო თავთა თკსთათკს უეჭუელად ყოველნივე, რამეთუ იტყვს მოციქული, ვითარმედ: „თითოეულმან თავისა თკსისათკს სიტყუად მისცეს ღმერთსა, ძმანო“ (რომ. 14,12), და კუალად იტყვს: „რომელი ეგე სხუასა ასწავებ, თავსა თკსა არა ასწავება?“ (რომ. 2,21).

12. იყოფებოდი რად უცხოობასა, ეკრძალე მიმოსლვისა და გემოთმოყუარებისა ეშმაკსა, რამეთუ უცხოებად მიზეზ-სცემს მას.

13. კეთილ არს შეურაცხებად მონაგებთად, ხოლო მისი დედად უცხოებად არს.

14. ყოველი, რომელი უცხო იქმნეს უფლისათკს, ნუდა-

<sup>16</sup> ყოველთაგან განშორებასა იტყვს გულისსიტყუათაგან და ნებათა, რამეთუ უკუეთუ ესენი თანა იყვნენ, უსარგებლო არს უცხოებად იგი.

<sup>17</sup> „თკსად“ იტყვს ნებათა, ხოლო „უცხოდ“ – გარეშეთა საქმეთა, ვითარ ჭამადთა და ნათესავთა და მეგობართა, და სხუათა ესე-ვითართა.

რამცა მოიგებს სიყუარულსა ჭორციელსა და უსარგებლოსა გინა-თუ კაცისა მიმართ, გინა-თუ მონაგებთა, რაღა არა ვნებათათვა მიმოსლვა იყოს საქმი მისი და არა – უცხოება.

15. რომელი უცხო იქმნეს სოფლისაგან, ნუდარამცა შე-ეხების სოფელსა, რამეთუ ვნებანი მოქცევისმოყუარე არიან.

16. განიდევნა სამოთხისაგან ევა უნებლიადთ, და მონა-ზონი ნებსით მამულისაგან და ქუეყანისა თვისისა, რამე-თუ მას კუალად ძელისა მისგან ურჩებისა გულისთქუმად ეგულებოდა, ხოლო ამას – ვნება შეემთხუეოდა მარადლე ნათესავთაგან და მეგობართა.

17. ივლტოდე ვითარცა ცეცხლისაგან ადგილთა მათგან დაცემისათა, სადა შემთხუეულ იყოს შენდა ცოდვად, რამე-თუ რაჟამს არა ვხედვიდეთ ნაყოფთა მათ სიმწარისათა, არა ზედამსზედა გული გკთქუმიდეს.

18. ნუცამცა ამას ღონესა და მზაკუვარებასა ბოროტთა მათ მპარავთასა უმეცარ ხარ, რამეთუ გუანუევდიან არა განშორებად ერისკაცთაგან, ვითარმცა დიდი სასყიდელი მოგუეცემოდა, უკუეთუ ვხედვიდეთ დედათა და ალვრ-ვასხ-ნეთ თავთა ჩუენთა. არამედ ნუმცა გუაცოტუნებენ, გარნა უფროდასად ნინააღმდეგომსა ვიქმოდით.

19. რაჟამს თვისთაგან ჟამ რავდენმე განვეშორნეთ და მცირედი რაღმე ლმობიერებად ანუ კრძალულებად მოვი-გოთ, მაშინ უკუე გულისსიტყუანი იგი ამაონი ზუაობისა-ნი მოგვკეთიან და გუატყყოდიან კუალად თვისსავე ქუეყანასა მიქცევად სარგებელად მრავალთა, და სახედ კეთილისა და ალსაშენებელად მათდა, რომელნი მეცნიერ იყვნეს საქმეთა ჩუენთა ბოროტთა და დაბრკოლებულ მათთვეს. და უკუეთუ სიტყუად რაღმე სწავლისად ანუ მცირედი რაღმე გულისჭმის-ყოფად გუაქუნდეს, მერმე ვითარცა მაცხოვართა სულთავესა და მოძღუართა სოფლად მიქცევად გუანუევენ, რაღა რა-იგი ნავთსადგურსა შინა კეთილად შეგკრებიეს, გულსა შინა ზღვსასა ბოროტად განვაპნიოთ.

20. ნუ ცოლსა ლოთისსა, არამედ ლოთს ვემსგავსანეთ სივლტოლითა, რამეთუ სული, რომელი მიიქცეს, ვინაა განვიდა, დადნეს, ვითარცა მარილი და იქმნეს ძეგლ შეუძრველ.

21. ივლტოდე ეგპტით, რამეთუ გულნი, რომელნი კუალად იქცეს ეგპტედვე, ქუეყანად იგი უვნებელობისად – იერუსალიმი – ვერ იხილეს.<sup>18</sup>

22. იქმნების ესეცა, რომელ რაუამს ჩჩკლნი გამოსრულვინმე იყვნენ ქუეყანით თვისით და სრულიად განწმედილ იყვნენ, კუალად მუნვე მიქცევად კეთილად ამით გულის-სიტყვთა, რათა შემდგომად თვისისა ცხოვნებისა სხუანიცა აცხოვნენ, რამეთუ მოსეცა ღმრთისმხილველი იგი, მი-რა-ივლინებოდა ღმრთისა მიერ გამოყვანებად თვისთა, მრავალნი ესხნეს ნათესავნი ეგპტესა შინა, რომელ არს სიბნელი.

23. უმჯობეს არს შენუხებად მშობელთად, ვიდრელა უფლისად, რამეთუ მან დაგუბადნა და გუაცხოვნნა, ხოლო მათ მრავალგზის რომელნი შეიყუარნეს, წარწყმიდნეს და სატანჯველად მისცნეს.

24. იგი არს ჭეშმარიტი უცხოო, რომელი უცხოთა ენათა შორის უენოდ ჯდეს გულისჯმის-ყოფით.

25. არა-თუ სიძულილისათვს თვისთა და ქუეყანათა ჩუენთავსა წარვალთ მიერ, ნუ იყოფი! არამედ მათ მიერ ჩუენ ზედა მომავალისა ვნებისა დახრწევისათვს მოღუანებისაგან.

26. ვითარცა-იგი ყოველსავე ზედა კეთილსა სახე გუექმნა ქრისტე, ეგრეთვე ამასცა ზედა, რამეთუ მანცა მრავალ-

---

<sup>18</sup> იხილე, ვითარ გულისსიტყუადცა ოდენ დაშვის და გულის-თქუმად. რამეთუ, არა-თუ საქმისა მიმართ მიქცევისათვს, არამედ გულისთქუმისათვს ოდენ დაისაჯნეს იგინი, რამეთუ არა-თუ წორცითა შთავიდა ეგპტედ ერი იგი, არამედ ოდენ გულისთქუმად შეექმნა მუნ მისლვად, და ამისთვს დაისაჯნეს არღარა შესლვად ქუეყანასა მას აღთქუმისასა. ამისთვს ნეტარი ესე მამად იოვანე განგუაკრძალებს, რათა ვეკრძალნეთ გულისთქუმათა ბოროტთა.

გზის დაუტევნის წორციელნი ნათესავნი მისნი. ამისთვის ა, ოდესმე პრქუეს რაზ, ვითარმედ: „დედა შენი და ძმანი შენი გეძიებენ შენ“ (მარკ. 3,32), მეყვა შინა კეთილმან მან უფალმან და მოძღვარმან ჩუენმან აჩუენა უვნებელი სიძულილი და თქუა, ვითარმედ: „დედა ჩემი და ძმანი ჩემი არიან, რომელნი ჰყოფდენ ნებასა მამისა ჩემისა ზეცათად-სასა“ (მათ. 12,50).

27. იყავნ მამად შენი, რომელი ტკრთვასა შინა ცოდვა-თა შენთასა შენთანავე დაშურებოდის და შეგეწეოდის და განგაძლიერებდეს; ხოლო დედა შენი – ლმობიერებად და ტირილი, რომელსა ძალ-უც მწიკულევანებისაგან ცოდვა-თა შენთავსა განბანად შენდა, ხოლო ძმა შენდა – რომელი სრბასა მას შინა ზეცად აღმყვანებელისა გზისასა შურე-ბოდის და რბილდის შენ თანა.

28. მოიგე მეუღლე – განუშორებელი წსენებად სიკუდილისაზ, და შვილნი შენნი საყუარელნი იყვნედ სულ-თქუმანი გულისანი, და მონად მოიგენ წორცნი შენნი, ხოლო მეგობრად – წმიდანი იგი ძალნი, რომელთა ძალ-უც უამსა სიკუდილისასა დიდად სარგებელი შენი, უკუეთუ მეგობარ შენდა იქმნენ, და „ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალ-სა, ეძიებს ხილვად პირსა ღმრთისა იაკობისსა“ (ფსალმ. 23,6).

29. სურვილმან ღმრთისამან დაშრიტის სიყუარული მშობელთაზ, ხოლო რომელი იტყოდის, ვითარმედ: „ძალ-მიც ორისავე დამჭირვად“, იგი თავსა თვესსა აცთუნებს, რამეთუ არა გულისქმა-ჰყოფს, რასა იტყვს უფალი, ვითარმედ: „ვერ-ვის წელენიფების ორთა უფალთა მონებად“ (მათ. 6,24).

30. იტყვს უფალი, ვითარმედ: „‘არა მოვედ ქუეყანასა მიფენად მშკდობისა’“ (მათ. 10,34) მამა-დედათა შვილთა მიმართ და ძმათა ძმათა მიმართ, რომელთა ენებოს მონე-ბად ჩემი, არამედ მტერობად და მახკლი, განყოფად ღმრთის-მოყუარეთა სოფლისმოყუარეთაგან, ნივთიერთა – უნივ-

თოთაგან, დიდებისმოყუარეთა – მდაბალთაგან“. რამეთუ უხარის უფალსა განყოფისათვს, რომელი მისისა სიყუარულისათვს იქმნებოდის.

31. იხილე, იხილე და განეკრძალე, ნუუკუე რაჟამს-იგი წყლითა აღივსებოდის ყოველი სოფელი, იქმნე შენ თკსთა და მშობელთა შენთა თანაყოფისა მოყუარე, და არა შეხვდე კიდობანსა მას მოღუაწებისასა, და წარსწყმდე წყლითრღუნისა თანა სოფლისმოყუარებისასა.

32. ნუ გეწყალიან მშობელთა ანუ მეგობართა ცრემლნი, რადთა არა საუკუნოდ სცრემლოოდი.

33. რაჟამს გარემოგადგენ შენ, ვითარცა ფუტკარნი, და უფროვსლა, ვითარცა ბზიკნი, თკსნი შენნი, და გოდებასა იქ-მოდინ შენ ზედა, მაშინ ძლიერად თუალნი სულისა შენისანი საქმეთა შენთა და სიკუდილისა შენისა მიმართ მიიყვანენ მიუდრეკელად, რადთა ტკივილითა ტკივილსა უძლო გან-გდებად შენგან.

34. გვიქადებდიან ჩუენ ზაკუვით ჩუენნი იგი და არა ჩუენნი,<sup>19</sup> ვითარმედ: „ყოველი, ვითარცა გნებავს და რაღ-ცა გიყუარს, ვქმნათ“, ხოლო ესე არნ გულისსიტყუად მათი, რადთამცა ჩუენი იგი კეთილი სრბად დაგვხრნიეს, და მერმე-ცა თკსისა ნებისა მიმართ მიგვყვანეს ღონისძიებით.

35. წარსლვად ქუეყანით ჩუენით იყავნ ადგილთა მიმართ ფიცხელთა, სადა არა იპოებოდის ნუგეშინისცემად ჭორ-ციელი, და არცა გუექმნებოდის მუნ ცუდადდიდებად, არა-მედ უფროვსად – დამდაბლებად, ხოლო უკუეთუ არა ესრეთ ვქმნათ, ვნებათა ფრთითა ვფრინავთ.

36. ევლტოდე ჭელმწიფეთა შვილობისა და დიდებუ-

<sup>19</sup> „ჩუენად“ იტყვეს ნათესავთა ჩუენთა თკსობისათვს ჭორციელ-ისა, ხოლო „არა ჩუენად“ – რამეთუ არა სულისა ჩუენისა უმჯო-ბესა იტყვან. და კუალად, გულისსიტყუანიცა ბოროტნი „ჩუენნი“ არიან და „არა ჩუენნი“. „ჩუენნი“ – ამისთვს, რამეთუ ჩუენ შორის არიან, და „არა ჩუენნი“ – რამეთუ ეშმაკთა მიერ მოვლენ.

ლებისა გამოცხადებად, რათა არა იპოვ სხვსა მეტყუელი პირითა და სხვსა გამომაჩინებელი საქმითა.

37. არავის ესრეთ შეუორგულებელად მიუცემიეს თავი თკსი უცხოებად, ვითარ დიდსა მას, რომელსა ესმა, ვითარ-მედ: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენი-სა და სახლისაგან მამისა შენისა“ (დაბ. 12,1), რომელი-იგი უცხოსა ენასა და საბარბაროზოსა ქუეყანასა მიიწოდებოდა.

38. მრავალგზის იქმნის ესეცა, რომელ მსგავსად დიდისა მის აბრაჟამისა ადიდის უფალმან უცხოებად განსრული სა-ხელისა მისისათვეს; გარნა, დაღაცათუ დიდებად იგი ღმრთივ-მონიჭებული იყოს, არამედ კეთილვე არს ფარითა სიმდაბ-ლისამთა გარემიქცევად მისი.

39. რაჟამს ეშმაკნი, ვითარცა დიდსა რასმე სათნოე-ბასა ზედა გუაქებდენ, ანუ-თუ კაცნიცა – უცხოებისა ჩუ-ენისათვეს, მაშინ ჩუენ მოვიწსენოთ ზეცით ქუეყანად მო-სრული იგი და ჩუენთვეს უცხო-ქმნული, და ვპოვნეთ თავნი ჩუენნი, ვითარმედ დაღაცათუ უკუნითი-უკუნისამდე ჟამ-თამცა ვიღუნიდით და უცხო ვიქმნენით, ნაცვალსა მისსა ვერ აღვასრულებთ.

40. ძნელ არს და ბოროტ ფრიადი სიყუარული წორცი-ელი გინა-თუ თკსთა, გინა-თუ უცხოთაგანისა ვისიმე მი-მართ, რომელი-იგი შემძლებელ არს ჩუენდა მიქცევად სოფლადვე და სრულიად დაშრეტად ცეცხლსა მის ლმო-ბიერებისა ჩუენისა, უკუეთუ ვსცეთ მას ადგილი.

41. ვითარცა შეუძლებელ არს ერთითა თუალითა ზეცად ხედვად და მეორითა ქუეყანად, ეგრეთვე შეუძლებელ არს, თუმცა არა ევნო სულსა, რომელი არა უცხო იქმნეს სრული-ად თკსთაგან გონებითა, ანუ-თუ წორციელადცა.

42. მრავლითა შრომითა და მოსწრაფებითა წარე-მართების ჩუენ შორის ჩუეულებად კეთილი, და მრავალთა ჟამთა შრომითა წარმართებული იგი შესაძლებელ არს ერ-თისა ჟამისა წამსა წარწყმედად, რამეთუ „განხრწნიან გო-

ნებათა ტკბილთა და წესთა კეთილთა ზრახვანი ბოროტნი და უშუერნი სოფლისანი“ (შდრ. 1 კორ. 15,33).

43. რომელი შემდგომად სოფლით გამოსლვისა სოფლი-ოთავე თანა იქცეოდის, ანუ მახლობელ მათსა იყოს, უეჭუე-ლად ანუ მათვე საფრჩეთა შთავარდეს, რომელთა შთავრ-დომილ იყო, ანუ-თუ ხედვითა და სმენითა მათითა გული მისი შეიგინებოდის, ანუ უკუეთუ თკო არა შეიგინებოდის, რომელნი შეიგინებოდინ, მათ განიკითხვიდის და ესრეთ შეიგინებოდის.

### სიზმართათკს

44. ჩუენისა გულისჯმის-ყოფისა გონებად უნდო არს და ყოვლითავე უგულისჯმოებითა სავსე, და შეუძლებელ არს ამისი დაფარვად, რამეთუ სასაა ჭამადთა განარჩევს და სა-სმენელი გულისჯმის-ყოფასა სიტყუათასა იცნობს, რამეთუ უძლურებად თუალთად გამოაჩინის მზემან, ხოლო უგულის-ჯმოებად სულისად გამოაჩინიან სიტყუათა, გარნა სიყუარუ-ლი ძალისაებრ კაცისა მაიძულებელ არს. და ამისთკს ვთქუა, ვითარცა გულისჯმა-ვჰყოფ, რამეთუ ვჰვონებ, არა-თუ გან-ვაჩინებ და დავამტკიცებ, ვითარმედ შემდგომად უცხოებად განსლვისა სიზმარნი გუებრძვიან. ამისთკს ვინებე უცხოე-ბისა თავსა თანა მცირედი სიზმართათკსცა თქუმად, რადთა ამასცა ღონესა მზაკუვართა მათ მტერთა ჩუენთასა არა უმეცარ ვიყვნეთ.

45. სიზმარი არს ალძრვად გონებისად უძრაობასა შინა წორცთასა.

46. უცნებად არს ცოლმილებად თუალთად მძინარესა გო-ნებასა შინა.

47. უცნებად არს განცემებად გონებისად მღვდარებასა შინა წორცთასა.

48. უცნებად არს ხილვად უგუამოდ და არაარსი.

49. მიზეზი, თუ რადსათვს უცხოებისა თავსა თანა ვინებე თქუმად სიზმართათვს, განაღა საცნაურ არს.

50. რაჟამს დაუტევნით უფლისათვს თვისნი და სახლნი ჩუენნი და მივსცნეთ თავინი ჩუენნი უცხოებად სიყუარულისათვს ღმრთისა, მაშინ ეშმაკნი სიზმართა მიერ შეგუაშფოთებდიან ჩუენ და გვჩუენებდიან თვისთა ჩუენთა ვითარცა მგლოვარედ, ანუ ვითარცა მომკუდრად, ანუ ვითარცა ჩუენთვს შეპყრობილნი და ჭირვეულნი.

51. რომელი სიზმართა ირწმუნებდეს, მსგავს არს კაცსა, რომელი აჩრდილსა თვისსა სდევდეს და ენებოს შეპყრობად მისი.

52. ეშმაკნი ცუდადდიდებისანი ძილსა შინა წინავსნარმეტყუელ იქმნიან, რამეთუ მომავალთა საქმეთა გუახარებდიან; არამედ არარად მომავალთაგანი უწყიან, გარნა ანუ ტყუოდიან, ანუ, თუ იქმნის საქმე იგი, სახითა რაღთამე ეცნის, ანუ ასმიოდის რამე სხუასა ადგილსა მისთვს, ანუ ენახის, და ვითარცა მანქანათა ეცნის, და მოვიდიან მსწრაფლ და გვთხრიან, და იგიცა ჰაზრით, და უკუეთუ იქმნის სიტყუად მათი, მათ უხარინ, უკუეთუ არა იქმნის, მათ რად ეურვების!

53. რაჟამს ჩუენ მიერ ხილულნი სიზმარნი იქმნიან, ჩუენ განვკრდით, და ვითარმცა მახლობელ-ქმნილ ვიყვენით მადლსა მას წინავსნარმეტყუელებისასა, და აღვზუავნით.

54. რომელი ირწმუნებდიან ეშმაკისასა, მათ მრავალგზის წინავსნარმეტყუელ ექმნის, ხოლო შეურაცხისმყოფელთა მისთა თანა მარადის მტყუვნად გამოჩნდის.

55. სულ არს იგი და შინაგან ჰაერისა ამის ქმნულნი საქმენი იხილნის, და ცნის სიკუდილი მომკუდარისად მის და მივიდის და უთხრობს უგუნურთა, და გამოჩნდის მათ თანა წინავსნარმეტყუელად.

56. არარად მომავალთა საქმეთაგანი იციან წინავსნარმცნობელობით, თუ არა, გრძნეულნი წინავსნარმცა თხრობად სიკუდილისა შემძლებელ იყვნეს.

57. ანგელოზად ნათლისა და სახედ მოწამეთა შეიცვალებიან მრავალგზის, და ჩუენ გვჩუენებდიან ძილსა შინა, ვითარმცა მათდა მიმართ მივიღოდეთ, და გან-რაღ-გუელკძის, სიხარულითა და ზუაობითა აღგუავსნიან.

58. სასწაული საცთურებისა მათისაა ესე იყავნ, რამეთუ ჭეშმარიტი ანგელოზი სატანჯველთა და საშჯელსა და განშორებასა სულისასა წორცთაგან გვჩუენებდიან, და გან-რაღ-ვიღკძით, შეძრწუნებულ და შეშინებულ და შექმუნვებულ ვიყვნით.

59. რაუამს ძილსა შინა ეშმაკთასა ვიწყოთ დარწმუნებად, მაშინ მღვდარედცა ვიყვნეთ რაღ, გუემღერიან.

60. რომელი სიზმართასა ირწმუნებდეს, ყოვლითურთ გამოუცდელ არს, ხოლო რომელი ურწმუნო იყოს მათდა ყოვლადვე, იგი ყოვლადბრძენ არს.

61. ყოველთავე, რომელი სატანჯველთა და საშჯელსა გიჩუენებდენ, მათი გრწმენინ, ხოლო უკუეთუ სასოწარკუეთილებად გბრძავს, იგიცა ეშმაკთა მიერ არს.

მესამც აღსავალი სათნოებათა კიბისაა, ძალითა წმიდისა სამებისათა. რომელი აღსრულ ხარ წმიდასა ამას დალიჭსა ზედა, ნულარა მიხედავ მარჯულ, გინა მარცხლ.

## მორჩილებისათვის ყოვლადქებულისა და შუენიერისა

### თავი 4

1. მოწევნულ არს სიტყუად ჟამსა თკასა მოსწრაფეთა მათ მიმართ და მოღუაწეთა ქრისტესთა, რამეთუ ყოველსავე ნაყოფსა წინაუძღვს ყუავილი, და ყოველსავე მორჩილებასა – უცხოებად ანუ ჭორცთადცა ანუ ნებისად უეჭუელად, რამეთუ ამით ორითა სათნოებითა, ვითარცა ორითა ფრთითა ოქროდესათა დაუყენებელად ზეცად აღვალს სანატრელი მორჩილებად; და ნუუკუ მისთვის იტყოდა სულითა შემოსილი იგი წინავსნარმეტყუელი, გალობდა რად, ვითარმედ: „ვინმცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი, და ავფრინდიმცა საქმისა მიერ, და განვისუენე ხედვისა მიერ და სიმდაბლისა“ (მდრ. ფსალმ. 54,7).

2. ნუცამცა სახესა ახოანთა მათ მწედართასა თანანარვედებით საცნაურ-ყოფად სიტყვსა მიერ ჩუენისა, ვითარიგი უპყრიეს ფარი ღმრთისა მიმართ და მოძღურისა სარწმუნოებისად, და მის მიერ ყოველსავე ურწმუნოებისა ანუ მიმოსლვისა გულისიტყუასა გარემიაქცევენ, და მახვლსა მას სულისასა მარადის აღმოიწდიან, და ყოველსავე ნებასა თკასა მოსწყუედენ, და შემოსილ არიან ჯაჭვთა სიმშედისა და მოთმინებისათა, და ყოვლისავე გინებისა და შეურაცხებისა ისართაგან მოუწყლველად ჰეთან, და აქუს ჩაფხუტი ცხორცებისად, რომელ არს საფარველი მოძღურისა ლოცვათად. ხოლო შეწყობილად ფერწითა არა ოდეს დგანან, არამედ ერთი მსახურებისა მიმართ განუმარტებიეს, და მეორც ლოცვისაგან აქუს შეუძრველად.

3. მორჩილებად არს უარის-ყოფად სულისა თკასისად სრულიად, ჭორცთა მიერ გამოჩინებული განცხადებულად; გინა-თუ ესრეთ – მორჩილებად არს მოკუდინებად ასოთად გონებითა ცხოველითა.

4. მორჩილებად არს გამოუწყლილველი აღძრვად, ნებსი-თი სიკუდილი, განუკითხველი ცხორებად, უზრუნველი ჭირი, უწურთელი ღმრთისა სიტყვსგებად; უშიშობად არს სიკუდი-ლისად, სავალი არს დაუნთქმელი ზღუასა შინა და მოგზაუ-რებად არს ძილსა შინა.

5. მორჩილებად საფლავი არს ნებისად და აღდგომად სი-მდაბლისად.

6. არა სიტყუას-უგებნ მკუდარი იგი მორჩილებისამიერი, არცა განარჩევნ კეთილსა, ანუ რომელი-იგი ბოროტად სა-გონებელ არნ მისა. რამეთუ, რომელსა-იგი მოუკუდინებიეს ღმრთისმოშიშებით სული მისი, მან მისცეს სიტყუად მისთვს.

7. მორჩილებად არს განშორებად სიბრძნისა და გულის-წმის-ყოფისა სიმდიდრითა სიბრძნისა და გულისწმის-ყოფი-საგთა.

8. დასაბამი მოკუდინებისად ასოთაცა წორცთადსა და ნე-ბათაცა სულისათად არს ჭირი და ტკივილი; ხოლო საშუალი – ოდესმე ტკივილი და ოდესმე უტკივარობად; ხოლო დასას-რული – სრულიად უტკივარობად და უცნაურებად ტკივილი-სად, რაჟამს მაშინ ოდენ სტკივინ და ელმინ ცხოველსა მას და სანატრელსა მკუდარსა, ოდეს იხილის თავი თვისი თვისისა ნებისა აღმასრულებელად, რამეთუ ეშინინ ტკრთვად თვისსა საშველსა.

9. ყოველნი, რომელნი განმზადებულ ხართ შესლვად ასპარეზსა ამას სულიერისა მის წამებისასა, რავდენთაცა უღელსა უფლისასა ქედთა ზედა გნებავს ტკრთვად, რავდენ-ნიცა ისწრაფით თვისსა ტკრთსა სხესა ბეჭთა ზედა დადებად, რომელთაცა ნებსით დაწერად ჭელითწერილი მონებისად და მის წილ აზნაურებისა დაწერად თავთა თვისთათვის გსურის, რაოდენნიცა ჭელთა ზედა სხუათადსა აღმაღლებულნი დიდსა ამას ზღუასა წიაღ-ხუალთ – უწყოდეთ ეგევითართა მაგათ, ვითარმედ გზასა მოკლესა და ფიცხელსა გინყიეს სლვად, რომელსა შინა არა არს საცოტური, გარნა ერთი,

რომელსა ეწოდების თკთრჩულობად. ხოლო რომელმან ესე სრულიად უარყოს და არცა-თუ რომელი-რად კეთილად და სულიერად უჩნდეს, მას ზედა ყოს თკსი ნებად, იგი პირველ სლვისა მიწევნულ არს, რამეთუ მორჩილებად არს ურნმუნებად თავისა თკსისად ყოველსავე ზედა, ვიდრე აღსასრულადმდე ცხორებისა.

10. რაჟამს გუეგულებოდის უფლისა მიერ თკსთა ქედთა მოდრეკად გულისიტყვკთა სიმდაბლისა და საღმრთოვსა ცხორებისათა, მაშინ პირველ შესლვისა ჩუენისა, უკუეთუ იყოს ჩუენ თანა სიბრძნეც რაძმე და სიმახკლც გონებისად, გამოვიძიოთ და გამოვიკულიოთ, და რაღთა ესეცა ვთქუა – გამოვცადოთ წინამძღუარი იგი, რომელსა თანა შევიდოდით, რაღთა არა მენავესა თანა, ვითარცა მენავეთმოძღუარსა, და სნეულსა თანა, ვითარცა მკურნალსა, და ვნებულსა თანა, ვითარცა უვნებელსა მივიდეთ, და ზღვსა გულსა, ვითარცა ნავთსადგურსა შევიდეთ, და ადრე ვპოოთ დანთქმად.

11. ხოლო შემდგომად შესლვისა ასპარეზსა მას ღმრთისმსახურებისა და მორჩილებისასა, ნუღარამცა მოძღუარსა და წინამძღუარსა კეთილისა მის ჩუენისასა განვიკითხავთ რასაცა ზედა ყოვლადვე, დალაცათუ რაძმე დაკლებად ვიხილოთ მის თანა, ვითარცა კაცისა; თუ არა, უკუეთუ რასაცა ზედა განვიკითხვიდეთ მას, უწყოდეთ, ვითარმედ არარად სარგებელ-გუეყოფის მორჩილებისა მისგან.

12. ჯერ არს მათდა, რომელთა ენებოს წინამძღუართა მიმართ შეუორგულებელისა სარწმუნოებისა დამარხვად მარადის, რაღთა მათნი სათნოებანი გულთა შინა თკსთა აუქოცელად და სამარადისოდ საწსენებელად აქუნდენ, რაღთა რაჟამს ეშმაკნი ურნმუნოებასა მოუვლენდენ, იგინი საქმეთა მათ კეთილთა ჭისენებითა უკუნაქცევდენ მათ, რამეთუ რაოდენ სარწმუნოებად განმრავლდებოდის გულსა შინა, ეგოდენცა ჭორცნი მოსწრავე და მწნე არიან მსახურებასა შინა. ხოლო რაჟამს ურნმუნოებითა შეუბრკუმეს, დაეცემის, და

„ყოველი, რომელი არა სარწმუნოებით იყოს, ცოდვა არს“ (რომ. 14,23) – ვითარცა მოციქული იტყვას.

13. რაუამს მოგიწდეს გულისიტყუად განკითხვად მოძღვრისა, ვითარცა სიძვისაგან, ივლტოდე მისგან, ნუ სცემ ყოვლადვე ადგილსა გუელსა ამას, არამედ მიუგე ვეშაპსა მას და არქუ: „შ, მაცთურო, არა-თუ მე მთავრისად მის, არა-მედ იგი ჩემი არს მსაჯული, რამეთუ არა-თუ მე – მისი, არა-მედ მას ჩემი ტკრთი უტკრთავს“.

14. წმიდათა მამათა მარხვად თქუეს საჭურველად და ლოცვად – ზღუდედ, და უბინონი იგი ცრემლნი – საბანელად. ხოლო სანატრელი მორჩილებად წამებად ქადაგეს, და თვინიერ მისა ვერვინ ცოდვილთა და ვნებათა შინა შეთხზულთაგანმან იხილოს პირი უფლისად.<sup>20</sup>

15. რომელი მორჩილებასა შინა იყოს, იგი თკთ ჰყოფს

---

<sup>20</sup> ვითარ იტყვას, თუ თვინიერ მორჩილებისა არავინ იხილოს უფალი? და ვითარ იხილა მარიამ მეგვპტელმან და მამამან ანტონი, და სხუათა მრავალთა? გარნა ესრეთ გულისჯმა-ვყოთ სიტყუად ესე, ვითარმედ: რომელი იქმნას ესრეთ მცურვალე და დაამორჩილნეს წორცნი სულსა, და მხილებად იგი სკნიდისისად, რომელ არს გონებად მამხილებელი ბოროტად, ყოს მსაჯულ თავისა თვისისა, და აღეგზნას მის შორის მძაფრი სიყუარულისა ღმრთისა ცეცხლი, იგი მორჩილ იქმნა საღმრთოთა მცნებათა, და პირველ ხილულისა მორჩილებისა მიინია უხილავსა მას. მათ უკუე წმიდათა, რომელნი თვინიერ მორჩილებისა წარემართნეს, ვინადთგან ესევითარი იგი ცეცხლი საღმრთო მოიგეს, ამისთვის იქმნნეს ესევითარნი; არამედ ძნელ არს და ძნიად საპოვნელ ესევითარი საქმე. და რომელსა ესევითარი გულისიტყუად და საქმე არა მოეგოს, იგი თვინიერ მორჩილებისა ვერ იხილავს პირსა ღმრთისასა. რამეთუ, ანუ ჯერ არს, რათა ღმრთისა მცნებათა მორჩილ იქმნას კაცი და მისწუთეს ესევითარსა საზომსა, ანუ მოიგოს მოძღვრისა მორჩილებად და მის მიერ მიინიოს ღმრთისა მორჩილებასა. და თკთ მოძღვრისა მორჩილებად ღმრთისა მორჩილებად არს, რამეთუ მისისა მცნებისათვის ჰმორჩილებს მორჩილი მოძღვარსა.

თავისა თვისისაგან ჩინებასა. რამეთუ უკუეთუ ღმრთისათვს სრულიად დაემორჩილოს, დაღაცათუ მას ესრეთ უჩნდეს, თუ არა აღუძარცვიეს ტკრთი თვისი, გარნა სრულიად განუგდიეს იგი. უკუეთუ კულა ნებასა თვისა აღასრულებდეს რომელთამე საქმეთა ზედა, დაღაცათუ მას ეგონოს, თუ აღუძარცვიეს ტკრთი თვისი, არამედ თვთვე ჰკიდავს იგი,<sup>21</sup> და უფროხსად, უკუეთუ არა დაეცადოს მოძღუარსა მხილებად მისი. უკუეთუ კულა დაეცადოს და დაეტეოს იგი უმხილებელად, არა უწყი, თუ რად ვთქუა ამას ზედა.

16. რომელნი სიწრფოებით ჰმორჩილებენ უფლისა მიერ, კეთილსა გზასა ვლენ, რამეთუ არა აღძრვენ მანქანებისა და გამოწულილვისა<sup>22</sup> მიერ თავთა ზედა თვისთა მანქანებასა ეშმაკისასა.

17. ყოვლისა პირველად აღუარნეთ ცოდვანი ჩუენნი კეთილსა მას წინამძღუარსა ჩუენსა ხოლო; და უკუეთუ გპბრძანოს, წინაშე ყოველთაცა აღვიარნეთ, რამეთუ წყლულებანი რაზომცა გამოჩნდებოდინ, არა განფიცხნებიან, არამედ განიკურნებიან.

18. მივედ ოდესმე ერთსა მონასტერსა, და ვიხილე მუნ საშჯელი საშინელი კეთილისა მსაჯულისა და მწყემსისად. რამეთუ, რაჟამს-იგი მუნ ვიყავ, მოვიდა ვინმე კრებულისაგან ავაზაკთადსა მონაზონებად. და ბრძანა მისთვს კეთილმან მან მწყემსმან და მკურნალმან შკდ დღე ყოვლითა გან-

<sup>21</sup> მდაბალი არასადა დაირწმუნებს, თუ კეთილად ვმორჩილებ, არცა თუ მიპოვნიეს შენდობად ცოდვათად. და ესევითარსა მას ჭეშმარიტად უპოვნიეს შენდობად. ხოლო რომელი ამპარტავან იყოს, იგი ურჩი არს და ჰგონებნ, თუ კეთილად ჰმორჩილებს და უპოვნიეს შენდობად ცოდვათად, არამედ არასადა უპოვნიეს ესევითარსა მას შენდობად.

<sup>22</sup> „გამოწულილვასა“ მას იტყვს, რაჟამს მოწაფე გამოიწულილვიდეს სიტყუათა მოძღურისათა, თუ ესე რად მრქუა, ანუ მას რასამე რად იტყოდა.

სუენებითა განსუენებად, რამთა ოდენ ხედვიდეს წესსა მას მონასტრისასა. და შემდგომად შკდეულისა მის მოუწოდა მას მწყემსმან მან თკაგან და ჰერითხვიდა, უკუეთუ სთნავს ამათ თანა ყოფად. და ვითარცა იხილა, რამეთუ გულსმოდგინედ აღუთუქუმიდა, კუალად ჰერითხა საქმეთათკა, რომელი სოფელსა შინა ექმნეს. და იხილა რამ, ვითარმედ მოსწრაფებით და მწურვალედ აღიარებდა, კუალად ეტყოდა გამოცდით, ვითარმედ: „მნებავს, რამთა ყოველთა ძმათა წინაშე აღიარნე ყოველი ეგე“.

19. ხოლო მას ჭეშმარიტად მოეძულნეს ცოდვანი მისნი და შეურაცხ-ეყო ყოველი სირცხვლი, და ამისთვის შეუორგულებელად აღუთქუა საქმე იგი და ჰერქუა, ვითარმედ: „უკუეთუ გნებავს, ქალაქსაცა შორის ალექსანდრიასა“. მაშინ უკუე შემოკრიბნა მწყემსმან მან ეკლესიას ყოველნივე იგი პირმეტყუელნი ცხოვარნი, რიცხვთ ორას ოცდაათნი. და რაჟამ-იგი წმიდასა უამისნირვასა აღასრულებდეს, რამეთუ იყო კვრიაკე დღე იგი, და შემდგომად სახარებისა წარკითხვისა შემოიყვანა განქიქებული იგი უბინოდ, და მოითრევდეს მას რავდენიმე ძმანი და სცემდეს მას ნელიად, და წელნი უკუღმართ შეეკრნეს და ძაძად ბალნისა შეემოსა მისდა, და თავსა მისსა ესხა ნაცარი, ვიდრელა ხილვისაგან ოდენ განკვრდეს ყოველნივე და ტირილით გოდებდეს, რამეთუ არავინ იცოდა, რამ-იგი ჰერბავს მას ყოფად.

20. და ვითარცა მოეახლა ბჭეთა ეკალესისათა, წმა-უყონეტარმან მან და წმიდამან მამამან წმითა დიდითა და ჰერქუა: „დეგ მანდა, რამეთუ არა ღირს ხარ აქა შემოსლვად“. ხოლო იგი განჰერთა წმასა მას ზედა მწყემსისასა, რომელი-იგი ესმა საკურთხეველით, რამეთუ ვითარცა მან თკთ უკუანადსკნელ ფიცით გულსავსე-მყო, ვითარმედ წმად ქუხილისა ეგონა და არა – წმად კაცისად. და დავარდა მეყსეულად პირსა ზედა შეძრნუნებული და შეშინებული შიშითა, და მდებარე ქუეყანასა ზედა დაალტობდა ადგილსა მას ცრემლითა. და უბრ-

ძანა კუალად საკურველმან მან მკურნალმან, რომელმან-იგი ყოველსავე შინა ცხორებად მისი იძია და სარკე ცხორებისა და სახედ სიმდაბლისა ჭეშმარიტისა ყო იგი, და ჰრქუა მას მაშინ თქუმად საქმეთა თვესთა წინაშე ყოველთადსა.

21. ხოლო იგი აღიარებდა ძრწოლით ყოველსავე თითო-ეულად საქმეთა განსაკურვებელთა, არა წორციელთა ოდენ და ბუნებითთა, არამედ გარეშეთაცა ბუნებისა, და მწამლვე-ლობათა და კაცისკლვათა და სხუათა, რომელთად არა ჯერ არს სმენად. და შემდგომად აღსარებისა ბრძანა მისი აღკუე-ცაა და ძმათა თანა შერაცხვად.

22. ხოლო მე დამიკურდა წმიდისა მის სიბრძნეც და ვკითხევდი თვესაგან, თუ რადესათვს ქმნა უცხოო იგი სახც. ხოლო ჭეშმარიტმან მან მკურნალმან მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ: „ორთა სახეთათვს ვქმენ ესე:

23. ერთად – რადთა ესევითარითა ამით სირცხვლითა საუკუნოდა მის სირცხვლისაგან ვიჩსნა იგი, და ესრეთ-ცა იქმნა. რამეთუ არღა აღდგომილ იყო ქუეყანით, ძმაო იოვანე, ვიდრემდის ყოველისავე შენდობად პოვა.

24. და ნუ ურწმუნო იქმნები ამას ზედა, რამეთუ ერთ-მან მუნ მდგომარეთა ძმათაგანმან მითხრა, ვითარმედ: ‘ვხედევდი კაცსა ვისმე საშინელსა, რომელსა აქუნდა ქარ-ტად დანერილი ჭელთა მისთა და კალამი, და ვითარცა იტყო-და იგი ქუემდებარც ცოდვათა თვესთა, იგიცა მოუსუმიდა კალამსა ქარტასა მას და აღწოცდა’, და სამართლადცა, რა-მეთუ წერილ არს: ‘ვთქუ: უთხრნე ბრალნი ჩემნი უფალსა და შენ მომიტევე ყოველი ულმრთოებად გულისა ჩემისად’ (ფსალმ. 31,5).

25. ხოლო მეორედ, ამისთვის ვქმენ ესე, რამეთუ არიან აქა ვიეთნიმე, რომელთა ჰქონან აღუარებელნი ცოდვანი, და უჩიუენე მათ ესე სახედ, რადთა იგინიცა მოვიდენ აღსარებად, რამეთუ თვინიერ აღსარებისა ვერვინ მიემთხუევის შენდო-ბასა ცოდვათასა“.

26. და სხუანი მრავალნი საკურველნი და წსენებისა ლირსნი საქმენი ვიხილენ მწყემსსა მას და სამწყმსოსა თანა, რომელთაგანი უმრავლესი ვისწრაფო საცნაურ-ყოფად თქუენდა. რამეთუ დავყავ მუნ არა-მცირედი ჟამი და განვიცდიდი მოქალაქობასა მათსა და მიკრდა, ვითარ ქუეყანისანი მიმსგავსებულ იყვნეს ზეცისათა, რამეთუ სიყუარულისა საკურველსა შეეკრნეს იგინი განუქსნელად. და საკურველი ესე არს, რომელ ყოვლისავე კადნიერებისა და ცუდადმეტ-ყუელებისაგან განშორებულ იყვნეს და მოღუაწებად მათი იყო ყოვლისა პირველად ამას ზედა, რაღთა არარავს ზედა ყოვლადვე მოწყლან გონებად ძმისად. და უკუეთუ ვინმე გამოჩნდის ძმისა მოძულედ, ეგევითარი იგი მწყემსმან მან წარავლინის განშორებულსა მას მონასტერსა, ვითარცა დასჯილი, რამეთუ იყო მონასტერი განშორებული შეცოდებულ-თათვს.

27. და ოდესმე ძმამან ვინმე წინაშე მისსა ძმასა ძკრი უზრახა, და მეყსეულად ბრძანა განძებად მისი ყოვლადწმიდა-მან და იტყოდა, ვითარმედ: „უჯერო არს, რაღთა იყოს მონასტერსა შინა ხილული და უხილავი ეშმაკი“.

28. ვიხილენ მე მათ წმიდათა თანა განსაკურვებელნი და სარგებელითა სავსენი საქმენი, კრებული ღმრთივშეკრებული და სიყუარულითა შეკრული, რომელთად საკურველი იყო საქმიცა და ხილვაზცა, რამეთუ ესრეთ წურთიდეს თავთა თვესთა სათნოებათა შინა, რომელ არცა-თუ უჯმდა მხილებად მამასახლისისად, არამედ თავით თვესით განაღვებდეს ურთიერთას საღმრთოთა მათ საქმეთა მიმართ, რამეთუ აქუნდეს განწესებულად და დამტკიცებულად წესნი და საქმენი ღმრთისანი.

29. და უკუეთუ არა არნ მუნ მამასახლისი და იწყის ვინმე ძკრისზრახვასა ანუ განკითხვასა ანუ ცუდადმეტყუელებასა, წამისყოფითა ფარულად მოაწსენის მას მეორემან და დააცხვის. და უკუეთუ არა ცნის, ანუ არა უს-

მინის, მეყსეულად აღდგის წამისმყოფელი იგი და მოიდრიკ-ნის მუქლნი და წარვიდის.

30. ხოლო იყო მათდა დაუვიწყებელი, და ვთქუა-თუ დაუცხრომელიცა ზრახვად, წესნებად სიკუდილისად და სი-ტყუად საუკუნოებსა საშჯელისად.

31. არა დავიდუმო თხრობად თქუენდა საქმესა მზა-რეულისა მათისასა, რამეთუ ვხედევდი რად მას, ვითარმედ შეუცვალებელი მჭმუნვარებად აქუნდა და ცრემლი სამა-რადისოდ მსახურებასა მას შინა თვესა, ვევედრე რადთამცა მითხრა, თუ ვინად ღირს-ქმნულ არს ესევითარსა მას მადლ-სა; ხოლო ვაიძულე რად, მრქუა მე, ვითარმედ: „არაოდეს მომიგონებია, თუ კაცთა ვჰმსახურებ, არამედ ღმერთსა, და ყოვლისავე დაყუდებისა უღირსად მიჩენია თავი ჩემი, და მაქუს ხედვად ესე ამის ცეცხლისად საწსენებელად საუკუ-ნოებსა მის ცეცხლისა“.

32. სხუად საკვრველი სათნოებად მათი ვისმინოთ, რამე-თუ არცა-თუ ტაბლასა ზედა დასცხრებოდეს საქმეთაგან და ხედვათა სულიერთა, არამედ დაწესებულითა რადმე ნიშნი-თა და ფარულითა წამისყოფითა სულიერსა მას ლოცვასა მოაწსენებდეს ურთიერთას ნეტარნი იგი. და არა ტაბლასა ზედა ოდენ ჰყოფდეს ამას, არამედ ყოველსავე შემთხუევასა და შეკრებასა.

33. და უკუეთუ ვინმე ცოტომად რადმე ქმნის, ფრიად ევე-დრებოდიან მას სხუანი, რაღათა მათ მიუშუას მისთვეს სიტყვ-სა ყოფად მამასახლისისა მიმართ და კანონისა და პატიჟისა მისთვეს მოღებად. ამისთვეცა ესე იცოდა მამასახლისისმან და ესევითართა მათ კანონსაცა სუბუქსა მისცემდა და არ-ლარა ეძიებნ ჭეშმარიტად მოქმედსა მას ცოტომისასა.

34. სადა იპოებოდა მათ შორის ცუდადმეტყუელები-სა ანუ კადნიერებისა საქმი! და უკუეთუ ვინმე მოყუსისა მიმართ ლალვად ყვის, მივიდის მეორც და მუქლთმოდრე-კით შეუვრდის და რისხვად იგი განაქარვის. უკუეთუ კულა

ჯერეთ ძვრის განვითარებასავე ზედა დადგრომილად იხილნის, მიუთხრის იგი მეორედსა მამასახლისისასა, და ესრეთ მან ისწრაფის, რაღთა დაეგნენ ურთიერთას პირველ მზის დასლვისა. უკუეთუ კულა განფიცხებულადვე იხილნის, ანუ ვიდრე დაგეხადმდე ურთიერთას უჭმელობად დასდვის, ანუ მონასტრისაგან განასხნის. და არა-თუ ცუდად რაღმე იმარხვიდეს და ჰყოფდეს ესევითარსა მას შუენიერსა კრძალულებასა, არამედ ფრიადსა ნაყოფსა გამოილებდა და გამოაჩინებდა ესე მათ შორის.

35. რამეთუ მრავალნი გამოჩნდეს მათ წმიდათაგანნი მოლუაწენი და დაფარულთა მცნობელნი, გულისქმისმყოფელნი და მდაბალნი, და იხილვებოდა მათ შორის საშინელი და ანგელოზებრივი ხილვა, რამეთუ მოხუცებულნი მწცოანნი, ვითარცა ყრმანი ჩჩკლნი, მირბიოდეს მორჩილებისა მიმართ და სიქადულად დიდად აქუნდა მათ სიმდაბლც.

36. ვიხილენ მუნ კაცნი, რომელთა უმეტეს ერგასის წლისა აქუნდა მორჩილებასა შინა, რომელთა ვევედრებოდე, რაღთა მითხრან, თუ რად ნაყოფი მოუგიეს ეგოდენისა შრომისაგან. და რომელთამე თქუეს, ვითარმედ მიწევნულ არიან უფსკრულსა სიმდაბლისასა, რომლისა მიერ ყოველსავე ბრძოლასა გარემიაქცევენ, და სხუანი სრულსა ულმობელობასა და უტკივარობასა გინებათა შინა და შეურაცხებათა იტყოდეს ქონებად.

37. ვიხილენ სხუანი მათ კეთილდად მოწინებულთაგანნი მწცეთა მათ შინა ანგელოზთა მიმსგავსებულთა, სიღრმესა სიწრფოებისა და უმანკოებისასა, სიბრძნით მოპოვნებულისა და ნებსითისა და ღმრთივწარმართებულისასა, მიწევნულად. არა-თუ პირუტყუებრივისა და უგუნურისა რაღმე მსგავსად ცოფთა მათ ბერთა სოფლისათა, რომელთაცა ცოფ უნესენ კაცნი, არამედ იყვნეს იგინი გარეგან ტკბილ, ბრწყინვალე და სახიერ, და სიტყუად და წესი მათი, არა მოპოვნებული და გულარძნილი, არამედ მარტივი და მხიარული, რომელ ესე არა

მრავალთა თანა იპოების, ხოლო შინაგან სულითა ღმრთისა და წინამძღვრისა მათისა მიმართ იყო ყნოსად მათი, ვითარ-ცა ყრმათა უმანკოთად, და თუალნი გონებათა მათთანი – მღვდარც და მტკიცც ეშმაკთა მიმართ და ვნებათა.

38. დამაკლებს მე უამი ცხორებისა ჩემისად, შ, მამაო წმი-დაო და კრებულო ღმრთისმოყუარეო, თხრობად სათნოება-სა და ანგელოზთა მიმსგავსებულსა ცხორებასა მათ სა-ნატრელთასა, გარნა კეთილ არს, რადთა მათთა ოფლთა და შრომათაგან შევამკოთ თქუენდა მომართ ესე სიტყუად ჩუე-ნი, და შურად ღმრთისმოყუარებისა აღგადგინნეთ, ვიდრე თკსთა სიტყუათა და სწავლათა მიერ, რამეთუ უეჭუელად უდარესი უაღრესისაგან შეიმკვების. ხოლო ამას გევედრები თქუენ, რადთა არავინ მოიგონოს ტყუკლით რამე ჩუენ მიერ დაწერილი, რამეთუ მცირედმორნმუნოებასა ჩუეულებად აქუს განრყუნად სარგებელისა. ხოლო ან ვიქცეთ პირველ-სავე სიტყუასა ჩუენსა.

39. იყო კაცი ვინმე, სახელით ისიდორე, მთავართაგანი ქალაქისა ალექსანდრიისათა, და მონაზონ იქმნა იგი პირველ თქუმულსა მას მონასტერსა შინა, რომელსა მეცა ვენიფე მუნ. შე-რად-იწყნარა იგი მწყემსმან მან წმიდამან, და იხილა იგი სიფიცხესა შინა და უდებებასა და მზუაობარ და მოქადულ, და განიზრახა და ღონისძიება ყო ნეტარმან მან სიმარჯვთა კაცობრივითა მანქანებასა ზედა ეშმაკთასა, და ჰრეუა ისიდორეს: „უკუეთუ გნებავს აღებად უდელი ქრისტესი ქედსა ზედა შენსა, ყოვლისა პირველად მორჩილებისად მნებავს მოგებად შენი“. ხოლო მან ჰრეუა მას: „ვითარცა რკინად ერჩინ მჭედელსა, ეგრეთ მე მიმიცემია თავი ჩემი მორჩილებად შენდა, წმიდაო ღმრთისაო“.

40. ხოლო ნეტარსა მას სახტცა იგი მის მიერ თქუმული სთნდა, და მისცა მეყსეულად საქმც გამოსაცდელი რკინისა მიმსგავსებულსა მას ისიდორეს და ჰრეუა: „მნებავს შენი, ძმაო, რადთა სდგე კართა თანა მონასტრისათა, და ყოველ-

თავე შემომავალთა და განმავალთა მოუღრეკდე მუტლთა და ეტყოდი: ‘ლოცვა-ყავთ ჩემთვს, მამანო, რამეთუ ცოფ და ნავლლიან ვარ’“.

41. ხოლო იგი ერჩდა მას, ვითარცა-იგი მორჩილ არს ან-გელოზი უფლისა. და დაყო რა შედი წელი საქმესა მას შინა, და სილრმესა სიმდაბლისა და ლმობიერებისასა მიიწია, ინება ნეტარმან მან, შემდგომად შედეულსა მის წელთავსა და მისისა მის ძლიერად მოთმინებისა, ძმათა თანა შერაცხვად მისი და კურთხევისა ღირს-ყოფად.

42. ხოლო მან მრავალნი აღადგინნა, და მეცა უძლური, მწყემსისა მის ვედრებად, რათა შეუნდოს მასვე საქმესა შინა ყოფად და აღსრულებად სრბისა თვისისა. და მოას-წავებდა წამისყოფითა სიტყვისა მისისამთა განსლვასა ამის სოფლისაგან და აღსრულებასა ცხორებისა მისისასა, და ეგრეცა იყო. რამეთუ დაუტევა იგი მამასახლისმან მასვე საქმესა შინა, და შემდგომად ათისა დღისა მიიცვალა უფლისა, შეურაცხებისაგან – დიდებად. და მეშვდესა დღესა შემდგომად მიცვალებისა მისისა, მეკარეცა მონასტრისად უფლისა წარიყვანა, რამეთუ აღეთქუა მისდა ნეტარსა მას, ვითარმედ: „უკუეთუ ვპოო კადნიერებად უფლისა მიმართ, განუშორებელ იყო ჩემდა მას საუკუნესა და ადრე წარგიყვანო“. და ეგრეთცა ყო სასწაულად მისისა მის ურცხვნელისა მორჩილებისა და ქრისტეს მიმსგავსებულისა სიმდაბლისა.

43. ვკითხე მე დიდსა მას ისიდორეს, ვიდრელა ჯერეთ ჩუენ თანა იყო, თუ რა საქმე ეპყრა გონებასა მისსა, ჯდა რა კართა მათ თანა მონასტრისათა. და არა დაფარა სარგებელი იგი კეთილად მოწსენებულმან მან, არამედ მრქუა, ვითარმედ: „დასაბამსა ამას ვიზურთიდი, ვითარმედ ცოდვათა ჩემთაგან განსყიდულ ვარ, და ამისთვის ჭირით და შრომით და სისხლით ვჰყოფდი მუტლთა დრეკასა. ხოლო აღესრულა რა წელიწადი ერთი, შეუნუხებელად იყო გული ჩემი, და მოველოდე ღმრთისაგან სასყიდელსა შრომისა და

მორჩილებისა ჩემისასა. და აღესრულა რაზ ერთი წელი-ნადი სხუად, მაქუნდა დამტკიცებულად გულსა ჩემსა, ვი-თარმედ არა ღირს ვარ მონასტერსა შინა ყოფად და ხედვად და ზრახვად მამათა და მოლებად წმიდათა საიდუმლოთა და მიხედვად პირსა ვისსამე, და ამისთვის ვჰყოფდი ესრეთ მუწლო-მოდრეკასა შემომავალთა და გამომავალთა, და თუალნი ჩემი ქუეყანასა ხედვიდეს, და გონებად ჩემი განა-მრავლებდა სიმდაბლესა და ვითხოვდი ყოველთაგან მცურ-ვალითა გულითა ლოცვასა“.

44. ვჯედი დღესა ერთსა ტაბლასა ამის მოძღურისა დიდისა თანა, და მომაახლა პირი იგი მისი წმიდა ყურსა ჩემსა და მრექა მე: „გნებავსა, რათა გიჩუნო მოხუცე-ბულისა და მოდღევნებულისა თანა გონებად საღმრთო?“ და მე ვითხოე, რათა ყოს ესე. მაშინ მოუწოდა წმიდა-მან მან მეორისა ტაბლისაგან კაცსა ვისმე, რომლისა სახე-ლი ლავრენტი, რომელსა აქუნდა მონაზონებასა შინა ორმეოცდარვად წელი, და იყო შემდგომი მღდელთა უხუცე-სისად ხუცესი, და მოვიდა რაზ და მოუდრიკნა მუწლნი მა-მასახლისა, აკურთხა იგი მამასახლისმან, და აღდგა რაზ, არღარად მიუგო, არამედ უტევა იგი ზე დგომად წინაშე ტაბ-ლისა უჭმელად. და ესე იყო დაგებასა ოდენ ტაბლისასა, და დაყო ზემდგომარემან ვიდრე აკრებადმდე ტაბლისა. და მე მრცხუენოდა პირსა მისსა მიხედვად, რამეთუ იყო იგი ფრიად მოხუცებული, ვითარ ოთხმეოცდაორისა წლისად. და აღვდეგით რაზ ტაბლით, წარავლინა იგი მამამან პირველ მოქსენებულისა მის ისიდორეს თანა დიდისა, თქუმად მისდა ოცდამეათცხრამეტისა ფსალმუნისა თავსა: „თმენით დაუთ-მე უფალსა“ (ფსალმ. 39,2). ხოლო მე არა უდებ-ვყავ ესე, არამედ ვინებე გამოცდაზ პერისად მის და ვკითხე მას, თუ რასა გულსა ზრახვიდა, დგა რაზ წინაშე ტაბლისა მის. ხოლო მან მრქუა მე: „ესრეთ დავიდევ და გამოვხატე გონებასა ჩემსა მწყემსი, ვითარცა ქრისტი, მრავლისა სარწმუნოები-

სა ჩემისაგან მისა მიმართ, და არა მოვიღე გონებასა ჩემსა ყოვლადვე, ვითარმედ იგი მიპრძანებს მე, არამედ ღმერთი. და ამისთვის, მამაო იოვანე, არა ვითარცა წინაშე ტაბლისა კაცთასა ვსდეგ, არამედ ვითარცა წინაშე საკურთხეველისა ღმრთისა, ლოცვად ღმრთისა მიმართ, და არა მოვიგონე ყოვლადვე გულისისიტყუად ბოროტი მწყემსისა მიმართ სიმრავლისაგან სარწმუნოებისა და სიყუარულისა ჩემისა მისა მიმართ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: ‘სიყუარული ბოროტსა არა იგონებს’ (შდრ. რომ. 13,10). და ესე უწყოდე, მამაო იოვანე, ვითარმედ კაცმან, ოდეს თავი თვისი სიწრფოებასა მისცეს ნებსით თვისით, არა პოოს მტერმან მის თანა ადგილი და არცა ჟამი“.

45. უფალმან მართალმან, ვითარი იყო მწყემსი იგი კეთილი, ესევითარივე იკონომოსი მოსცა, კაცი წმიდად და მშვიდი, რომელ მცირედ იპოების ესევითარი. ხოლო ერთსა დლესა განრისხნა ამის მოქსენებულისა ზედა მამად იგი დიდი უმიზეზოდ და ბრძანა განძებად მისი ეკლესიითგან. ხოლო მევცან, ვითარმედ უბრალო იყო იგი მიზეზისა მისგან, რომლისათვის ეტყოდა მას მწყემსი, და თვისაგან ვეტყოდე მამასა იკონომოსისათვს, ვითარმედ უბრალო არს იგი.

46. ხოლო ნეტარმან მან მრჯუა მე: „მეცა უწყი, მამაო, რომელ უბრალოდ არს, გარნა ვითარცა არა ჯერ არს გამოტაცებად პური პირისაგან ყრმისა მცირისა მშიერისა, ეგრეთვე იზღვინენ სულისაგან მწყემსისა სულნი მოღუანეთანი, რომელნი იყვნენ ქუეშე წელსა მისსა, უკუეთუ არა მოსწრაფე იყოს, რადთა უძიოს მათ მიზეზი გვრგვნოსნობისად ყოველსა ჟამსა შინა, რადმომცა-იგი შეუძლებდენ თავს-დებად, ანუ გინებითა, ანუ ყუედრებითა, ანუ შეურაცხებითა, ანუ კდემითა. რამეთუ სამითა საქმითა დიდითა ავნებს: პირველად, რამეთუ დააკლებს მას სასყიდელსა, რომელი მიეცემის შერისხვისა მიერ მწყემსისა; მეორედ, რამეთუ ძალ-ედვა სხვა სათნოებისაგან სხუათა სარგებელი

და არა ქმნა; მესამედ, რომელიცა უფიცხლესი არს ამათსა, ვითარმედ ნუუკუე, რომელი-იგი აგონებდენ, თუ მოთ-მინე არიან და მტკრთველ, და უდებ-ყვნეს იგინი მწყემს-მან მან ჟამ რავდენმე, ვითარცა სათნონი, და არა ამხილებ-დეს, არცა ჰკდემდეს, და ესრეთ ნარწყმიდონ მათ სიმშედვე იგი და მოთმინებად, რომელი აქუნდა მათ. რამეთუ, დაღა-ცათუ ქუეყანად კეთილ და ნაყოფიერ და პოხილ იყოს, არა-მედ მრავალგზის ნაკლულევანებამან წყლისა გინებისა და კდემისამან აღმოაცენის მის შორის ეკალი და კუროდესთავი ზუაობისა და სიძვისა და უშიშობისად. და ესე უწყოდა დიდ-მან მან მოციქულმან პავლე, ამისთვის მიუწერს ტიმოთეს, ვითარმედ: ‘ამხილე, შეპრისხენ და ნუგეშინის-ეც ჟამსა და უჟამოსა’ (2 ტიმ. 4,2)“.

47. და მე ვარქუ უხუცესსა მას, ვითარმედ: „ნათესავი ესე ჩუენი უძლური არს და მრავალი მხილებისაგან არაჭეშმარი-ტისა, გინა-თუ ჭეშმარიტისაცა, დაბრკოლდებიან და სრუ-ლიად სამწყსოხსაგან განეშორებიან“. ხოლო მომიგო ყოვ-ლადბრძენმან მან და მრქუა: „სული, რომელი შეკრულ იყოს სიყუარულსა მწყემსისასა სიყუარულისათვს ქრისტესისა და აღვესბულ იყოს სარწმუნოებითა მისა მიმართ, არა განეშო-როს იგი მისგან სიკუდილადმდე; და უფროდსად, უკუეთუ რგომილცა იყოს მისგან კურნებითა წყლულებათა მისთავთა, არამედ იქსენებდეს მარადის სიტყუასა მას, ვითარმედ: „არცა ანგელოზთა, არცა ძალთა შეგვძლონ განშორებად ჩუენდა სი-ყუარულსა მას ქრისტესსა“ (რომ. 8,38-39). ხოლო რომელი არა ესრეთ მოკიდულ იყოს და შეკრულ და შემშექუალულ სი-ყუარულსა მას, მე მიკვრს, უკუეთუ არა ცუდ და უსარგებლო არს ეგევითარისად მის ადგილსა მას ყოფად, რამეთუ შეყო-ფილ არს შეცომილსა და არაჭეშმარიტისა მორჩილებასა“. და არა ტყუოდა ამას ზედა დიდი იგი, არამედ ძლიერად მა-სწავლელ იყო და აღმასრულებელ და შემწირველ ქრისტესა მსხუერპლთა უბინოთა.

48. ვისმინოთ სიბრძნეც ლმრთისად და დაგკუკრდინ პოვ-ნილი კეცის ჭურებითა, რამეთუ ვიყავ რად მუნ, მიკურდა მოთმინებად მრავალთა ახალმოსრულთა, რომელსა აჩუე-ნებდეს კდემათა ზედა და გინებათა წინამძღვრისათა, და მრავალგზის დევნათაცა, და არა წინამძღვრისა მიერ ოდენ, არამედ უმრნემესთაგანცა. და ამისთვის ვკითხე ძმასა ერთ-სა სარგებელისათვს, რომელსა აქუნდა მონასტერსა მას შინა ათხუთმეტი წელი, და იყო სახელი მისი კუროზ, რამე-თუ ვხედევდი მას, ვითარმედ მარადის სტანჯვიდეს ძმანი, და გამოაძიან იგი მსახურთა ტაბლით მრავალგზის, რამე-თუ იყო ძმად იგი ბუნებით ფრიად მცირედ რადმე ვერ და-მჭირველ ენისა. ხოლო ვარქუ მას: „რაღასათვს ესრეთ გხედავ ყოველთა დღეთა გამოძებულად ტაბლისაგან, ძმაო კუროზ, და ოდესმე დაიძინი უქმელადცა?“ – და მრქუა მე: „გრნ-მენინ, მამაო, გამომცდიან მამანი ესე, უკუეთუ საწმარ-ძი ვარ მონაზონებად, და არა-თუ გულისად მიზმენ ამას, და მე მიცნობიეს განზრახვად მათი და უხუცესისად, და ამისთვის უტკივრად ყოველსავე მოვითმენ. და აპა ესერა ათხუთმეტ-სა ამას წელსა ამას ვიგონებ, ვითარცა მრქუეს დასაბამსავე, შემო-რაღ-მიყვანებდეს მონასტრად, ვითარმედ: ‘გამოსც-დიან მათ, რომელნი მონაზონ იქმნებოდინ, ვიდრე ოცდაათ წლადმდე’, და სამართლად, მამაო იოვანე, ჰყოფენ, რამეთუ ოქროდცა გამოუცდელად არავე სრულ იქმნების“. და შემდ-გომად გამოსლვისა ჩემისა მონასტრისა მისგან დაყო მწნე-მან მან კუროზ ორი წელი და მერმე მივიდა უფლისა, და პრქუა მამათა მათ სულის აღმოსლვისა უამსა: „ვმადლობ ქრისტესა, მამანო ჩემნო და მადლიერ ვარ თქუენდაცა, რა-მეთუ ვინაზთგან თქუენ გამომცდიდით ცხორებისათვს ჩე-მისა, დავრჩი გამოუცდელად ეშმაკთაგან ათჩუდმეტსა ამას წელსა“. და აღესრულა რად ვითარცა მარტკლი, დაპმარხა მართლმსაჯულმან მან მწყემსმან ღირსად მუნ დამარხულთა წმიდათა თანა.

49. დავაკლებ რომელთა აქუს შური კეთილთა მიმართ, უკუეთუ დავიდუმო სათნოებად მაკედონიოს, მთავარდიაკონისა მის მონასტრისა. ესე ღირსი ქებისად ევედრა ოდეს-მე მწყემსსა წინა ორითა დღითა დღესასწაულსა განცხადებისასა, რაღთამცა წარავლინა იგი ქალაქად ალექსანდრიაზ-სა საჭმრისა რაღსამე თვისისათვს, და აღუთქუა უკმოსლვად უწინარეს დღესასწაულისა გარდა დღისათვს. ხოლო ეშმაკ-მან, კეთილის მოძულემან, დააყენა მთავარდიაკონი. და არა უკმოვიდა, ვითარ იგი აღუთქუა მამასახლისასა, და შემდგომად დღესასწაულისა დღითა ერთითა მოვიდა მონასტრად. და განაყენა იგი მამასახლისმან პატივისა თვისისაგან და დაადგინა იგი ადგილსა ახლადმოსრულთასა. ხოლო მთავარდიაკონმან შეიწყნარა ბრძანებად მამისად მოთმინებითა და სიხარულითა შეუწუხებელად, ვითარლამცა სხუასა ვისმე მოჰკვიდა პატიუსა და არა მას. და დაადგრა რაღ მას წეს-სა შინა ორმეოც დღც, აღიყვანა იგი კუალად მამასახლისმან პატივსავე თვისსა. და შემდგომად დღისა ერთისა ევედრა მა-მასახლისასა, რაღთა კუალადაქციოს იგი შეურაცხებასა მას-ვე პირველსა, და იტყოდა, ვითარმედ: „მიცოდავს ქალაქსა შინა ცოდვად მძიმე“. ხოლო უხუცესმან იცოდა, ვითარმედ სიმდაბლისათვს ეძიებდა ამას და ნება-სცა წმიდამან მან გუ-ლისთქუმასა მას მისსა კეთილსა. და ვხედევდი მჯცეთა მათ, ღირსთა პატივისათა, მდგომარედ ჭაბუკთა და ახლადმოს-რულთა თანა და ევედრებოდა თვთოულსა, რაღთა ლოცვა-ყონ მისთვს და იტყვნ, ვითარმედ: „სიძვითა ურჩებისადთა დავეციო“. ხოლო მე მითხრა თვისაგან ამან დიდმან მაკედო-ნიოს, თუ რაღსათვს ინება წესი ესე სიმდაბლისად, და იტყო-და, ვითარმედ: „არა ოდეს სადა ვიზილე თავსა შინა ჩემსა ლხინებად ბრძოლათად და სიტკონებად ნათლისა მის საღმრ-თოებად, ვითარ ესე ვიზილე დღეთა ამათ შინა“.

50. ანგელოზთად არს ყოვლადვე არა დაცემად; ხოლო კაცთად არს დაცემად და მეყსეულად აღდგომად, რავდენ-

გზისცა მოიწიოს; ხოლო ეშმაკთად არს შემდგომად დაცემისა ყოვლადვე არა აღდგომად.

51. რომლისადა იგი რწმუნებულ იყო იკონომოსობად მონასტრისად, იგი მითხობდა, ვითარმედ: „ჭაბუკ რად ვიყავ, მსახურებასა შინა ჯორთასა ვიყოფოდე, და შემემთხვა ბრალი რამე სულიერი და ცოლმად,<sup>23</sup> ხოლო მე მაქუნდა ჩუეულებად არა დაფარვად შინაგან ჩემსა გუელისა მის, უპყარ ბოლოსა მისსა და გამოუცხადე იგი მკურნალსა. ხოლო მან განიღიმა და მიხეთქნა ყურიმალსა მცირედ, და მრქუა მე: ‘ვიდოდე, შვილო, მსახურებასავე შენსა, ვითარ-იგი იყოფოდე, და ნუ გეშინინ ყოვლადვე’. ხოლო მე დავირწმუნე მწურვალითა სარწმუნოებითა და მცირედთა დღეთა შემდგომად გულსავსე ვიქმენ, ვითარმედ განკურნებულ ვარ, და ვიდოდე მსახურებასა მას შინა ჩემსა სიხარულით და ძრწოლით“.

52. ყოველსავე წესსა და საქმესა დაბადებულთასა აქუს განყოფილებად, და ეგრეთვე კრებულსა შორის მათ ძმათასა იყვნეს განყოფილნი საქმეთა და გონებათანი. ამისთვისცა მკურნალმან მან ოდეს შეატყვს ვიეთმე, ვითარმედ მოსლვასა ერისკაცთასა მაჩუენებლობენ, რაჟამს მოიწიის ჟამი ესე-ვითარი, განაქიქებნ მათ წინაშე მოსრულთა მათ, და კდემით აყუედრებნ და განაწილებნ, და მსახურებასა შეურაცხსა დაადგინნის. ეგრე განწადნის იგინი, ვიდრემდის ოდეს იხილნიან ერისკაცნი, ივლტიედ მათგან, და იხილვებოდა საქმე უაღრესი ბუნებისაზ, რამეთუ ცუდი დიდებად განაძებდა თავსა თქსსა და დაიმალვოდა კაცთაგან.

53. ნუ დამაკლებს მე უფალი ლოცვასა მის მამისა სულიერისასა, რამეთუ უნინარეს გამოსლვისა ჩემისა ადგილისა

<sup>23</sup> რად იყო „ცოლმად“ იგი? გარნა ფარულად ჭამად, რამეთუ ტკრთისა მისგან ჯორთადსა რამე ეჭამა და აღუარა. და არა-თუ სიძვასა იტყვს, ვითარცა ვიეთმე უგუნურთა მოიგონეს, თუ არა, ვითარმცა ლიმილით იტყოდა სიძვისათვე მოძღუარი იგი?

მისგან წმიდისა კურიაკით ერთით, შეისუენა უფლისა მიერ მეორედმან მის მწყემსისამან. და იყო კაცი ესე საკურველი, და სახელი მისი – მინა, და დაეყო მას მონასტერსა შინა ორმეოცდაათცხრამეტი წელი, და მსახურებელ იყო ყოველსავე მსახურებასა. და მესამესა დღესა ჩუენ ჟამსა გარდავიწიდიდით შესუენებულისა მის წესისაებრ, და ცისკრისა ლოცვასა აღმოუტევა მეყსა შინა სული სულნელებისად, და აღიგსო ადგილი იგი ყოველივე, რომელსა შინა დამარხულ იყო წმიდად იგი მინა. მაშინ ბრძანა მამამან განლებად საფლავისად, სადა დამარხულ იყო წმიდად იგი, და ვიხილეთ, ვითარმედ ორთავე ფერწითა მისთაგან, ვითარცა ორთა წყაროთაგან, გამოდიოდა ევლოგია. მაშინ პრქუა მოძღუარმან მან კრებულსა მას: „იხილეთ, რამეთუ ოფლნი ფერწითა მისთანი და შრომად მისი შენირულ არს ღმრთისა, ვითარცა მიპრონი ჭეშმარიტად“. და სხუანიცა მრავალნი საქმენი კეთილნი მითხრნეს მათ მამათა მისთვე, წმიდისა მინადასა, და იტყოდეს ამასცა, ვითარმედ: „ოდესმე მამასახლისსა ენება გამოცდად მოთმინებისა მისისად, რომელი-იგი მონიჭებულ იყო მისდა ღმრთისა მიერ. და ვითარცა აღვიდა იგი მამასახლისისა თანა მწუხრსა და თაყუანის-სცა ქუედავრდომით და ითხოვდა მისგან ლოცვასა, ვითარცა-იგი ჩუეულებად აქუნდა. ხოლო მან უდებ-ყო იგი ქუეყანასა დავრდომილი ვიდრე ცისკრისა რევადმდე და მაშინდა აკურთხა იგი, და მაჩუენებლად და უთმინოდ ხადოდა მას, და ესრეთ აღადგინა, რამეთუ იცოდა წმიდამან მან, ვითარმედ სიმწნით მოითმენდა, ამისთვეს უყო ესე სარგებელად მრავალთა“. ხოლო მონაფუმის წმიდისა მინადასი მითხრობდა, ვითარმედ: „ვკითხე მას, უკუეთუ ძილი მოუწდა ამას მდებარესა მუკლმოდრეეკით წინაშე მამასახლისისა. ხოლო მითხრა, ვითარმედ: ‘ყოველი დავითი დავასრულე მდებარემან ქუეყანასა ზედა’“.

54. არა დაუტეო შემკობად გკრგვნსა ამას სიტყვასასა ამითცა სამარაგდოვთა, რამეთუ ვიწყე ოდესმე სიტყუად და-

ყუდებისათვის ვიეთმე მათ წმიდათა ბერთაგან, ხოლო მათ მხიარულითა პირითა და კეთილითა სახითა მომიგეს მე, ვითარმედ: „ჩუენ, მამაო იოვანე, ვინათგან უძლურნი ვართ და ნივთიერნი, საზომისა ჩუენისა შემსგავსებულიცა ცხორებად მოვიგეთ, რამეთუ ვსაჯეთ ესრეთ: რადთა საზომისა-ებრ უძლურებისა ჩუენისა შევიდეთ ბრძოლასაცა, და უსუ-ბუქესად შევრაცხეთ ბრძოლად კაცთად, რომელნი ოდესმე განრისხნებიან და ოდესმე დამშვდნებიან და ნუგეშინის-გუ-ცემენ, ვიდრელა – ეშმაკთად, რომელნი მარადის აღჭურვილ არიან გულისწყრომით ჩუენ ზედა“.

55. ხოლო ერთმან მათ წმიდათაგანმან, რომელსა აქუნდა ფრიადი ჩემდა მომართ საღმრთო სიყუარული და კადნიერებად, მრქუა მე მხიარულებით და ტკბილად: „ჸ, ბრძენო, უკუეთუ გაქუს შენ შორის დამტკიცებულად საზომი იგი და საქმე მისი, რომელმან თქუა, ვითარმედ: ‘ყოველივე ძალ-მიც განმაძლიერებელისა ჩემისა ქრისტეს მიერ’ (ფილიპ. 4,13), უკუეთუ მოსრულ არს შენ ზედა სული წმიდად და ცუარი სიწმიდისად, ვითარცა მოვიდა ქალწულისა მარიამის ზედა, და უკუეთუ დაუფარავ ძალსა მოთმინებისასა მაღლით, მოირტყენ წელნი შენინი, ვითარცა ქრისტემან ღმიერთმან არდაგითა მორჩილებისახთა, და აღდეგ სერისა-გან დაყუდებისა შენისა, და დაპბანენ ფერწნი ძმათანი გონებითა მდაბლითა, დაადგინენ მეკარენი ძლიერნი და მღვდა-რენი დაუძინებლად კართა ზედა გონებისა შენისათა, დაიმ-ჭირე დაუმჭირველი იგი გონებად გუამსა შინა მსახურებასა შინა ძმათასა დაუდგრომელსა.

56. მოიპოე დაყუდებად გონებითი წორცითა, დაუდგრომელად მიმომავალითა, მორჩილებასა შინა, იქმენ დაწყნა-რებულ სულითა შორის ამბოხებათა ერისათა; აღვირ-ასხენ ენასა მოსწრაფესა გულისწყრომად და ცილობად, ჰერძო-დე ბოროტსა მას მძლავრსა მუცელსა სამეოცდაათშვდ-გზის დღესა შინა და შეჰმშტუალე ძელსა მას ჯუარის სახედ

აღმართებულსა სულისასა გონებად განმტკიცებული გურ-დემლის სახედ, რათა იცეს უროებითა და კუერებითა, რა-ჟამს-იგი იყიცხეოდის და იყუედრებოდის, იკდემებოდის და იგუემებოდის, და არა დაიწსნებოდის ყოვლადვე, არცა შეი-მუსრვოდის, არამედ იყოს გლუ და უკორძო და შეურყეველ.

57. განაგდე შენგან ნებად შენი, ვითარცა სამოსელი კიცხევისად, და განშიშულებული მისგან შევედ ადგილსა მას მოღუაწებისასა, რომელ-იგი მცირედნი იპოებიან ესრეთ. შეიმოსე ჯაჭვ სარწმუნოებისად, რათა არა დაიწსნებოდის ურწმუნოებისა მიმართ, არცა მოიწყლოდის; დაიჭირე აღ-კრი სიწმიდისად ორითავე წელითა შენითა კადნიერებისაგან, რომელ არს შეხებად უჯეროდ.

58. აღვირ-ასხენ თუალთა წურთითა სიკუდილისადთა, რომელნი-იგი მიმოვლენ განცდად გუამთა სიკეთესა და შუენიერებასა; მოაჭირე ჭიმითა გონებასა განმკითხველსა მოყუსისასა და ზრუნვასა თავისა თვისისასა შეაქციე იგი, და საქმედ მიეც მას სიყუარული და ლმობიერებად და წყალობად. ამით ცნან ყოველთა, ჭ, მამაო საყუარელო, ვითარმედ ჭეშმარიტად მოწაფტ ქრისტესი ხარ, ოდეს იყოს სიყუარული მტკიცედ ყოველთა მიმართ ძმათა.

59. ესრეთ დაადგერ შორის კრებულსა და სუემდი ყოველსა ჟამსა ბასრობასა, ვითარცა წყალსა ცხოველსა, რამე-თუ დავით განიცადა ყოველი სიხარული, რომელი არს ცასა ქუეშე და ყოველი შუენიერებად, უკუანაღსკნელ ყოვლისა თქუა საკურველებით: ‘რაღ-მე კეთილ, ანუ რაღ-მე შუენიერ? არამედ დამკვდრებად ძმათად ერთად’ (ფსალმ. 132,1).

60. უკუეთუ კულა ვერ ღირს-ქმნულ ვართ ვიდრე მოაქა-მდე კეთილთა ესევითარისა ამის მოთმინებისა და მორჩილებასათა, მაშა კეთილ არს, რათა უწყოდით უძლურებად ჩუენი და თვისაგან ვდგეთ შორს ასპარეზისა მისგან მოღუანეთადსა და მოღუაწეთა მათ ვჰნატრიდეთ და მოთმინებასა ულოცვიდეთ“.

61. ხოლო მე ვიძლიე მამისა მისგან და მასწავლელისა კეთილისა, რომელი მეშვილა სახარებისაგან და წინაღსწარ-მეტყუელთა სიყუარულით და მივეცით უზეშთაესობად და ძლევად მორჩილებასა პატიოსანსა და დიდებულსა უეჭუელად.

62. მოვიწენო ერთიდა სათნოებად მათ წმიდათად, და ესრეთ გამოვიდე საქმეთა მათთა თქუმისაგან, ვითარცა სამოთხისაგან, და ჩემთავე უნდოთა და უსარგებლოთა სი-ტყუათა ვიწყო თქუმად თქუენდა მომართ, რომელნი შემი-კრებიან მათთა სათნოებათა ხილვითა.

63. ვიყვენით ოდესმე ლოცვასა შინა მდგომარენი და მიხედა მწყემსმან რომელთამე ძმათა მიმართ, რომელნი ზრახვიდეს ეკლესიასა შინა, და განაყენნა ეკლესიისგან შკდ დღე, და უბრძანა მათ, რადთა მუწლსა მარადღე უდრეკდენ შემომავალთა და გამომავალთა. და საკრველი ესე იყო, რა-მეთუ ორნივე მღდელნი იყვნეს.

64. ერთსა ძმასა ვხედევდ ლოცვასა შინა უფროდს ყო-ველთა მჯურვალითა გულითა მდგომარედ, და უფროდსად დაწყებასა ლოცვისასა, ვითარმცა ვიეთმე ზრახვიდა, და ვკითხე გულისსიტყუად მისი, ხოლო მან სარგებელისათვს არა დაფარა, არამედ მრქუა მე: „ჩუეულებად მაქუს, მა-მაო იოვანე, შემოკრებად გულისსიტყუათა და გონებისა სულსა თანა ჩემსა პირველსავე დაწყებასა გალობისა-სა, და ვლალადებ მათდა მიმართ, და მოუწოდ მათ და ვი-ტყე: მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა ღმერთსა, მეუფესა ჩუენსა!“

65. ვიხილე მეჭურჭლოც მათი, რამეთუ სარტყელსა ფი-ცარნი ჩამოეკიდნეს მცირენი, ხოლო მე გამოვიძიე და ვცან, ვითარმედ გულისსიტყუათა თკსთა წერდა მას შინა და მიუპყრის წინაშე მწყემსისა მის, და არა-თუ იგი ხოლო ჰყოფდა ამას საქმესა, გარნა სხუანიცა მრავალნი იქმოდეს, რომელნი იყვნეს მუნ, რამეთუ მცნებად იყო ესე უხუცესისად.

66. განაძო ოდესმე მწყემსმან ერთი ძმათაგანი, რამეთუ

უზრახა ძმასა მის თანა, ვითარმედ ენოანი არსო და მრავ-ლისმეტყული. და დადგა ძმად იგი გარეშე მონასტრისა შეკდ დღე და ევედრებოდა, რადთა შეუნდოს მას და შეიყვანოს მონასტრადვე. ხოლო ეუწყა მამასახლისა მას სულთა მოყუარესა, ვითარმედ არარად უჭამიეს შეკდთა მათ დღეთა ყოვლადვე. მაშინ მიუვლინა მას და პრქუა, ვითარმედ: „უკუეთუ გნებავს მონასტერსა შინა ყოფად, დაგადგინო შენ წესსა მონანულთასა“. და რაუამს იხილა, ვითარმედ სიხარულით შეიწყნარებს, ბრძანა წარყვანებად მისი მონასტერსა მას განშორებულსა, სადა იყვნეს, რომელნი იგლოვდეს ცოდვათა მათთათვს. ხოლო ვინავთგან მონასტერი იგი ვაწ-სენე, მნებავს მცირედ სიტყუად მისთვს.

67. იყო ადგილი, რომელი შორვიდა მონასტრისაგან დიდისა ვითარ ერთ მილიონ, რომლისა სახელი იყო „საპყრობილო“, და არს ადგილი იგი უნუგეშინისცემოდ, არა იხილვების მას შინა კუამლი ყოვლადვე, არცა ღვნოდ, არცა ზეთი, არცა სხუად რად, თვინიერ პური და უმგბარი მხალი. და მას მონასტერსა შეაყენის, რომელნი შემდგომად მოსლვისა მონაზონებად დაეცნეს ცოდვასა, თვითოეული თვისაგან, გინა-თუ ორ-ორი, ვიდრემდის ღმერთმან გულსავსე-ყვის თითოეულისათვს; და დაედგინა მათ ზედა კაცი დიდი სახელით ისაკ, რომელი-იგი ასწრაფობნ ლოცვად სამარადისოდ, რომელნიცა მიეცნიან მას, და აქუნდა ბაიაზ, რომელსა მისცემნ მათ, რადთა მას იქმოდიან განსადევნელად მოწყინებისა.

68. ესე არს საქმე და ცხორებად და მოქალაქობად, რომელნი ჭეშმარიტად ეძიებდეს ხილვად პირსა ღმრთისა იაკობისსა.

69. რომელსა უკურდენ ღუაწლნი წმიდათანი, კეთილად იქმს, და რომელი ეშურებოდის საქმეთა მათთა, აცხოვნებს თავსა თვისსა, ხოლო რომელსა ენებოს თუმცა ერთბამად ყოველნივე საქმენი მათნი წარჰმართნა, სცობის, რამეთუ შეუძლებელ არს.

70. რაჟამს სიტყუათა ზედა კდემისათა გუელმოდის, ცოდვანი ჩუენნი მოვიწსენნეთ, ვიდრემდე ხედვიდეს უფალი ჭირსა ჩუენსა, რომელსა თავს-ვიდებთ მისისა სახელისათვს, და აღწოცნეს წელითნერილნი ბრალთა ჩუენთანი, და გარდააქცინეს სალმობანი იგი დამწუველნი გულთა ჩუენთანი სიხარულად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „სიმრავლისაებრ სალმობათა გულისა ჩემისათა ნუგეშინისცემანი შენნი ახარებენ სულსა ჩემსა (ფსალმ. 93,19) უამსა თკსასა“.

71. ნუ დაივიწყებ მას, რომელმან-იგი ჰრქუა უფალსა, ვითარმედ: „რავდენნი მიჩუენენ მე ჭირნი მრავალნი და ძკრნი, მერმე მოაქციე და მაცხოვნე მე, და უფსკრულთაგან ქუეყნისათა, შემდგომად დაცემისა ჩემისა, კუალად აღმომიყვანე მე“ (შდრ. ფსალმ. 70,20).

72. ნეტარ არს მის მონაზონისა, რომელმან დაუთმოს განსაცდელთა და ვნებათა ყოველთა დღეთა მისთა უფლისათვს, რამეთუ მონამეთა თანა მხიარულ იყოს იგი და ანგელოზთა თანა იშუებდეს.

73. ნეტარ არს მის მონაზონისა, რომელსა აქუს თავი თკსი ღირსად ყოვლისავე გინებისა და შეურაცხებისა სამარადისოდესა, ვიდრე სოფელსა ამას იყოს.

74. ნეტარ არს, რომელმან ნებად თკსი სრულიად მოაკუდინა და მისცა თავი თკსი სრულიად წელთა მოძღურისა მისისათა, რამეთუ მარჯუენით ჯუარცმულისა დადგეს იგი.

75. სულმან, რომელმან განიშოროს და განაგდოს თავისა თკსისაგან მხილებად მოძღურისად სამართლით გინა უსამართლოდ, ესევითარსა მას ცხორებად თკსი უარუყოფია. ხოლო რომელმან მოითმინოს მხილებად ტკივილით გინა უტკივარად, ადრე მიემთხვოს იგი ცოდვათა მისთა მოტევებასა.

76. უჩუენებდ ღმერთსა გონებითა შენითა სარწმუნოებასა მას და სიყუარულსა, რომელი გაქუს მოძღურისა მიმართ შენისა და მან თავადმან უხილავად გულსავსე-ყოს იგი, რაღ-

თა სარწმუნოებისაებრ და სიყუარულისა შენისა შეგიტყბოს და შეგიყუაროს შენ.

77. რომელი ყოველსავე გუელსა, რომელ არიან ვნებანი, განაქიქებდეს აღსარებითა, მას მოუგიეს სარწმუნოებად ჯე-როვანი, ხოლო რომელმან დაფაროს, იგი უგზოთა შინა შე-ცთომილ არს და თავსა თკსა მოიკლავს.

78. რომელსა პნებავს ცნობად საზომსა ძმათმოყუარე-ბისა მისისასა, გულისჯმა-ყოფდინ კეთილად, და მაშინ ცნას, რაუამს იხილოს გული თკსი ჭეშმარიტად მგლოვარც ცთო-მასა ზედა ძმისასა, და მოხარული წარმართებასა ზედა და კეთილსა მისისა.

79. ყოველსა, რომელსა უნდეს დამტკიცებად სიტყვსა თკსისად, დაღაცათუ ჭეშმარიტსა იტყოდის, უწყოდენ, ვი-თარმედ ვნებულ და სნეულ არს მტერისაგან სენითა საეშმა-კოდთა, და უკუეთუ სწორთა მიმართ თკსთა პყოფდეს ამას, ნუუკუე განიკურნოს იგი უხუცესთა შერისხვითა; უკუეთუ კულა უხუცესთა და უსულიერესთა მიმართ იქმოდის ესრეთ, იგი კაცთაგან უკურნებელ არს.

80. რომელი სიტყუასა ზედა არა მორჩილ იყოს, საცნაურ არს, ვითარმედ არცა საქმესა ზედა მორჩილ არს, რამეთუ რომელი მცირესა ზედა ურწმუნო იყოს, მრავალსაცა ზედა ურწმუნო არს და ცუდად შურების და არარას მიიღებს მორ-ჩილებისაგან თკსისა, გარნა საშჯელსა.

81. რომელმან სკნიდისი თკსი წმიდა-ყო მორჩილებასა შინა მამისა სულიერისასა, უწყებულ იყავნ, ვითარმედ ხედ-ვიდეს იგი სიკუდილსა, ვითარცა ძილსა, და უფროვსლა, ვი-თარცა ცხორებასა, და დაუდგამნ ფერწნი გზასა სასუფევე-ლისასა; და უწყებულ იყავნ ჭეშმარიტად, ვითარმედ ეგვი-თარი არა მიეცეს განკითხვასა, არამედ მოძლუარმან მისმან მისცეს სიტყუად მისთკს.

82. ყოველმან, რომელმან მოიღოს უიძულებელად მოძ-ლურისაგან საქმც და შე-რადმე-ემთხვოს მას შინა ვნებად, ნუ

მას აბრალობს, რომელმან მისცა მას საჭურველი იგი, არა-მედ თავსა თქსა, რომელმან ბოროტად იქმარა, რამეთუ მან მოსცა საჭურველი ბრძოლად მტერისა, ხოლო მან დაისვა გულსა თკსა. უკუეთუ კულა იძულებულ იქმნა და აიძუ-ლა თავი თკს უფლისათკს, და უძლურებად თკსი პირველვე უთხრა მოძღუარსა თკსა, მინდობილ იყავნ, რამეთუ დაღა-ცათუ დაეცეს, არავე მოკუდეს.

83. დამავიწყდა, შ, საყუარელნო, დაგებად თქუნდა ესე-ცა პური სათნოებისად: რამეთუ ვიხილენ მორჩილნი, რო-მელნი თკთ შინაგან გინებითა და შეურაცხებითა შეპმუსრ-ვიდეს თავთა თკსთა, რადთა განმზადებულნი იყვნენ ესრეთ არა აღშფოთებად, რაჟამს გარეგან მოიწეოდინ მათ ზედა გინებანი და შეურაცხებანი.

84. სულსა, რომელსა აქუნდეს დამტკიცებულად, ვი-თარმედ აღსარებად თანა-აც, ექმნას მას ესე გულისსიტყუად აღკრ ყოვლისავე ცოდვისა მიმართ, რამეთუ რომელსა აღ-სარებისა გულისსიტყუად არა აქუნდეს, ეგევითარი უშიშად ცოდავს, ვითარცა ბნელსა შინა.

85. რაჟამს კიდე ვიყვნეთ მოძღურისაგან ჩუენისა და პირსა მისსა გამოვხატვიდეთ ნინაშე ჩუენსა, და ესრეთ ვი-გონებდეთ, ვითარმცა ჩუენ თანა იყო, და ყოვლისაგანვე სი-ტყვესა და ზრახვისა, ანუ ჭამადისა, ანუ ძილისა, რომელსა ზედა ვიცოდით, ვითარმედ მას არა ჰერებავს, განვეშორებო-დით, მაშინ გვცნობიეს მორჩილებად უზაკუველი.

86. მონაფც მზაკუვარი იხარებნ კიდე-ყოფასა მოძღუ-რისა თკსისასა, ხოლო რომელი შვილი არს ჭეშმარიტი, მას დაჭირვებად უჩნ კიდე-ყოფად მოძღურისაგან.

87. ვითხე ოდესმე გამოცდილთაგანსა ვისმე და ვარქუ მას: „ვითარ მოუგიეს მორჩილებასა სიმდაბლც მარადის თა-ნამკუდრად?“ ხოლო მან მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ: „დაღაცათუ მკუდარნი აღადგინნეს ჭეშმარიტმან მორჩილ-მან, გინა-თუ ცრემლი მოიპოვნეს, ანუ-თუ ბრძოლათაგან

განთავისუფლდეს, ესრეთ იგონებს, ვითარმედ ლოცვითა მოძღვრისა მისისადთა მოეცა მას მაღლი იგი და ესრეთ და-ადგრების იგი უცხოდ ამაოდსა მის ზუაობისა. რამეთუ, ვი-თარმცა აღზუავნა მას ზედა, რომელსა იტყოდის, თუ არა მისგან ქმნილ არს, არამედ სხვა შეწევნითა?“

88. არა უწყის დაყუდებასა შინა მყოფმან პირველთქუ-მულნი ესე, რამეთუ მიზეზნი მრავალნი ჰქონან მისა მიმართ ზუაობასა დარწმუნებად, ვითარმედ თკითა მოსწრაფებითა იქმს, რასაცა იქმს.

89. რომელი მორჩილებასა შინა იყოს, უკუეთუ ორთა ბოროტთა მძლე-ექმნას,<sup>24</sup> ეგოს იგი მიერითგან მონა ქრისტესა მორჩილ საუკუნოდ.

90. ეშმაკი ფრიად ისწრაფის ბრძოლად მორჩილებასა შინა მყოფთა, და ოდესმე უცნებითა შეაგინებნ, და გულ-ფიცხელ-ყვნის, და ალსძრავნ მათ თვინიერ ჩუეულებისა შფოთებად, და განუჯმნის ცრემლნი და უნაყოფო ყუნის, ნაყროვან და ლოცვასა შინა უდებ, მოძილ, დაბნელებულ, რაღათამცა თქეუს, თუ არარა სარგებელ-მეყოფის ჩუენ მორჩილებისაგან, არამედ უფროდსად მართლუკუნქცეულ ვართ. და ესრეთმცა გამოიტაცნა მოღუანებისა მისგან და არა შეუნდობს მათ გულისჯმის-ყოფად, ვითარმედ მრავალ-გზის მიღებად ჩუენგან საქმეთად მათ, რომელნი ჩუენ კეთი-ლად გვჩნდიან, სიმდაბლისა მომატყუებელ იქმნის ჩუენდა განგებითა ღმრთისადთა.

91. წარიდევნა მრავალგზის მოთმინებისა მიერ ვიეთ-განმე ესე ეშმაკი, და მერმე, ვიდრელა იგი ამას იტყვნ, სხუად ქადაგი უკეთურებისად მოინიის და სხვთა სახითა ისწრაფინ ცოლებად.

92. ვიხილენ ვიეთნიმე მორჩილებასა შინა, რომელნი იქმნეს ლოცვითა მოძღვრისადთა ლმობიერ, სახიერ, მმარხ-

---

<sup>24</sup> ურჩებასა იტყვს და ამპარტავანებასა.

ველ, მშკდ და მოსწრაფე, უბრძოლველ და მწურვალე, რომელთა მოუქდეს ეშმაკნი და ეტყოდეს, ვითარმედ: „შემძლებელ ხართ ან დაყუდებად და სრულიად მოღუაწებად, და უვნებელობად მიწევნად დაყუდებითა“. და შესცოტეს რად და განვიდეს ნავთსადგურისაგან და შევიდეს გულად ზღვსა, აღსდგეს მათ ზედა ღელვანი სასტიკნი და სიმძაფრც ქართად, და არა პოვეს მენავეთმოძღუარი, და წარწყმდეს ზღუასა მას შინა მწარესა და მყრალსა საწყალობელად.

93. განვიცადოთ და ვიხილოთ ზღუასა შინა, შემდგომად მტკიცესა დაწყნარებასა, აღძრვად და აღმაღლებად ღელვათად დიდი.

94. არა ეგების ზღვსაგან, უკუეთუმცა არა აღელდა და არა აღიმრღუა და აღშფოთნა, რაღთა განაგდოს მისგან ყოველი ძელი და თივავ, და ყოველივე სიღწიოშც და სკორც, რომელიცა შეიღეს მას შინა მდინარეთა, რომელ არიან ვნებანი, და შემდგომად ღელვისა მის იხილო მას შინა დაწყნარებად დიდი და დაყუდებად მტკიცც.

95. მოწაფეც, რომელი ერთგზის ჰმორჩილებდეს მამასა თვესა და ერთგზის – არა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან იოლნის თუალნი თვესნი ერთგზის საოლავითა და ერთგზის კირითა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „უკუეთუ ერთი აღაშენებდეს და ერთი დაარღუევდეს, რად სარგებელ არს? გარნა შრომად ცუდი“ (ზირ. 34,23).

96. ნუ აცთუნებ თავსა შენსა, ჭ, შვილო მორჩილებისაო, სულითა ამპარტავანებისათა, რაღთამცა აღიარებდი რად ცოდვათა მოძღუარსა თანა, სხუასამცა გარდასწამებდი საქმეთა შენთა, რამეთუ შეუძლებელ არს თვინიერ სირცხვლისა სირცხვლისაგან განრომად.

97. გამოუცხადენ წყლულებანი შენი მკურნალსა, განცხადებულად არქუ მას და ნუ გრცხუენინ, ვითარმედ: „ჩემ მიერ მოწევნულ არს ჩემ ზედა სენი ესე, მამაო, ჩემი არს წყლულებად ესე თვისისა უდებებისაგან და არა სხვა ვის-

განმე შემთხუეული, არავინ ქმნილ არს სხუად მიზეზ ჩემისა ამის ბოროტისა, არცა კაცი, არცა ჭორცნი, არცა სხუად რადმე თვინიერ უდებებისა და დაწსნილობისა ჩემისა“ იქმენ სახითაცა და პირითა და გონებითა შენითა უამსა აღსარებისა შენისასა, ვითარცა შეცოდებული დაშვილი წინაშე მსაჯულისა, დადეგ თავდადრეკილად ქუეყანად მიმართ, და უკუეთუ შესაძლებელ იყოს, მსაჯულისა მის და მკურნალისა ფერწა, ვითარცა ქრისტესთა, ცრემლითა დაალტობდი, რამეთუ ესე ჩუეულებად აქუს ეშმაკთა, რაღთამცა მოგუაგონეს ანუ ყოვლადვე არა აღსარებად, ანუ რაღთამცა სხუათა გარდავსნამენით ცოდვანი ჩუენნი, ანუ რაღთამცა ვიეთმე ვაბრალებდით ბრალთა ჩუენთათკს, ვითარმცა იგინი ქმნილ იყვნეს მიზეზ ჩუენდა.

98. უკუეთუ ყოველი საქმე ჩუეულებასა შეუთქს, საცნაურ არს, ვითარმედ უფროდსად კეთილიცა ჩუეულებასავე შეუდგეს, რამეთუ დიდი შენევნად აქუს მას ღმრთისაგან.

99. უკუეთუ დაწყებასა მონაზონებისა შენისასა მისცე თავი თვისი მზურვალედ გინებათა და შეურაცხებათა მოთმინებასა, არა მრავალ ჟამ იყოს, შვილო, შრომად შენი დამკვდრებად შენ შორის სანატრელსა მას განსუენებასა, და უკუანასკნელ მონამეთა თანა დაემკვდრო მორჩილებითა შენითა.

100. აღუარე მოძღუარსა შენსა, ვითარცა ღმერთსა, სახითა სიმდაბლისაღთა ცოდვანი შენნი, რამეთუ ვიხილენ დაშვილნი, რომელთა სახითა საწყალობელითა და აღსარებითა და ვედრებითა სიფიცხე მსაჯულისად მოდრიკეს მოწყალებად, და გულისწყრომად მისი შეცვალეს სიტკბოებად; და ამისთვის იოვანე ნათლისმცემელი ეძიებდა აღსარებასა პირველ ნათლისლებისა მისა მიმავალთაგან, არა-თუ მას რადმე უწმდა იგი, არამედ ცხორებასა მათსა ეძიებდა.

101. ნუ გიკრს, უკუეთუ შემდგომად აღსარებისაცა გუეწყვებოდინ ბრძოლანი ვნებათანი, რამეთუ უადვილეს

არს სიძვისა ეშმაკისადა ბრძოლაზ, ვიდრე ამპარტავანებისა ბოროტისა.

102. ნუ სცოთები, ნუცა ალიტაცები ჰამბავთა მიმართ გან-შორებულთა და მძოართასა, რამეთუ შენ, საყუარელო, სტე-ფანეს გზასა ხუალ, პირველმოწამისასა, მორჩილებითა შენითა.

103. ნუ ივლტი მორჩილებისაგან, დაღათუ დაცემაზ შეგემთხვოს, რამეთუ თკო მას უამსა გიჯმს მკურნალი.

104. რომელსა ჰყვა შემწც და შეუბრკუმა ფერწი, საცნა-ურ არს, ვითარმედ ესევითარსა უკუეთუმცა შემწც არა ჰქონებოდა, არა შებრკუმაზ ოდენ, არამედ სიკუდილიცა ეგულებოდა.

105. რაუამს შეგუემთხვის დაცემაზ, მაშინ მოიწინიან ეშ-მაკი, ვითარმცა მიზეზი ეპოვნა, და დაყუდებასა გუანუევ-დიან, ხოლო გულისიტყუაზ მათი ესე არნ, რადთამცა წყლულებაზ დაცემასა ჩუენსა ზედა შესძინეს.

106. რაუამს მკურნალი ჩუენი იტყოდის თუ: „ვერ ძალ-მიც კურნებაზ შენი“, მაშინ ჭირისა მისგან ჯერ არს, რადთა სხუაზ მკურნალი მოვიძიოთ, რამეთუ თვნიერ მკურნალისა მცირედნი განიკურნებიან.

107. ვინ-მე არს, რომელმან სიტყუა-მიგოს ჩუენ ამას ზედა, რომელსა ვიტყვთ მტკიცედ და განჩინებით, ვითარ-მედ: „ყოველი ნავი, რომელსა ჰყვა მენავეთმოძღუარი და ღელვათა შთავარდა, უეჭუელად, უკუეთუმცა მენავეთმოძ-ღუარი არა ჰქონებოდა, სრულიადცა წარწყმედულ იყო იგი“.

108. მორჩილებისაგან – სიმდაბლც,<sup>25</sup> სიმდაბლისაგან –

---

<sup>25</sup> მორჩილებაზ დასაბამი არს სიმდაბლისაზ, რამეთუ რომელ-მან არა იცნას თავი თვესი, ვითარმედ ნაკლულევან არს სათნო-ებათაგან, მორჩილებად სხვსა ვერ ძალ-უც, და ესრეთ ცნობაზ თვესისა უძლურებისაზ სულსა მოიყვანებს მორჩილებად. ხოლო მორჩილებაზ შიშითა ღმრთისადთა შეპყრობილი შობს სიმდაბლესა, და სიმდაბლე განსდევნის სიმაღლესა, ხოლო ესრეთ იქმნების კაცი სახლ უვნებელობისა.

უვნებელობად, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ „სიმდაბლესა შინა ჩუენსა მომიწენნა ჩუენ უფალმან და მიწსნა ჩუენ მტერთა ჩუენთაგან“ (ფსალმ. 135, 23-24). და ვინათოგან ესრეთ არს, არარა სადმე დამაყენებელ არს თქუმად, ვითარმედ: „მორჩილებისაგან – უვნებელობად“, რომლისა მიერ იქმნების ალსასრული სიმდაბლისად; რამეთუ იქმნების მორჩილებად დასაბამ სიმდაბლისა, ვითარცა-იგი მოსე დასაბამი იყო რჩულისად, ხოლო ასული იგი დედასა თკსსა სრულ-ჰყოფს, ვითარცა მარიამ\* სრულ-ჰყოფდა შესაკრებელსა.

109. ტანჯვასა დიდსა ღირს არიან უფლისა მიერ სნეულნი, რომელნი მივიდეს მკურნალისა თანა და გამოცადეს და ცნეს მისგან ფრიადი სარგებელი სენთა მათთად, და შემდგომად ამისა, ვიდრელა არა სრულიად განკურნებულ იყვნეს, დაუტევეს იგი და სხუასა მკურნალსა ეძიებდეს.

110. ნუ ივლტი, საყუარელო, წელთა მათთაგან, რომელთა შეგწირეს უფლისა, რამეთუ არა ირცხვ ესრეთ სხუათაგან, ვითარ ირცხვ მისგან ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა.

111. არა ულირს გამოუცდელსა განშორებად სიმრავლისაგან და მარტოებით შესლვად ბრძოლასა შინა წინააღმდგომთასა, და ესრეთვე უჯერო არს პირველ გამოცდისა და კეთილად დამწყსისა ვნებათა სულისათა შესლვად დაყუდებასა, რამეთუ პირველი იგი – წორციელად, ხოლო მეორცე სულიერად მოკუდეს.

112. იტყვს წერილი, ვითარმედ: „უმჯობეს არიან ორნი უფროდს ერთისა“ (ეკლ. 4,9), ესე იგი არს, ვითარმედ უმჯობეს არს, რადთა იყოს შვილი მამისა თანა ბრძოლად წინააღმდგომთა, ძალითა სულისა წმიდისათა.

113. ბრმად, რომელი ივლტოდის წინამძღვრისაგან თკ-

---

\* მარიამ – დად მოსესი.

სისა, და სამწყსოა – მწყემსისაგან, და შეცთომილი – მა-სწავლელისაგან, და ყრმაა – მამისაგან თვისისა, და სწეული – მკურნალისაგან, და ნავი – მენავეთმოძღურისაგან, მოი-ნიოს ამათ ყოველთა ზედა წარწყმედა. და რომელი ეწყვე-ბოდის ეშმაკთა თვინიერ შემწისა, ეგევითარი მოიკლას მათ-გან.

114. რომელნი სამკურნალოდ მივლენ კურნებად, ეგევი-თართა აღსუბუქებად ტკივილთა აქუნდინ სასწაულად კურ-ნებისა; ხოლო რომელნი მორჩილებასა შევლენ, მათ სიმდა-ბლც აქუნდინ სასწაულად ვნებათაგან წინისა მათისა, რა-მეთუ წორციელთა სწეულთა – ტკივილთა აღსუბუქებად, ხოლო სულიერთა – სიმდაბლისა განმრავლებად არს სასწა-ული სიმრთელისად.

115. სკნიდისი შენი იყავნ სარკე მორჩილებისა შენისა, და კმა არს ესე.

116. რომელნი დაყუდებასა შინა მორჩილებენ მამასა სულიერსა, ეგევითართა ეშმაკნი ოდენ პბრძვანან, ხოლო რომელნი კრებულსა შინა იყვნენ, ეგევითართა ეშმაკნი და კაცნი ეწყვებიან ბრძოლად; და პირველნი იგი სამა-რადისოდ ხედვითა მოძღურისა მათისადთა უაღრესადცა დაიტევენ მცნებათა მისთა, ხოლო მეორენი იგი ოდესვე მოძღურისა მათისა კიდე-ყოფითა უდებ-ჰყოფენ მცირედ მცნებათა მისთა, გარნა უკუეთუ მოსწრაფენი იყვნენ და მოთმინენი, აღასრულებენ დაკლებულსა მას მორჩილებისა მათისასა მოთმინებითა ჭირთადთა და მიიღებენ გკრგვნსა ორნილად.

117. ყოვლითავე დაცვითა დავიცვნეთ თავნი ჩუენნი, რამეთუ ნავთსაყუდელი, სავსც ნავებითა, ადვილად შემძ-ლებელ არს შემუსრვად ნავთა მათ, და უფროდსად გულის-წყრომისა მიერ და კადნიერებისა, ვითარცა ჭიისა მიერ, შეშ-ჭამს ფარულად ძელებსა მათსა და განჰწურეტს.

118. დუმილი სრული და უმეცრებად მოვიპოვოთ წინაშე

მოძღვრისა ჩუენისა, რამეთუ კაცი მდუმარი შვილი არს სი-ბრძნისად და მეცნიერებად პოვა ფრიადი.

119. ვიხილენ ვიეთნიმე მორჩილებასა შინა, რომელთა მიიტაცეს სიტყუად პირისაგან მოძღვრისა მათისა და უსასო ვიქენ მორჩილებისაგან მათისა, რამეთუ ამპარტავანებად ვიხილე მოპოვნებული მორჩილებისაგან მათისა და არა – სიმდაბლც.

120. ყოვლითა სიფრთხილითა განვიფრთხოთ, და ყოვლი-თა კრძალულებითა ვეკრძალნეთ, და ყოვლითა გულისჯის-ყოფითა გულისჯმა-ვყოთ, თუ ოდეს ჯერ არს საქმისა პატივ-ცემად უფროდს ლოცვისა, რომელი-ესე ვიყვნეთ მორჩილე-ბასა შინა, რამეთუ ესე არა ყოველსა ჟამსა გკლირს ყოფად.

121. ეკრძალე თავსა შენსა, რაჟამს იყო ძმათა თანა, და ნუ ისწრაფი, რადთამცა აჩუენე, თუ საქმესა რასმე უმეტეს მათსა ჰყოფ. რამეთუ ორთა ბოროტთა იქმ, უკუეთუ ესე ჰქმნა: ერთად, რამეთუ ავნებ მათ მაჩუენებლობითა შენი-თა და მოსწყლავ გულთა მათთა, ხოლო მეორედ, რამეთუ მოატყუებ თავსა შენსა ამპარტავანებასა უეჭუელად.

122. იყავ მოსწრაფე სულითა და წორცითა, ნუ ინებებ ჩუენებად სხუათა ნუცა სახითა, ნუცა სიტყვთა, და ამასცა მაშინ იქმოდე, ოდეს დაცხრომილ იყო განკითხვისაგან და შეურაცხებისა მოყუსისა. უკუეთუ კულა მოსწრაფე ხარ განკითხვისა მიმართ, იყავ მსგავს ძმათა შენთა და ნუ უჭ-დები მათ ამპარტავანებით.<sup>26</sup>

<sup>26</sup> შესაკრებელთა შორის მყოფთათვს იტყვს ამას, ვითარმედ უკუეთუ მდაბალი იყო, იქმოდე საქმეთა სულიერთა გულსა შინა შენსა, და ნუცა სიტყვთ, ნუცა სახით გამოაჩინებ მას. ხოლო „საქმესა“ – ლოცვასა იტყვს გონებასა შინა და გლოვასა. უკუეთუ კულა მაბრალობელ იყო სხუათა, რომელი უდებად იყვნენ, მაშა უმჯობეს არს, რადთა არცა გაქუნდენ საქმენი იგი, არცა აბრალებდე ძმათა მათ, არამედ რადთა იყო მსგავს მათა, ვიდრელა ამპარტავან და აღზუავებულ მცირეთა მათ საქმეთა შენთა ზედა.

123. ვიხილე მოწაფუ გამოუცდელი, იქადოდა წინაშე კაცთა სიკეთესა მოძლურისა თკსისასა და ჰეონებდა, თუ ამითმცა მიიღო ქებად. და მოიგო უფროდსად შეურაცხებად, რამეთუ ყოველთა ჰრეჯეს მას: „და ვითარ ხემან კეთილმან გამოიღო რტოო უნაყოფოდ?“

124. არა-თუ რაუამს მამისაგან ჩუენისა თავს-ვიდებდეთ კდემასა და შეურაცხებასა, მაშინ მოთმინე ვიწოდნეთ, არა-მედ – რაუამს ყოველთა კაცთა მიერ თავს-ვიდებდეთ, რა-მეთუ მამისაგან ჩუენისა გურცხუენისცა და თანამდებადცა გუაც მოთმინებად.

125. სუემდი წადიერებით კდემასა, ვითარცა წყალსა ცხოველსა ყოვლისაგანვე კაცისა, რომელსა ენებოს შესუ-მად შენდა წამალი იგი განმწმედელი ბილწებათად. და მაშინ გამოპრნყინდეს სიღრმუ სიწმიდისად სულსა შენსა, და ნათე-ლი ღმრთისად არა მოაკლდეს გულსა შენსა.

126. ნუვინ იქადის თავით თკსით, რაუამს იხილოს სი-მრავლც ძმათად განსუენებულად მსახურებასა ზედა მის-სა, რამეთუ მპარავთა გარეშეუცავთ ჩუენ და ისწრაფიან წარწყმედად შრომათა და მოსწრაფებათა ჩუენთა.

127. წსენებით მოიქსენებდ, რომელმან-იგი თქუა, ვი-თარმედ: „რაუამს ჰქმნეთ ყოველი ბრძანებული თქუენდა, მაშინ თქუთ, ვითარმედ მონანი ვართ უქმარნი, რომელი თანაგუედვა ყოფად, ვყავთ“ (ლუკ. 17,10), ხოლო საშჯელი შრომათა ჩუენთად ჟამსა განსლვისა სოფლით გუეუწყოს.

128. მონასტერი ცად არს ქუეყანასა ზედა, ამისთკს ეს-რეთ ვყვნეთ გულნი ჩუენნი, ვითარცა ანგელოზნი, რომელი ჰმსახურებენ უფალსა.

129. ოდესმე გულნი ამას ცასა შინა მყოფთანი იქმნებიან, ვითარცა ქვანი, და ოდესმე კუალად ლმოპიერებითა ნუგე-შინის-იცემებიან, რადთა ამპარტავანებასაცა განერნენ და შრომათაცა მათთა ნუგეშინის-ეცეს ცრემლთა მიერ.

130. ცეცხლმან მცირემან მოალბის ცკლი და შეურაცხე-

ბამან მცირემან მრავალგზის ყოველივე სიფიცხში და ულმობელობად გულისად მეყსა შინა მოალბის, და აღწოცის, და დაატების.

131. ვიხილენ ოდესმე ორნი, რომელნი მალვით იმსტოარობდეს და ისმენდეს სულთქუმათა და შრომათა მოღუანეთასა, არამედ ერთი იგი ამისთვის იქმოდა ამას, რადთა ემსგავსოს მას, ხოლო მეორც – რადთა ოდეს უამი პოოს, ეკიცხვიდეს, და გამოაცხადოს იგი წინაშე მისსა, და მუშაკი იგი ღმრთისად კეთილისა მისგან საქმისა დააბრკოლოს.

132. ნუ იქმნები მდუმარე პირუტყუებრ, სადა-იგი არა ჯერ იყოს დუმილი, და მოატყუებდე სხუათა შფოთსა და განმნარებასა, და ნუმცა ჰგვანობ სახითა და სლვითა, რა-უამს გიბრძანებდენ სწრაფასა, უკუეთუ არა, მაშა ცოფთა და უგუნურთა უძკრეს-ქმნულ ხარ.

133. ვიხილენ ესევითარნი, ვითარცა იტყვს იობ, სულნი აღვესბულნი სალმობითა და დაწსნილობითა თვისითა და მრავალგზის ნებსითცა იჩემებდიან. და დამიკვრდა, ვითარ მრავალლონე არს უკუეთურებად და მრავალფერ.

134. რომელი კრებულსა შინა იყოს, ვერ შემძლებელ არს ესრეთ შეძინებად გაღლობისაგან, ვითარ შეიძენს ლოცვისა-გან თვისაგან, რომელსა აღასრულებდეს სენაკსა შინა თვისა. რამეთუ შრომადცა უმეტესი აქუს ლოცვასა, ვიდრელა გა-ლობასა.

135. ებრძოდე დაუცადებელად შენდავე შემოკრებად გონებისა განბნეულისა და ნუ სასონარკუეთილ ხარ, დაღა-ცათუ ფრიად მიმოიტაცებოდის გონებად, რამეთუ ღმერთი არა ეძიებს მორჩილებასა შინა მყოფთაგან ლოცვასა წარუ-ტაცებელითა გონებითა.

136. ნუ მწუხარე იქმნები, რაჭამს მიიტაცოს გონებად შენი, არამედ გიხაროდენ, რაუამს მოაქციო იგი შენდავე, რა-მეთუ ანგელოზთად ოდენ არს სრულიად წარუტყუენველობად.

137. რომელსა დაურწმუნებია თავისა თვისისადა არა განშორებად ადგილისა მისგან მოღუანებისა თვისისა ვიდრე უკუანაღსკნელად დღედმდე მისა, დაღაცათუ შეემთხვოს მას ათასგზის სიკუდილი სულისა და წორცთად, არა შეემთხვოს მას ადვილად ესევითარი რამე, რამეთუ მარადის დაცემათა და დაპრკოლებათა მიზეზ ორგულებად გულისად და ურწმუნოებად ადგილისად იქმნების.

138. რომელნი მოსწრაფე არიან ადგილითი-ადგილად მიმოსლვასა, ეგვითარნი ყოველსავე ზედა გამოუცდელ არიან, რამეთუ არარად იქმს ესრეთ უნაყოფოებასა, ვითარ უთმინოებად.

139. უკუეთუ უცნაურსა სამკურნალოსა მიხვდე, ემს-გავსე მოგზაურსა და ფარულად გამოცადე ყოველივე საქმო მუნ მყოფი. და რაჟამს შეატყუა წელოანთაგანცა და მსახურთაგანცა სარგებელი სენთა შენთად და წყლულებათა მათ სულისათად, მაშინ წარმოდეგ და განყიდე თავი შენი ოქროდ სიმდაბლისა და ქარტითა მორჩილებისათა და წერილითა მსახურებისათა და მონამებითა ანგელოზთათა.

140. განხეთქით განხეთქე მას უამსა წელისწერილი იგი ნებისა შენისად, რომელი-იგი უკუნაქცევს და დაპქსნის სასყიდელსა მას, რომლითა მოგიყიდა ქრისტემან უფალმან.

141. საფლავ შენდა იყავნ პირველ დაფლვისა ადგილი, რომელსა შინა დაემკედრო. რამეთუ არავინ გამოვალს საფლავისაგან პირველ ყოველთა აღდგომისა, და უკუეთუმცა ვიეთნიმე გამოვიდეს, იხილე, რამეთუ მოკუდეს, რომლისათვს ვევედრნეთ უფალსა, რადთა არა მოიწიოს ესე ჩუენ ზედა.

142. რაჟამს საქმენი მსახურებისანი მძიმე იყვნენ, მაშინ უდებნი ლოცვასა ალირჩევენ, და ოდეს მსახურებანი სუბუქ იყვნენ, მაშინ ივლტიან იგინი ლოცვისაგან, ვითარცა ცეცხლისაგან.

143. არს რომელი იქმნ საქმესა რასმე და თხოისათვს და

განსუენებისა სხვსა ძმისა დაუტევის იგი, და სხუამან მცონარებითა თკსითა დაუტევის, და სხუამან არა დაუტევის ამპარტავანებითა თკსითა, და სხუამან არა დაუტევის მოსწრაფებისა და გულსმოდგინებისა მისისაგან.

144. უკუეთუ მიხუედ ადგილსა რომელსამე და გამოუწულილველად აღიტაცე და შეხუედ მუნ და ჰყავ აღთქუმად, და მერმე ჰხედავ მას შინა საქმეთა წარმწყმედელთა სულისათა და უკურნებელთა, ნუ უდებ იქმნები განშორებად მიერ; გარნა გამოცდილი ყოველსავე შინა გამოცდილ არს, ვითარცა-იგი გამოუცდელი ყოველსავე შინა გამოუცდელ არს.

145. ძკრისზრახვამან და ენოვნებამან მრავალნი განშორებანი ქმნა სოფელსა შინა, ხოლო ნაყროვანებამან კრებულსა შორის ძმათასა მრავალნი დაცემანი და შეურაცხებანი ქმნა.

146. უკუეთუ მუცელსა შენსა უფლო, ყოველსავე ადგილსა ჯდომისა შენისასა უვნებელობად ჰპოო; ხოლო ვიდრემდის იგი უფლებდეს შენ ზედა, თვინიერ საფლავისა, სადაცა მიხვდე, ყოველთაგან ჭირი ჰპოო.

147. უფალი განანათლებს თუალთა მორჩილებასა შინა მყოფთასა ხედვად სათნოებასა მოძღურისათა; და კუალად, ეშმაკი დააბნელებს თუალთა ურჩთასა ხედვად ნაკლულევანებასა მოძღურისასა, რამეთუ ესევითარი ხედვად ჭეშმარიტად სიბრმე არს.

148. კეთილი სახც სიმდაბლისა და მორჩილებისად არს, ჭ, ძმანო, ვეცხლწყალი, რომელი-იგი ყოველსავე ქუეშე გორავნ და ყოვლისაგანვე ბინისა ეგის შეუხებელად.

149. მოსწრაფენი ეკრძალებოდედ თავთა თკსთა, რაზთა არა განიკითხვიდენ უდებთა და უმეტეს მათსა დაისაჯნენ, რამეთუ ვითარ ვჰვინებ, ამისთკს იქმნა ლოთ მართალ, რამეთუ შორის ესევითართა კაცთავსა დამკვდრებულ იყო და არასადა გამოჩინებულ არს, თუ განიკითხვიდა მათ.

150. ყოველსავე უამსა, და უფროდსად, უამსა ლოცვისასა მოვიგოთ დუმილი და მყუდროება, რამეთუ ეშმაკი ისწ-რაფიან განრყუნად ლოცვისა შფოთებითა.

151. რომელი ჰმსახურებდეს მსახურებათა მორჩილები-სათა, იგი წორცითა დგას წინაშე კაცთა, ხოლო გონებითა ლოცვისა მიერ ჰრეკს კართა ცისასა.

152. გინებად და ყუედრებად და მსგავსი ამათი სულსა შინა მორჩილისასა იქმნების მიმსგავსებულ სიმწარესა აფ-სინდისასა; ხოლო ქებანი და პატივნი თაფლის სახედ ტკბილ არიან სულსა შინა გემოთმოყუარისასა. ან უკუე გულისჯ-მა-ვყოთ ბუნებად ამათ ორთადვე, ვითარ აფსინდი განმწ-მედელი არს ნავღლისა და თელგმისად გუამისაგან, ხოლო თაფლი აღმაორძინებელი და განმამრავლებელი არს ნავღ-ლისად.

153. ჯერ არს ჩუენდა, რათა მივენდვნეთ უზრუნველად მათ, რომელთა შეინყნარეს ზრუნვად ჩუენი უფლისათვს და გურწმენეს მათი, დაღათუ ვჰგონებდეთ, ვითარმედ სავნებელსა რასმე სულისა ჩუენისასა იტყვნ, რამეთუ მაშინ გამოიცდების მათდა მიმართ სარწმუნოებად ჩუენი, ვითარცა ბრძმედსა შინა სიმდაბლისასა.

154. ესე არს სასწაული სარწმუნოებისა ჭეშმარიტისად, რაჟამს ვხედვიდეთ მოძღურისაგან საქმეთა, რომელთა ჩუენ არა ვესევდით, არცა მოველოდით, და ამასცა ზედა დაუბრკოლებლად ვმორჩილებდეთ მას.

155. მორჩილებისაგან – სიმდაბლც, ვითარცა პირველ ვთქუთ, და სიმდაბლისაგან – განკითხვად, ვითარცა თქუა დიდმან კასიანე განკითხვისა თავსა შინა, და განკითხვისა-გან – დაფარულთა ცნობად, და დაფარულთა ცნობისაგან – წინადასწარცნობად მომავალთა საქმეთად, და ვინ არა რბიო-დეს ესვითარსა ამას კეთილსა მორჩილებისა სარპიელსა, რომლისა წინაშე არიან ესოდენნი კეთილთა სიმრავლენი.

156. ამისთვის იტყოდა დიდი იგი მგალობელი, ვითარმედ:

„განუმზადე სიტკბოებითა შენითა გლახაქსა მას მორჩილსა, ღმერთო, მოსლვად შენი გულად მისსა“ (შდრ. ფსალმ. 67,11).

157. ნუ დაივიწყებ ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა მოღუანესა მას დიდსა, რომელსა ათრვამეტსა წელსა არა ესმა მოძღურისაგან ჭორციელითა სასმენელითა, თუ: „ცხონდი“, ხოლო შინაგანთა მათ ყურთა მარადლე ესმოდა უფლისაგან არა-თუ „ცხონდი“, რამეთუ ესე სიტყუად არს ლოცვისად და უცნაური, არამედ ესრეთ ესმოდა, ვითარმედ: „სცხონდი“, რომელი-ესე განჩინებულ არს და მტკიცე.

158. აცოუნნეს თავნი თვალი ვიეთმე მორჩილებასა შინა მყოფთა, რამეთუ შეატყუეს სილბოსა მოძღურისა მათისასა და ეძიებდეს მისგან საქმეთა, რომელნი ნებისაებრ მათისა იყვნეს. და ნებასა მათსა მიუშუის მოძღუარმან და არა დააყენნის საქმისა მისგან, რომელსა ითხოვდიან. ხოლო იგინი ჰგონებდიან, ვითარმედ სიტყვისათვს მოძღურისა იქმან მას. არამედ გულსავსე იყვნედ ესევითარნი, რომელ გვრგვნისა მისგან მორჩილებისა სრულიად დაცემულ არიან, რამეთუ მორჩილებად უცხოებად არს ორგულებისა და ნებათა აღსრულებისად.

159. არს კაცი, რომელმან მიიღის ბრძანებად მოძღურისაგან და ცნის ნებად მისი, ვითარმედ არა განსუენებულ არს ქმნასა მის საქმისასა და არა ქმნის იგი; და არს სხუად, რომელმან ცნის, თუ არა არს განსუენებად მისი მას ზედა და შეუორგულებლად დაჰმორჩილდის და ქმნის სიტყუად მისი. საძიებელ არს, თუ რომელმან ამათგანმან უმჯობესად ქმნა?

160. ესე შეუძლებელ არს, თუმცა ეშმაკი ნებასა თვალი წინააღუდგებოდა, და ესე გულისწმა-ყავ მათგან, რომელნი უდებებით იყოფებიან და სხენან ერთსა ადგილსა სადა-ყუდებულოსა, გინა-თუ კრებულსა აღუძრველად.

161. იყავნ ჩუენდა ადგილთაგან ჩუენთა წარსლვისა ბრძოლად სასწაულ ჩუენისა მას შინა წარმართებისა, რა-

მეთუ უკუეთუმცა არა ხედვიდა მტერი, თუ ვპპრძავთ მას, რადმცა გუბრძოდა ჩუენ?

162. არა ჯერ არს ჩემდა დაფარვად და დუმილი, რომელსა ზედა არა შეჰვავს დუმილი: რამეთუ იოვანე საბაიტელმან, რომელი იყო საბერძნეთით კაცი ღმრთისმოშიში, წმიდად და უბინო, გვთხრობდა იგი საქმეთა, რომელთად ჯერ არს სმენად. ხოლო შენ, მ, წმიდაო, უწყი თკთ, ვითარმედ კაცი ესე ამალლებულ იყო ყოველთა სენთაგან ვნებათადსა და ტყუილისა სიტყუათაგან და ყოვლისა საქმისა უჯეროხსა. ესე მითხობდა, ვითარმედ: „მონასტერსა მისსა ასიას – რამეთუ ასიელი იყო წმიდად იგი – იყო ვინმე ბერიო, ფრიად უდები, არა-თუ მას განვიკითხავ, არამედ რადთა ჭეშმარიტი მიგითხრა.

163. და იყო ბერისა მის თანა მოწაფე ვინმე ჭაბუკი, სახელით აკაკი, წრფელი ბუნებითა და ბრძენი გონებითა, რომელმან ეგოდენნი ბოროტნი თავს-ისხნა ბერისა მისგან, რომელ მრავალნი სასმენელადცა საკურველ არიან, რამეთუ არა-თუ ოდენ გინებითა და შეურაცხებითა, არამედ ცემითა და გუემითა მარადლე სტანჯვიდა მას.

164. ხოლო მე ვხედევდ მას მარადლე გუემასა შინა ფრიადსა და ჭირსა მსგავსად მონისა სყიდულისა, და რაჟამს შევემთხვი, ვპრქქ მას: ‘ძმაო აკაკი! ვითარ გარდაპვლე დღე ესე?’ და ოდესმე მიჩუენის თუალი მისი განსივებული, და ოდესმე ქედი მისი დაბძარული, გინა-თუ თავი მისი დაპებული. ხოლო მე უწყოდე, ვითარმედ მუშაკი არს სათნოებისად კეთილი და ვარქქ: ‘საყუარელო, მოთმინე იქმენ და სულგრძელ, რამეთუ სარგებელ-გეყოს’.

165. ხოლო მან დაყო ბერისა მის თანა, რომელსა არა აქუნდა წყალობა, ცხრად წელი. და ამისა შემდგომად გარდაიცვალა ძმად იგი აკაკი და მივიდა უფლისა და დაპმარხეს იგი სამარხოსა მამათასა. ხოლო შემდგომად ხუთისა დღისა წარვიდა მოძლუარი იგი აკაკისა ბერისა ვისამე დიდისა,

რომელი იყო მასვე ადგილსა, და ჰრქუა მას: ‘მამაო, ძმაღ აკაკი გარდაიცვალაო’. და ესმა რაღ ესე ბერსა მას, ჰრქუა: ‘გრწმენინ, ბერო, არა მრნამს, თუმცა იგი მომკუდარიყო’.

166. ჰრქუა მას მოძლუარმან აკაკისმან: ‘მოვედ და იხილე’. აღდგა ბერი იგი და წარვიდა მის თანა. და ვითარ ორნივე მიიწინეს საფლავსა მისსა, წმა-უყო წმიდამან მან ბერმან, ვითარცა ცხოველსა, რომელი ჭეშმარიტად შემდგომად სიკუდილისაცა ცხოველ იყო, და ჰრქუა მას: ‘ძმაო აკაკი, მოჰკუედა?’ ხოლო მონაფემან მან მორჩილმან აჩუენა მორჩილებაზ თკი შემდგომად სიკუდილისაცა, წმა-უყო და ჰრქუა ბერსა მას: ‘და ვითარ შესაძლებელ არს, მამაო, სიკუდილი მორჩილისად? !’

167. ხოლო ესმა რაღ ესე მოძლუარსა აკაკისსა, დავარდა პირსა ზედა თკსა დიდითა ტირილითა და ევედრებოდა მამასახლისსა მონასტრისასა შენებად სენაკი მახლობელად სამარხოესა მის და მუნ აღასრულნა მიერითგან დღენი მისნი სიწმიდით და მარადის სიმდაბლით ეტყოდა მამათა, ვითარმედ კაცისკლვად მიქმნიეს”.

168. ხოლო მე ვჰვინებ, მამაო იოვანე, ვითარმედ თკთ ესე დიდი იოვანე იყო, რომელმან უწოდა მკუდარსა და სიტყუა-უგო მას მკუდარმან, რამეთუ იგი მითხრობდა ჰამბავსა სხუასაცა და გარდასწამებდა სხუასა, არამედ თკთ იგი იყო საქმისა მის მოქმედი, ვითარცა უკუანადსკნელ მეუწყა ჭეშმარიტად.

169. და იტყოდა, ვითარმედ: „იყო მასვე მონასტერსა ასიას შინა მონაფეც ერთი მონაზონისა ვისამე მშკდისად ფრიად და სახიერისა და მყუდროესად. და იხილა რაღ მონაფემან მან თავი თკსი, ვითარმედ ჰატივ-იცემებოდა და შეურაცხ იქმნებოდა ბერისა მის მიერ,<sup>27</sup> განიზრახა კეთილი განზრახ-

<sup>27</sup> ამას იტყვს, ვითარმედ ჰატივ-იცემებოდა წორციელად და შეურაცხ იქმნებოდა სულიერად, რამეთუ არა ზრუნვიდა სულისა მისისათკს.

ვად, რომელი მრავალთათვს საცოტურ არს, და ევედრა ბერსა და ითხოვა განტევებად. რამეთუ იყო სხუაზცა მოწაფე, და ამისთვის არა ფრიად შესაწუხებელ იყო საქმე იგი. და განვი-და უკუე მიერ, და აღიღო წიგნი მოძღურისაგან, და მივიდა მონასტერსა ერთსა ქუეყანასა პონტოოდსასა.

170. და პირველსავე ლამესა, შე-რაა-ვიდა მონასტრად, იხილა ჩუენებასა შინა ლამისასა თავი თვისი, ვითარმედ იჰამრებოდა კაცთა ვიეთგანმე, და შემდგომად ჰამრისა მის საშინელისა, იხილა თავი თვისი, რამეთუ იყო მას ზედა დაშთომილი ვალისაა ასი ლიტრად ოქრო. და ვითარცა განიღება ძილისაგან, განიზრახვიდა ხილვისა მისთვის და ჰრეუა თავსა თვისსა: ‘შ, საწყალობელო ანტიოხოზ – რამეთუ ესრეთ ეწოდებოდაო – ფრიადლა ზედა-გუაც ვალისა ჩუენი-საა’.

171. და ვითარცა დაყო მას მონასტერსა შინა სამი წელი დიდითა მორჩილებითა (რამეთუ ფრიად შეურაცხად ექცე-ოდეს ყოველნი იგი ძმანი და აჭირვებდეს, ვითარცა უცხო-სა; და არა იყო მას მონასტერსა შინა უცხო თვისერ მისსა), იხილა კუალად ჩუენებასა შინა ლამისასა, ვითარმედ კაცმან ვინმე მისცა ჭელითწერილი შენდობისაა ათისა ლიტრისაა ვალისა მისგან.

172. და ვითარცა განიღება, გულისჯმა-ყო რაა-იგი იხილა და ჰრეუა თავსა თვისსა: ვიდრე მოაქამდე ათიღა ლიტრად გარდამიჯდიეს, მაშა ოდესმე გარდაწყდად-მიც სხუად იგი დაშთომილი. და ეტყვენ თავსა თვისსა: ‘შ, საწყალობელო ან-ტიოხოზ, გვდირს შრომად და ყუედრებად უმეტესი’. და მი-ერითგან იჩემებდა სისულელესა და მსახურებისაგან არა დასცხრებოდა. და ვითარცა ხედვიდეს მამანი იგი, რომელთა არა აქუნდა წყალობაა, ეგევითარსა მას მორჩილებასა შინა, ყოველნივე მას უბრძანებდეს ყოველსა საქმესა მონასტრი-სასა, და იგი იქმოდა მდუმრიად.

173. და ვითარ დაადგრა ეგევითარსა სახესა შინა ათ-

ცამეტ წელ, იგივე კაცნი იხილნა, რომელნი ჰამრობდეს პირველ ჩუქუნებასა შინა, და აპა, კუალადცა მოუკიდეს, და წელითწერილი დაუწერეს განტევებად ყოვლისა მის ვალისა; და ესრეთ იტყვოდაო, ვითარმედ: ‘რაოდენგზისცა შემაწუხიან მყოფთა მის მონასტრისათა, მოვიწსენი ვალი იგი თანამდები ჩემი და მოვითმენდი სიმწინით’“.

174. ესე ყოველი ყოვლადბრძენმან მან იოვანე მითხრა, მამაო იოვანე, ვითარცა სხვსა მაგიერ. ამისთვისცა თავსა თვისსა ანტიოხოზ უწოდა, არამედ თვთ იგი იყო, რომელმან განხეთქა წელითწერილი იგი მოთმინებითა ახოვნად.

175. ვისმინოთ კუალადცა, ვითარ-იგი გულისჯმის-ყოფად მოიგო მან მორჩილებისა მის მიერ, რამეთუ ჯდა რად იგი წმიდისა საბახს ლავრასა შინა, მოუკიდეს მას სამწი მონაზონი ჭაბუკნი და ენება მისდა დამოწფებად. ხოლო მან შეინყნარნა იგინი სიხარულით და განუსუენა მათ შრომისა მისგან გზისა მათისა. და შემდგომად სამისა დღისა ჰრეკუა მათ ბერმან: „ჭეშმარიტსა გეტყკ თქუენ, ძმანო, მე კაცი ვარ უძლური, და ვიძლევი სიძვისაგან, და ვერ შემძლებელ ვარ შეწყნარებად თქუენგანისა ერთისაცა“.

176. ხოლო იგინი არავე დაბრკოლდეს, რამეთუ უწყოდეს საქმე ბერისად, თუ ვითარ იყო. და ვითარცა ფრიად ევე-დორნეს და არა შეინყნარნა იგინი ბერმან, მაშინ შეუვრდეს ფერწეთა მისთა და ევედრებოდეს მას, რადთა ასწაოს მათ, ვითარ იყვნენ, ანუ სადა შეპერავს დაჯდომად მათი. და შეატყუა ბერმან, ვითარმედ სარწმუნოებით და მორჩილებით შეინყნარებენ. მაშინ ჰრეკუა ერთსა მათგანსა, ვითარმედ: „უფალ-სა ჰერებავს შენი, შვილო, რადთა დაშვდე ერთსა ადგილსა დაყუდებით, მორჩილებით მამისა ერთისა თანა“. და ჰრეკუა მეორესა მას: „წარვედ, ძმაო და განყიდე ნებად შენი და მიეც იგი ღმერთსა და ალიღე ჯუარი შენი და მოითმენდი შორის კრებულსა ძმათასა და საუნჯც დიდძალი გედვას ცათა შინა“.

177. ჰრქუა მესამესაცა: „მოიგე შენ განუშორებელად შენგან, ვითარცა ფშკნვად შენი, სიტყუად იგი, რომელსა იტყუს უფალი, ვითარმედ: ‘რომელმან მოითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს’ (მათ. 10,22), და წარვედ და მოიძიე, და თუ შესაძლებელ იყოს, ნუ დაუტეობ ბუნებასა შინა კაცთასა უფიცხლესსა და უმამხილებელესსა მოძღურისა შენისასა. და დაადგერ მის თანა, და სუემდი მარადლე კდემასა და გინებასა, ვითარცა თაფლსა და სძესა“.

178. ხოლო ძმამან მან ჰრქუა დიდსა იოვანეს: „და უკუეთუ კაცი იგი უდები იყოს, რაა ვყო, მამაო?“ ჰრქუა მას ბერმან: „დაღაცათუ სიძვასა შინა იხილო იგი, ნუ განეშორები მას, არამედ ეტყოდე თავსა თვესა: მოყუასო, რომლისათვეცა მოხუედ? მაშინ იხილო ამპარტავანებად განშორებული შენგან და გულფიცხელობად უჩინო-ქმნული“.

179. ვიღუაწოთ ყოვლითა ძალითა, რომელთა-ესე გუნებავს მოშიშებად უფლისაგან, რადთა არა მოვიპოვოთ ადგილსა მას სათნოებათა მოსაგებელსა უფროდასად უკეთურებად და სიბოროგტი, და მანქანებად და ზაკულებად და გულისწყრომად, რამეთუ იქმნების ესე, და არა საკურველ არს, რამეთუ ვიდრემდის კაცი მუშაკი იყოს ქუეყანისამოქმედი ანუ მენავც, არად შეპრაცხიან იგი მტერთა მეფისათა, არცა აღიჭურნიან მის ზედა; ხოლო რაჟამს იხილიან, ვითარმედ ბეჭედი მიიღო და წრმალი აღიღო და ფარი და ლახუარი, მაშინ კბილ-ლრჭენით მოიწინან მის ზედა, და უნებნ, რადთამცა მოკლეს იგი. ამისთვის გკლირს, რადთა ფრთხილ და მღკძარე ვიყვნეთ და არა დავიძინოთ.

180. ვიხილენ ყრმანი უმანკონი და კეთილნი, რომელნი მივიდეს სასწავლოდ, რადთამცა ისწავეს სიბრძნც და სწავლულებად და სარგებელ-ეყომცა, ხოლო ვერად შეიძინეს მუნ, გარნა მანქანებად და უკეთურებად და სიგუესც სხუათა თანა აღრევითა. რომელსა აქუს გონებად, გულისწმა-ყავნ.

181. რომელნი წელოვნებასა ისწავლიან, შეუძლებელ

არს, თუმცა არა დლითი-დლედ წარემატებოდეს მას შინა, არამედ რომელნიმე სცნობენ წარმატებასა მას, და რომელნიმე განგებულებით უმეცარ მისა არიან.

182. ვაჭარმან წელოანმან ყოველთა მწუხრთა აღრაცხის შეძინებული მის დღისად, ანუ დაჭირვებული, ხოლო ვერ შემძლებელ არს ამისა ცნობად, უკუეთუ არა ყოველსა უამსა დასწერდეს და ესრეთ დაისწავლიდეს სარგებელსა მას ვაჭრობისასა. ეგრეთვე უკუე ჩუენ გკლირს ქმნად, რამეთუ მარადლე გამოიძიებად თავისა თკისად განანათლებს გონებას.<sup>28</sup>

183. რაჟამს იკდიმებოდის ანუ იყუედრებოდის უგუნური და ელმოდის, მაშინ ანუ სიტყვს-გებად იწყებს, ანუ ადრე მუკლთა მოიდრეკს, არა-თუ სიმდაბლისათკს, არამედ რამთამცა კდემად იგი დააცხრო.

184. უკუეთუ იცემებოდი მოძლურისაგან, დუმენ და თავს-იდებდ წამალთა მათ სულისათა, და უფროვსლა მნათობთა სიწმიდისათა.

185. რაჟამს დამშვდნეს მკურნალი, მაშინდა შეუვრდი მას, ნუუკუე უამსა გულისწყრომისასა არა მიითუალოს სინაულით შევრდომად შენი.

186. რომელნი კრებულსა შინა არიან, ყოვლისავე ვნებისა მიმართ წინააღუდგებოდედ, ხოლო უფროვს ყოვლისა – ნაყროვანებასა და მრისხანებასა, რამეთუ ამათ ვნებათა ერსა შორის ეპოების ნივთი თკის.

187. მორჩილებასა შინა მყოფთა ეშმაკმან შთაუგდის სურვილი სათნოებათად, რომელთა ვერ შემძლებელ იყვნიან აღსრულებად, და ეგრეთვე დაყუდებულთა მოაგონებნ საქმეთა, რომელნი უჯერო იყვნიან მათ მიერ საქმედ.

<sup>28</sup> რომელი მარადლე გამოიძიებდეს თავსა თკისა და განიკითხვიდეს, და ტკივილით და ზრუნვით იყოს ცხორებად მისი, თუ ვითარ გარდაიწადა დლე იგი და ღამე, იგი არს კეთილი ვაჭარი საქმეთა თკისთად.

188. გამოაცხადენ გონებანი მოწაფეთა გამოუცდელთანი და ჰპოვნე მათ შორის გულისსიტყუანი ცოდნილნი: გულისთქუმად დაყუდებისად და მარხვისა ფიცხლისად, ლოცვისად წარუტაცებელითა გონებითა, სიძულილი ცუდად-დიდებისად, და წსენებისათვს სიკუდილისა დაუვიწყებელად, და მარადის ტირილისათვს, და ურისხველობისა სრულისა, დუმილისა ფრიადისა და სიწმიდისა სრულისა, რომელნიესე განგებულებით დასაბამსავე არა მოეცნიან. და ამისთვის შესცოდეს და ამაოდ განვიდეს ვიეთნიმე მორჩილებისაგან, რამეთუ მტერმან არწმუნა ძიებად ამის ყოვლისა პირველ უამისა, და ამისთვის ყო ესე მტერმან, ნუუკუ დაითმინონ და უამსა თვესა მიიღონ ესე ყოველი.

189. არწმუნებნ მაცთური იგი დაყუდებასა შინა მყოფთა ნატრად მათდა, რომელნი მორჩილებასა შინა არიან, უცხოთმოყუარებასა მათსა და მსახურებასა და სიყუარულსა ძმათასა და სნეულთა მსახურებასა, რაღთა იგინიცა უთმინებასა შეყარნეს მაცთურმან მან, ვითარცა-იგი პირველნი, და რაღთამცა არა სრულ-ყვეს მოღუაწებად იგი და მოთმინებად მათი.

190. მცირედნი იპოებიან ჭეშმარიტად, რომელნი იყოფებიან ჯერისაებრ დაყუდებასა შინა, და მათ ოდენ მოუგიეს სალმრთო ნუგეშინისცემად აღსუბუქებად შრომათა და შემწედ ბრძოლათა შინა.

191. ბუნებათაებრ და სახეთა ვნებათა ჩუენთადსა მორჩილებადცა მოვიგოთ.

192. უკუეთუ მწერვალებისაგან წორცთადსა იძლევი, იყავნ მოძღუარი შენი მოღუაწე და მცირედ ნუგეშინისცემელ საზრდელითა, და არა სასწაულთმოქმედ და შემწენარებელ მრავალთად ტაბლასა ზედა; უკუეთუ კულა ზუაობისა და ქედფიცხელობისაგან იძლევი, იყავნ მოძღუარიცა შენი ფიცხელ და მიუშუებელ, და ნუ მშკდ და ტკბილ.

193. ნუ ვეძიებთ დაფარულთა მცნობელთა და წინადს-

წარმეტყუელთა, არამედ ყოვლისა პირველად – მდაბალთა და სენისა ჩუენისა კურნებად მომზავებელთა, ადგილისა-განცა და მოქალაქობისა მათისა.

194. უკუეთუ მოიპოვო გულისიტყუად ნეტარისა მის კკროზ პირველ მოქსენებულისა, იგიცა კეთილ არს, რაღ-თა მარადის ამას იგონებდე, ვითარმედ გამოგცდის წინამდ-ლუარი, და არაოდეს მოგეწყინოს, არცა სულმოკლე იქმნე.

195. რაჟამს განამრავლოს მოძლუარმან შენდა მომართ მხილებად და შეურაცხებად, და სარწმუნოებად და სიყუარული შენი განმრავლდებოდის მისა მიმართ, მაშინ უწყოდე, საყუა-რელო, ვითარმედ სული წმიდა უხილავად დამკედრებულ არს სულსა შენსა და ძალი მაღლისად გფარავს შენ. არამედ ნუ იქადი, ნუცა გიხარის, რაჟამს ახოვნად თავს-იდებდე შეუ-რაცხებათა, არამედ უფროვსად იგლოვდ, რამეთუ ღირსი გი-ნებისად საქმე ჰქმენ და შეანუხე სული მოძლურისა შენისად.

196. ნუ გიკვრს, რომელსა-ესე ვიტყყ, რამეთუ მოსე წი-ნაასწარმეტყუელი მენამების მე, რამეთუ უმჯობეს არს, თუ ვინმე ღმერთსა შესცოდოს, ვიდრე მოძლუარსა; რამეთუ უკუ-ეთუ ღმერთი განვარისხოთ, შემძლებელ არს მოძლუარი ჩუენი დაგებად ღმრთისა, ითხოვდეს რად ჩუენთვს; ხოლო უკუეთუ უხუცესი ჩუენი განვარისხოთ, არავინ არს, რომელიმცა ევე-დორებოდა ჩუენთვს; ხოლო მე ვიტყყ, ვითარმედ ორივე ესე ერთ არს: განრისხებად ღმრთისად და განრისხებად მოძლურისად.

197. განვიფრთხოთ და განვიკითხოთ და გულისჯმა-ვყოთ, თუ რაჟამს შესმენილ ვიქმნეთ მამისა მიმართ, ოდეს გვლირს მადლობით და დუმილით მოთმინებად, ანუ ოდეს თანა-გუაც გულსავსე-ყოფად მისა. რამეთუ მე ვპერნებ, თუ ყოველსა, რომელსა ზედა ჩუენი შეურაცხებად იქმნებოდის, დუმილი ჯერ არს, რამეთუ უამი არს მაშინ სარგებელისად; ხოლო რომელსა ზედა სხვა ძმისა პრალობად იქმნებოდის, მისთვის გულსავსე-ვყოთ საკრველისა მისთვის სიყუარულისა და მშკდობისა.

198. რავდენიცა განვიდეს მორჩილებისაგან, მათ მიგითხრან სარგებელი მისი, რამეთუ რაჟამს განეშორნეს მას, მაშინდა ცნეს, თუ რომელსა ცასა შინა დგეს პირველ.

199. სული, რომელი უვნებელობასა და ღმერთსა ეძიებდეს, მას ყოველივე დღის, რომელსა შინა არა იგინოს და შეურაცხ იქმნას, დაჭირვებად შეურაცხიეს იგი.

200. ვითარცა ხენი, ქართა მიერ შერყეულნი, უფროხსად განიმტკიცებენ ძირთა, ეგრეთვე მორჩილებასა შინა მყოფნი ძლიერთა და შეურყეველთა სულთა მოიგებენ.

201. რომელიცა დაყუდებასა შინა იყოს და ცნას თვისი უძლურებად, და მოვიდეს და განყიდოს თავი თვისი მორჩილებითა, ეგვეითარი იგი ბრმად იყო და უშრომელად ქრისტეს მიმართ აღიხილნა.

202. საყუარელნო, მტკიცედ დეგით! და კუალადცა ვიტყვკ: დეგით სრბასა შინა თქუენსა, ძმანო, რომელნი-ეგე ღუანლსა შინა ხართ! და ისმინეთ, რასა იტყვს თქუენთვს ყოვლადბრძენი იგი,\* ვითარმედ: „ვითარცა ოქროზ ბრძმედსა შინა, რომელ არს მონასტერი, გამოცადნა იგინი უფალმან, და ვითარცა საცხოვარნი მრგულიადშესანუველნი შეინყნარნა იგინი წიალთა თვსთა“ (შდრ. სიბრძ. 3,6), რამეთუ მისი არს დიდებად და სიმტკიცე უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე კიბე არს შესწორებული რიცხვსა მახარებელთადსა. მოლუანტ ეგე, რომელი მდგომარე ხარ ამას ზედა, უშიშად რბილდე ცად მიმართ.

უსწრა ოდესმე საფლავად მისლვასა პეტრეს იოვანე, და ეგრეთვე აქა დაწესებულ არს პირველ სინანულისა მორჩილებად, რამეთუ, რომელმან-იგი უსწრა საფლავად, მორჩილებისა სახე არს, ხოლო მეორტ იგი – სინანულისად, რომელმანცა შეინანა უარის-ყოფად ცრემლითა.

---

\* სოლომონისათვს იტყვს.